საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№14 (390)
12 - 25 აპრილი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 26 აპრილს

## განხეთქილების ტომაჰავკი და სიცრუის ალქიმია



8

## «საქართველოს პატრიარქად მოვა ის, ვინც ახლა ჩუმადაა»

2



## «კალგოტკიან» ბიჭებს საქართველო არასოდეს მიიღებს»

4

## «კესოდ ქცეული ჯემალის გამაუპატიურებელიც და მკვლელიც ლგბტ-თა წიაღში ექებონ და ჩვენ თავი დაგვანებონ»

5

„უსუფაშვილი 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში შევიდა და... ღიად საუბრობდა „ზნეობრივ პრინციპზე... დროებით უარის თქმაზე“, როგორც სავსებით მისაღებ ნაბიჯზე“



## ...ახალგაზრდა კომუნისტი უსუფაშვილი

3

## რატომ არის ცუდი კა-გე-ბეს, ხოლო კარგი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეტასტაზები



„მიხარია, რომ ახალი თაობის უმეტესობამ არ იცის რუსული. ეს ერთგვარი გარანტიაა, რომ კა-გე-ბეს მეტასტაზები მალე თავისი სიკვდილით განადგურდება. მანამდეა შესანარჩუნებელი ქვეყანა, სანამ ეს თაობა გახდება ამომრჩეველიც და ქვეყნის მფლობელიც“.

4

## თანამდებობის პირები, რომელთა ანაზღაურება თვეში 10 ათას ლარს აჭარბებს

9

„საქართველოში პენსია 180 ლარია, საარსებო მინიმუმი — 168 ლარი, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, უმცირესობა, სულ რამდენიმე ასეული ჩინოვნიკი კი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველად ცხოვრობს, რადგან მათი ყოველთვიური ანაზღაურება 10 ათას ლარზე მეტია“.







ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„შორენას წინააღმდეგ ძალიან დიდი შავი პიარი აგორდა, რადგან ვიღაცებს პატრიარქის მოშორება სურთ და შორენას მოშორებით ეს ადვილია, რადგან შორენას უყვარს პატრიარქი და ყველანაირად იცავს მას. რადგან ამდენი წელი პატრიარქის მარჯვენა ხელია, ესე იგი იმსახურებს ამას. შორენას პატრიარქისადმი ერთგულებასა და სიყვარულს რომ თავი დავანებოთ, მან ისიც კარგად იცის, თუ ხვალ პატრიარქი აღარ იქნება საპატრიარქოში, ყველა პრივილეგიას დაკარგავს. ის თავის მდგომარეობასაც იცავს და ეს გასაკვირი არ არის“.

### მეუფე მელქისედეკი (დიაკონიძე):

# საქართველოს პატრიარქად მოვა ის, ვინც ახლა ჩუმადაა



**რა მიაჩნია ეკლესიის 4 ყველაზე დიდ სირცხვილად, როგორ აფასებს ბოლო პერიოდში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში განვითარებულ მოვლენებს — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ვენეციისა და ვენეტოს ეპისკოპოსი, ფინეთისა და სკანდინავიის ქვეყნების ეპარქიის დროებითი მმართველი, მეუფე მელქისედეკი (დიაკონიძე) ესაუბრა.**

**— ბრძოლა საპატრიარქოს წინააღმდეგ გარკვეული ძალების მხრიდან მეუფე სერაფიმე ჯოჯუასთან დაპირისპირებით დაიწყო და სერიოზულ განხეთქილებაში გადაიზარდა. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ წერდა საპატრიარქოში დაგეგმილი განხეთქილების თაობაზე. ვის სურს დღეს არეულობა საპატრიარქოში?**

— პირველ რიგში, მინდა მივესალმო თქვენს მკითხველს. მიტროპოლიტი **სერაფიმე ჯოჯუა** აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, შესანიშნავი ქართველი და კარგ ოჯახში აღზრდილი ადამიანია და ყველაფერი, რაც მისთვის ჩირქის მოსაცხებად შეთხზეს, ძალიან ცუდია, რადგან დარწმუნებული ვარ, ის ასეთ რაღაცებს არ ჩაიდენდა. ამას გარდა, თუ სხვა მღვდელმთავრებს რაღაც-რაღაც საქციელი არ გაუმჟღავნეს, რატომ გახდა მეუფე სერაფიმე „განტევების ვაცი“? **ისე წმინდაა ჩვენი სინოდი, რომ მეუფე სერაფიმეს საქციელი უცებ გახდა თვალშისაცემი და საზოგადოების განსასჯელად გამოსატანი?**

ეკლესიის დისკრედიტაცია ხელისუფლებაში **მიხეილ სააკაშვილის** მოსვლისთანავე დაიწყო და დღესაც გრძელდება, მეტიც: ეს ბრძოლა მწვავე ფაზაში შევიდა.

**ეს არეულობა საპატრიარქოში დღეს იმას აძლევს ხელს, ვისაც, უკაცრავად და, პატრიარქის ტახტზე მოჯდომა სურს. დიახ, მოჯდომა და არა დაჯდომა, რათა სათავისო საქმეები აკეთოს.** ეს ადამიანი ბინძური მეთოდებით, მაგრამ ფაქიზად აკეთებს ამ ყველაფერს. გამოყარა წინა პლანზე **მეუფე პეტრე** და ვიღაცები და ალაპარაკებს, თვითონ არც ჩანს.

**— იცით, ვინ არის ეს ადამიანი?**

— ამ ადამიანის დასახელებით არაფერი შეიცვლება. ხალხს მაინც არავინ არაფერს ჰკითხავს. **ერთი — პარლამენტს ირჩევს ხალხი თავისი ნებით და მეორე — სინოდში შეუშვებენ ვინმეს ასარჩევად. რამდენიმე ჯგუფი იბრძვის საპატრიარქოს ტახტისთვის — ზოგი ღიად, ზოგიც ფარულად, მაგრამ დაიმახსოვრეთ, ჩემი პროგნოზები ყოველთვის მართლდება, არც ერთი მათგანი არ მოვა, საქართველოს პატრიარქად მოვა ის, ვინც ახლა ჩუმადაა.**

**— მამა გიორგი მამალაძე დღეს ბრალს არ აღიარებს, მაგრამ საზოგადოებამ ნახა ფარული ვიდეოკადრები...**

— სისულელეა. არავის სურდა პატრიარქის მოწამვლა, მით უმეტეს, მამა **გიორგი მამალაძეს.** თუ ნამდვილად მიჰქონდა საწამლავი, ესე იგი, ისიც არ იყო აზრზე და, ასე ვთქვათ, „ჩემოდნად“ გამოიყენეს. ააგორეს სკანდალი, რომ აი თურმე მღვდლები დაიქირავეს იერარქებმა პატრიარქის მოსაწამლადო. მერე პატრიარქზე ველარ იკადრეს და თქვეს, თითქოს ერთ-ერთ უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე მდგომი ადამიანი უნდა მოეწამლათო. აღმოჩნდა, რომ **შორენა თეთრუაშვილის** მოწამვლა სურდათ. საერთოდ, **შორენას წინააღმდეგ ძალიან დიდი შავი პიარი აგორდა, რადგან ვიღაცებს სურთ პატრიარქის მოშორება და შორენას მოშორებით ეს ადვილია, რადგან შორენას უყვარს პატრიარქი და ყველანაირად იცავს მას. რადგან ამდენი წელი პატრიარქის მარჯვენა ხელია, ესე იგი იმსახურებს ამას.** შორენას პატრიარქისადმი ერთგულებასა და სიყვარულს რომ თავი დავანებოთ, მან ისიც კარგად იცის, თუ ხვალ პატრიარქი აღარ იქნება საპატრიარქოში, ყველა პრივილეგიას დაკარგავს. ის თავის მდგომარეობასაც იცავს და ეს გასაკვირი არ არის.

**ლევან სანიკიძემ** „309 ქართული სირცხვილი“ დაწერა, მე 4 განსაკუთრებულ სირცხვილს ჩამოგითვლით, რომლებმაც ამ მდგომარეობამდე მიიყვანა ეკლესია:

**ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მტრობა.**

**ამას ხმამაღლა ვამბობ და, ვისაც უნდა, ამ საკითხზე ვეკამათები. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს დამოუკიდებელმა ქართულმა ეკლესიამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა.**

**— ფიქრობთ, ეკლესია ებრძოდა ზვიად გამსახურდიას?**

— დიახ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, როდესაც ორი ქართული მხარე დაუპირისპირდა ერთმანეთს, ეკლესია შუაში არ ჩადგა. ეს იყო უდიდესი საბედისწერო შეცდომა. ერთადერთი მღვდელი **არჩილ მინდიაშვილი**, ისიც საკუთარი ინიციატივით, გამოვიდა ვითარების განსამუხტავად, მაგრამ მარტო მან ვერაფერი შეძლო.

**მეორე** — პირდაპირ უნდა ვთქვა და ნურავის ეწყინება:

**როდესაც სატანის მოციქულ შევარდნაძეს (ზუსტად ასე დაწერეთ) დაუჩოქეს.**

იქ დაჩოქილი ადამიანების უმრავლესობამ იმიტომ დაიჩოქა, რომ პატრიარქი დაინახა. ამ შემთხვევაში ცუდად გამოიყენეს ეკლესიის ავტორიტეტი.

**მესამე სირცხვილი მამა ბასილ მკალავიშვილის მიერ სიმწრით, შიმშილით აშენებული ეკლესიის დარბევა იყო.**

ეკლესიამ კი ხმა არ ამოიღო, არაფრად ჩააგდო. არავის მოუვიდა აზრად, რომ ეს ხვალ უკან დაუბრუნდებოდა ეკლესიას. კადრებში ჩანს უამრავი ნაცნობი სახე, ახლაც რომ ხელისუფლებაში არიან პრივილეგირებულნი, მაგრამ საზოგადოებამ ეს მაინც ვერ აღიქვა მართლმადიდებლობისთვის მახვილის ჩაცემად, რადგან ოფიციალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ხმა არ ამოიღო ამ სისასტიკის წინააღმდეგ. რაც დღეს ხდება, ამ მოვლენების ლოგიკური გაგრძელებაა.

## «ეკლესიის დისკრედიტაცია ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლისთანავე დაიწყო და დღესაც გრძელდება»

**მეოთხე სირცხვილი რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონის მიღებაა.**

როდესაც ეს კანონი მიიღეს, ასიათასობით ადამიანი მივადექით საპატრიარქოს და უკან გამოგვისტუმრეს. მიტროპოლიტი **დანიელ დათუაშვილი** გამობრძანდა და გვითხრა — ჩვენ ყველამ ვიცით, რომ, უმრავლესობას რაც სურს, ის უნდა მოისმონოს და შეისისხლხორცოს უმცირესობამო. ამ შეცდომებმა განაპირობა ის, რომ ეკლესია დღეს ხმას ველარ იღებს.

**— სინოდის სხდომაზე სასულიერო პირების მხრიდან შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე საჯარო სივრცეში იმსჯელეს. ეკლესიურად სწორია, როდესაც სასულიერო პირები საჯაროდ აკრიტიკებთ ერთმანეთს?**

— მეუფე პეტრემ მიიღო საყვედური, რადგან ისე წარმოაჩინეს, თითქოს მან გაილაშქრა საპატრიარქოში არსებული მანკიერებების წინააღმდეგ, მაგრამ მანკიერს მანკიერი არ უნდა ებრძოდეს. მე პიროვნულად არავის წინააღმდეგი არ ვარ. ჩემი კრიტიკა არასოდეს ყოფილა ტახტის მოპოვების სურვილით განპირობებული. ჩემი პოზიცია ყოველთვის საქართველოს ეკლესიის ერთიანობისკენ იქნება მიმართული.

რამდენად პატრიოტულია ჩვენი სასულიერო პირების ქადაგება, რომელმაც ერი სულიერად უნდა გააძლიეროს? დღეს მხოლოდ იმას გაიგონებთ ქადაგებებში, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო. რატომ გვაშინებენ?! ან რა იქნება და როგორ იქნება კარგად, თუ არაფერი გავაკეთეთ ამისთვის? იშვიათია, მოძღვარმა კარგად იქადაგოს. მოგისმენიათ რაიმე მოწოდება ან დაგმობა? სკოლას, უნივერსიტეტს გვითახსირებს თუ წინა ხელისუფლება, თუ ეს მთავრობა. რა მნიშვნელობა აქვს, **ლომაია** იქნება თუ **ჯეჯელავა?!** ეკლესიას მტკიცედ აქვს ერთი პოზიცია არჩეული: როგორმე ყალბი სიმშვიდე სუფევდეს ხალხში. წმინდა **გრიგოლ ღვთისმეტყველი** ამბობდა, ყალბი სიმშვიდე ადამიანისთვის დამღუპველია, ხშირად ცეცხლში დგომა სჯობს ყალბ სიმშვიდესო. წმინდა გიორგის ხატი მოგვწონს ჩვენ მხოლოდ თუ ის მადლი და სხივი, რომელიც მისი სახიდან მოდის? უფალი ამბობს, გიყვარდეს მტერი შენი, მაგრამ შენი სარწმუნოების მტერი არ გიყვარდესო.

მინდა, ყველას მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული!

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

# აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მოსკოვში ჩავიდა

**11 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი მოსკოვში ჩავიდა. ეს ამერიკის საგარეო უწყების ახალი ხელმძღვანელის პირველი ვიზიტია რუსეთში.**



12 აპრილს **ტილერსონი** მოლაპარაკებებს გამართავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **სერგეი ლავროვთან** (აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რუსეთის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა, მაგრამ აშშ-ის მიერ სირიის აეროდრომის დაბომბვის შემდეგ პუტინის ტილერსონთან შეხვედრა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა). ვარაუდობენ, რომ მხარეები იმსჯელებენ სირიის, ლიბიის, ჩინეთისა და უკრაინის საკითხებზე, აგრეთვე, აშშ-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობაზე, რომელიც ცივი ომის შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების განცხადებით, ყველაზე მეტად ახლა გართულდა.

# «მოსაწყენია, გოგონებო!»

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პარალელი გაავლო 2003 წელს ერაყში აშშ-ის შეჭრასა და მის ამჟამინდელ მოქმედებებს შორის სირიაში.**



„ყოველივე ძალიან მაგონებს 2003 წლის მოვლენებს, როცა ამერიკელებმა გაეროში თითქოს ერაყში ქიმიური ნივთიერებების არსებობის „მტკიცებულებები“ წარადგინეს, შემდეგ დაიწყეს საომარი კამპანია ერაყში და გააპარტახეს ქვეყანა, გაზარდეს საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე, შექმნეს „ისლამური სახელმწიფო“. ანალოგიური რამ ხდება ახლაც... ჩვენს შესანიშნავ მწერლებს, ილფსა და პეტროვს, დავესესხები: „მოსაწყენია, გოგონებო, ჩვენ ეს ყველაფერი უკვე ვნახეთ, გამოვიარეთ“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ 7 აპრილს, სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მიერ თითქოს ქიმური ნივთიერებების გამოყენების საპასუხოდ, აშშ-მა სირიის სამთავრობო ავიაბაზა 59 რაკეტით დაბომბა.

**უსუფაშვილი ღიად სთავაზობს ნაკლებად ზნეობრივი ნაბიჯის გადადგმას იმ ადამიანებს, რომელთა გავლენა საზოგადოებაზე 9 აპრილის შემდეგ მორალურ ავტორიტეტს 100%-ით ეფუძნება. ეს, პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით, სრული უგუნურებაა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოთავაზება სავსებით ლოგიკურია.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 9 აპრილი და ახალგაზრდა კომუნისტი უსუფაშვილი

**9 აპრილის წლისთავზე 1989 წლის მოვლენებს არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა. ავტორების უმრავლესობა დეტალურად აღწერს ტრაგედიას და მის პრელუდიას, თუმცა იმას, რაც მოხდა, შემდეგ ნაკლები ყურადღება ეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ პერიოდს 9 აპრილიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.**

ერისთვის, რომელმაც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში უამრავი ტრავმა მიიღო, ძალზე მნიშვნელოვანია კითხვა: **შეიძლებოდა თუ არა ომების, მსხვერპლის და თანმდევი უბედურების თავიდან აცილება?** თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ 9 აპრილამდე სავსებით შესაძლებელი იყო, მოვლენები სხვა სცენარით განვითარებულიყო. ამის საპირისპიროდ, პერიოდს 1990 ოქტომბრის არჩევნებიდან „თბილისის ომის“ დაწყებამდე ხშირად განიხილავენ, როგორც საერთოეროვნულ მარშს უფსკრულისკენ, რომლის დროს სხვა მიმართულებით გადახვევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. რაც შეეხება მონაკვეთს 1989 წლის 9 აპრილიდან 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე, ანუ იმ წელიწადნახევარს, როდესაც საქართველოს (ფორმალურად მაინც) გივი გუმბარიძე მართავდა, ის, როგორც წესი, კომენტატორების ყურადღების მიღმა რჩება და განიხილება, როგორც ერთგვარი „ტრანზიტული ეპოქა“, რომელსაც არანაირი ღირებულება არ გააჩნია. პოლიტიკური ანალიზისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული, ბუნდოვანი პერიოდია, ის ნაკლებად ტოვებს რეალობის შავ-თეთრი მოდელის ფარგლებში მოქცევის შესაძლებლობას და ამიტომ ავტორების ნაწილს ურჩევნია, არ შეეხოს მას. მით უფრო საინტერესოა კითხვა: **ჰქონდა თუ არა მაშინ საქართველოს ალტერნატიული ვარიანტები?**

9 აპრილის შემდეგ ეროვნული მოძრაობის რადიკალი ლიდერების გავლენა საზოგადოებაზე მკვეთრად გაიზარდა, ხოლო კომუნისტური ხელისუფლების ავტორიტეტი პრაქტიკულად განულდა. ფორმალურად კომუნისტები ჯერ კიდევ ხელისუფლებაში იყვნენ, თუმცა „არაფორმალებმა“ ისეთი საკითხების (მაგალითად, საკადრო) გადაწყვეტაში ჩარევის შესაძლებლობა მიიღეს, რომელსაც ადრე არავინ მიაკარებდა მათ. ამან ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვალა.

საბჭოთა ნომენკლატურის წარმომადგენლები ამ პროცესს თვალს უკმაყოფილებით ადევნებდნენ. მათ დაინახეს ახალი, საკმაოდ წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელსაც არა მხოლოდ მმართველ ელიტაში შესვლის, არამედ ქვეყნის მართვაში გადამწყვეტი როლის შესრულების სურვილი გაუჩნდა. შიდაელიტური გადასახედიდან ეს იყო ბარბაროსების შემოსევის მსგავსი მოვლენა და, აქედან გამომდინარე, საბჭოთა საქართველოს ისტებლიშმენტის ნაწილი დასკვნამდე მივიდა, რომელიც შეიძლება დაახლოებით ასე ჩამოვაყალიბოთ: **ა) ედუარდ შევარდნაძე ყველაზე კარგად დაიცავს ძველი ელიტის ინტერესებს; ბ) „ეროვნულების“ ინტეგრირება მასში შესაძლებელია, მაგრამ ეს პროცესი კონტროლირებადი უნდა იყოს.**

საქართველო ბალტიის რესპუბლიკებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იქ არსებობდა ფართო კონსენსუსი, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ურთულეს პერიოდში საჭიროა გარკვეული წესების დაცვა და ურთიერთგაგება, მაშინ, როდესაც საქართველოში ხელისუფლებისთვის ნამდვილი (განხილულ პერიოდში ჯერ კიდევ „ცივი“, მოგვიანებით კი „ცხელი“) სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ბალტიისპირეთში ეროვნული მოძრაობის ლიდერები კარგად აცნობიერებდნენ, რომ მართვის რეალური გამოცდილება მხოლოდ კომუნისტებს აქვთ, ხოლო „წითელი“ და „ვარდისფერი“ ინტელიგენციის დიდი ნაწილი კვლავინდებურად დიდი გავლენით სარგებლობს და მზადაა, დამოუკიდებლობისთვის აქტიურად იბრძოლოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ახალი სახელმწიფოს სოციალურ იერარქიაში მისთვის სათანადო ადგილი მოიძებნება. იქ დაიბადა პოლიტიკური კომპრომისის კულტურა და გარდამავალმა პერიოდმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა. **საქართველოში ამ დროს „ეროვნული მოძრაობის“ რადიკალი ლიდერები ყველას, ვინც არ მოსწონდათ, „სუკის აგენტებს“ ეძახდნენ და ქვეყნის სრულ გაკონტროლებაზე ფიქრობდნენ. ძველი ელიტა კი, თავის მხრივ, მათ ანიჰილაციაზე ოცნებობდა.**

ამ სიტუაციაში საბჭოთა ნომენკლატურამ ყველაზე ლოგიკურ გამოსავლად არჩევნების გამართვა მიიჩნია, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდებოდა დისკრედიტებული „წითლების“ მიერ ხელისუფლების გადაცემა (პირობითი) „ვარდისფერებისთვის“ — ეროვნული მოძრაობის ზომიერი ფრთისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის; აგრეთვე, რადიკალების გამოყვანა არაფორმალური გავლენის ჩრდილოვანი ზონიდან და მათი სრულფასოვანი ინტეგრირება პოლიტიკურ სისტემაში. არჩევნები 1990 წლის 25 მარტისთვის დაინიშნა.

ფორმალური თვალსაზრისით, ეს არ იყო მრავალპარტიული არჩევნები, რადგან ჯერ კიდევ მოქმედებდა საბჭოთა კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელიც კომუნისტური პარტიის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებდა, თუმცა ალტერნატიული კანდიდატების წამოყენება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეეძლო. იმ საარჩევნო კანონით, არჩევნების გამართვა, დიდი ალბათობით, დასრულდებოდა იმით, რომ ხელისუფლებაში „ვარდისფერთა“ კოალიცია მოვიდოდა, ფლანგებზე კი განლაგდებოდნენ კომპარტია და (ასე ვთქვათ) „ნაციონალ-რადიკალები“. ეს არ იქნებოდა ძალიან მყარი კონსტრუქცია, შესაძლებელი გახდებოდა სხვადასხვა ჯგუფის მიერ ალიანსების შექმნა, დეპუტატების გადასვლა ერთი ფრაქციიდან მეორეში, იმ გამოწვევებიდან გამომდინარე, რომლებიც სსრკ-ის რღვევის პროცესში შეიქმნებოდა. თეორიულად ამ პარლამენტს შეეძლო, ქართული ელიტის კონსოლიდაცია უზრუნველეყო, ხოლო ქვეყანას სათავეში (დიდი ალბათობით, მალევე) ედუარდ შევარდნაძე ჩაუდგებოდა. ეს, ცხადია, არ იყო იდეალური ვარიანტი, მაგრამ საინტერესოა, დაიღვრებოდა თუ არა მისი რეალიზების შემდეგ ამდენი სისხლი?



**უსუფაშვილი 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში შევიდა და გამორიცხულია, ამ ნაბიჯს გარშემომყოფთა ნაწილის უკმაყოფილება არ გამოეწვია, რამაც ფიგურანტს, ალბათ, სულიერი ტრავმა მიაყენა, რომლის კომპენსირებას ის, სავარაუდოდ, ცდილობდა, როდესაც ღიად საუბრობდა «ზნეობრივ პრინციპზე... დროებით უარის თქმაზე», როგორც სავსებით მისაღებ ნაბიჯზე**



**ეროვნული მოძრაობის ლიდერები ამ არჩევნების ბოიკოტის გზას დაადგნენ. მათ გამოაცხადეს უზენაესი საბჭო კოლონიური მმართველობის არალეგიტიმურ ორგანოდ, შემდგომ კი დაიწყეს ზრუნვა ეროვნული კონგრესის არჩევნებზე, რომელიც მათ არაფორმალურ გავლენას დამატებით ლეგიტიმაციას შესძენდა. მარტივად რომ ვთქვათ, მათ ძველი ელიტის შემოთავაზება უარყვეს. ამის შემდეგ არჩევნებმა აზრი დაკარგა (იყო სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები, თუმცა ეს უმთავრესი გახლდათ).**

შემდგომ მოვლენებში, თბილისის ომის ჩათვლით, ძველი ელიტა ზვიად გამსახურდიას შეურიგებელ მოწინააღმდეგედ მოგვევლინება და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ მან 1990-ის დასაწყისში უარი თქვა შემოთავაზებულ გლობალურ კომპრომისზე და თამაშის წესების შეცვლა განიზრახა (არადა, ამისთვის საკმარისი რესურსი არ ჰქონდა).

ეროვნული კონგრესის შექმნის სტრატეგიამ აზრი მას შემდეგ დაკარგა, რაც გამსახურდიამ ბოიკოტის მიმართ პოზიცია შეცვალა და ოქტომბრის, ამჯერად მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება დააპირა. ამგვარად, გიორგი ჭანტურიასთან, ირაკლი წერეთელთან და სხვებთან მის კონფლიქტს (ისევე, როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევაში) საფუძვლად დაედო თამაშის პროცესში მისი წესების შეცვლის სურვილი. იმ ადამიანების გაერთიანება, რომლებიც მან ამ ორი პრინციპული კონფლიქტის შედეგად გადაიმტერა, ტექნიკის საქმე იყო, შემდგომ მათ „მრგვალი მაგიდის“ განაწყენებული წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

1990 წლის 25 იანვარს, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ უნივერსიტეტის **იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა დავით უსუფაშვილმა** (როგორც ცნობილია, ის კომპარტიაში 9 აპრილის შემდეგ შევიდა, რაც თავისთავად უნიკალური შემთხვევაა) გამოაქვეყნა წერილი სათაურით **„უკანასკნელი შანსი“** და ბოიკოტის მომხრეებს, რომელთა შორის მთავარ როლს მაშინ ეროვნული მოძრაობის ლიდერები ასრულებდნენ, მოუწოდა, 25 მარტის არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ. **„ეს ყველაფერი ძალების მაქსიმალურ დაძაბვასთან ერთად მანევრირებას და ზოგიერთ ზნეობრივ პრინციპზე (ოკუპანტის მიერ დაკანონებულ რეჟიმზე უარის თქმა და მისთანები) დროებით უარის თქმას მოითხოვს, პოლიტიკა ყოველთვის იყო, არის და დარჩება ყველაზე უფრო „უზნეო“ თამაშად და, გვსურს თუ არა ეს ჩვენ, სერიოზული პოლიტიკური ბრძოლის უმთავრესი პრინციპი იგივე რჩება – უფრო კეთილშობილური მიზანი ამართლებს ნაკლებად კეთილშობილურ საშუალებას“,** — წერდა უსუფაშვილი.

ზოგმა შეიძლება თქვას: „როგორიც იყო, ისეთივე დარჩა“ და ეს ციტატა პრიმიტიული მაკიაველიზმის თვალსაჩინო ილუსტრაციად ჩათვალოს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია სხვა რამ: **უსუფაშვილი ღიად სთავაზობს ნაკლებად ზნეობრივი ნაბიჯის გადადგმას იმ ადამიანებს, რომელთა გავლენა საზოგადოებაზე 9 აპრილის შემდეგ 100%-ით მორალურ ავტორიტეტს ეფუძნება. ეს, პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით, სრული უგუნურებაა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემოთავაზება სავსებით ლოგიკურია.** თუმცა აქ საქმე შეიძლება სუფთა ფსიქოლოგიურ პრობლემასთან გვქონდეს. თავად **უსუფაშვილი 9 აპრილის შემდეგ კომუნისტურ პარტიაში შევიდა და გამორიცხულია ამ ნაბიჯს გარშემომყოფთა ნაწილის უკმაყოფილება არ გამოეწვია, რამაც ფიგურანტს, ალბათ, სულიერი ტრავმა მიაყენა, რომლის კომპენსირებას ის, სავარაუდოდ, ცდილობდა, როდესაც ღიად საუბრობდა „ზნეობრივ პრინციპზე... დროებით უარის თქმაზე“ როგორც სავსებით მისაღებ ნაბიჯზე.** გაივლის წლები, სანამ ეს ნორჩი კარიერისტი ისწავლის „უზნეო თამაშის“ მაღალზნეობრივად წარმოჩენას.

არსებობდა თუ არა რეალური ალტერნატივა? მოხერხდებოდა თუ არა საქართველოში პოლიტიკური კომპრომისის კულტურის დამკვიდრება? შემდგომ განვითარებული მოვლენები უარყოფითი პასუხისკენ გვიბიძგებს, თუმცა გამორიცხული არაა, საპირისპირო მომხდარიყო. ფატალისტური კონსპიროლოგიური თეორიები იმის თაობაზე, რომ ყველაფერი თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ ყველა პოლიტიკოსი სპეცსამსახურების მარიონეტი გახლდათ, რომ ქართველებს არ შეუძლიათ გონივრულ კომპრომისზე წასვლა და ა.შ., არსებითად მხოლოდ საკუთარი სისუსტის გამართლებას ემსახურება. ალტერნატივა არსებობდა და, სხვათა შორის, დღესაც არსებობს.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ესენი არიან საქართველოს, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები. მათი მიზანია, საერთოდ, აღარ იყოს საქართველოს ხსენება, ალბათ, ქართველებიც არ არიან, თორემ როგორ შეიძლება, ადამიანს ასე ეზიზღებოდეს საკუთარი ქვეყანა?! მაგათი ოცნებაა, რომ ქართული სული ჩაკვდეს, ტრადიციულად, საღად და ნორმალურად თუ ვინმე აზროვნებს, დასაცინი გახდეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს გარყვნილება დიდხანს ვერ გასტანს. რა პროპაგანდამაც არ უნდა იმუშაოს, არ გაუვათ ის მზაკვრული ჩანაფიქრი... „კალგოტკიან“ ბიჭებს საქართველო არასოდეს მიიღებს.**

# გია კორკოტაშვილი: «კალგოტკიან» ბიჭებს საქართველო არასოდეს მიიღებს

**საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც კონსტიტუციაში ქორწინების განსაზღვრას ეხება, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი უარყოფითად აფასებს. მათ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცვლილების ძალაში შესვლის შემთხვევაში აუცილებელია, კონსტიტუციით გარანტირებული იყოს ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის სამოქალაქო პარტნიორობის შესაძლებლობა, რადგან ეს შეამცირებს ქვეყანაში არსებულ დისკრიმინაციულ გარემოს და შექმნის მეტ შესაძლებლობას თანასწორობისთვის.**



განცხადებას ხელს აწერენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), თანასწორობის მოძრაობა, ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ (OSGF), ადამიანის უფლებათა ცენტრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედიის განვითარების ფონდი (MDF), „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI), „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR), კავშირი „საფარი“ და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG).

„კონსტიტუციაში ამ ცვლილების შეტანას ექნება მსუსხავი ეფექტი ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე ქვეყანაში. აღნიშნული ცვლილების მიღების შემთხვევაში კი, მისი ნეგატიური ეფექტის დაბალანსების მიზნით, **აუცილებელია, პარალელურად დაიწყოს საკანონმდებლო ცვლილებების პროცესი სამოქალაქო პარტნიორობის, როგორც ერთი და იმავე სქესის წყვილების სამართლებრივი აღიარების ფორმის, დასაკანონებლად.** წლების განმავლობაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების კონსტიტუციური აკრძალვის თემა საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მიერ არაერთხელ გააქტიურდა. ყოველი ასეთი შემთხვევა თავისი არსით პოპულისტური იყო და საზოგადოებაში ტრადიციების დაცვის თუ ჰომოფობიურ განწყობებზე აპელირებით და არარსებული პრობლემის ხელოვნურად წამოჭრით პოლიტიკური ქულების ჩაწერას ემსახურებოდა. საგულისხმოა, რომ, არაერთი წელია, ტრადიციული ოჯახის დაცვისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვის თემებით მანიპულირება წარმოადგენს რუსული და ანტი-დასავლური ნარატივის ნაწილს. განსაკუთრებით აბსურდულია აღნიშნული ინიციატივა იმ ფონზე, როდესაც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება კანონმდებლობით ისედაც აკრძალულია, ხოლო ლგბტ-ჯგუფების მხრიდან ქორწინების თანასწორობის მოთხოვნა არასდროს დამდგარა. **მაშინ, როდესაც საქართველოში გახშირებულია ჰომოფობიური და ტრანსფობიური დანაშაულები და სიძულვილით მოტივირებული შემთხვევები გამოძიებული არ არის, ლგბტ პირთა უფლებების შეზღუდვის კიდევ უფრო ხისტი დემონსტრირება პირდაპირ წაახალისებს ჰომოფობიურ განწყობებს და დაამძიმებს ლგბტ ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობას“**, — ნათქვამია განცხადებაში.

**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის მსახიობ გია კორკოტაშვილს დაუკავშირდა.**

## «დღეს ვინც ამაზე ხმას არ ამოიღებს, ამ დუმილით მხარს დაუჭერს ქვეყანაში ცოდვის დაკანონებას»

**გია კორკოტაშვილი:**

— რა გითხრათ, ესენი არიან საქართველოს, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები. მათი მიზანია, რომ, საერთოდ, აღარ იყოს საქართველოს ხსენება. ისინი, ალბათ, ქართველებიც არ არიან, თორემ როგორ შეიძლება, ადამიანს ასე ეზიზღებოდეს საკუთარი ქვეყანა?! **მაგათი ოცნებაა, რომ ქართული სული ჩაკვდეს, ტრადიციულად, საღად და ნორმალურად თუ ვინმე აზროვნებს, დასაცინი შეიქნეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს გარყვნილება დიდხანს ვერ გასტანს. რა პროპაგანდამაც არ უნდა იმუშაოს, არ გაუვათ ის მზაკვრული ჩანაფიქრი... „კალგოტკიან“ ბიჭებს საქართველო არასოდეს მიიღებს.**

## «მაგათი ოცნებაა, რომ ქართული სული ჩაკვდეს, ტრადიციულად, საღად და ნორმალურად თუ ვინმე აზროვნებს, დასაცინი შეიქნეს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს გარყვნილება დიდხანს ვერ გასტანს. როგორმა პროპაგანდამაც უნდა იმუშაოს, არ გაუვათ ის მზაკვრული ჩანაფიქრი... მათ უნდა იცოდნენ, რომ საქართველო ეს ნაბიჭვარი არასამთავრობოები არ არის, საქართველო, უწინარესად, ქართველი ხალხი და მისი ტრადიციები, მისი კულტურა და ეროვნული მრწამსია»

რაც შეეხება განცხადებას, თუ საქართველოში სოდომია ოფიციალურად არ დაკანონდა, ქვეყნის იმიჯი საერთაშორისო დონეზე შეილახებაო, მათ **უნდა იცოდნენ, რომ საქართველო ეს ნაბიჭვარი არასამთავრობოები არ არის, საქართველო, უწინარესად, ქართველი ხალხი და მისი ტრადიციები, მისი კულტურა და ეროვნული მრწამსია. საქართველო არის ადამიანები, რომლებსაც ღირსება აქვთ და თავიანთ წინაპრებს, წარსულს პატივს სცემენ...**

**— როგორ ფიქრობთ, რა ძალები დგანან იმ არასამთავრობო ორგანიზაციების უკან?**

— ისინი ჩვეულებრივად იღებენ ანაზღაურებას, ანუ ჯამაგირს გარედან, რათა ქართულ ეროვნულ ღირებულებებს, ფასეულობებს და, საზოგადოდ, კულტურას ძირი გამოუთხარონ. ამაში იხარჯება კოლოსალური თანხა; ადამიანებს არწმუნებენ, რომ გარყვნილება, ვთქვათ, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება პროგრესის ნიშანია, რომ ამის გარეშე სახელმწიფო ვერ განვითარდება და ა.შ., მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება ეს. თვითონ თუ სჭირდებათ, წაიყვანონ თავიანთ ქვეყნებში ეს ხალხი და იქ ატარებინონ აღლუმები. კიდევ ვიმეორებ მათ გასაგონად: აქ, საქართველოში, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება არ უნდა დაკანონდეს, ყოველ შემთხვევაში, მე, პირადად, და კიდევ ბევრი ადამიანი თავს გავწირავთ იმისთვის, რომ აქ სოდომია არ დაკანონდეს; და, თუ ვიღაც პირში წყალს ჩაიგუბებს, უნდა იცოდეს, რომ ეს საქციელი მათი მხარდაჭერის ტოლფასი იქნება. **დღეს ვინც ამაზე ხმას არ ამოიღებს, ამ დუმილით მხარს დაუჭერს ქვეყანაში ცოდვის დაკანონებას...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# რატომ არის ცუდი კა-გე-ბეს, ხოლო კარგი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეტასტაზები



**2012-2014 წლებში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმებისდროინდელი სახელმწიფო უშიშროების მაღალჩინოსნის, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის — ირაკლი ალასანიას მეუღლემ, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის — მაია ფანჯიკიძის დამ და მწერალ გურამ ფანჯიკიძის შვილმა, ნათია ფანჯიკიძემ, სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა განცხადება, რომელმაც ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი აღაშფოთა.**

„მიხარია, რომ ახალი თაობის უმეტესობამ არ იცის რუსული. ეს ერთგვარი გარანტიაა, რომ კა-გე-ბეს მეტასტაზები მალე თავისი სიკვდილით განადგურდება. მანამდეა შესანარჩუნებელი ქვეყანა, სანამ ეს თაობა გახდება ამომრჩეველიც და ქვეყნის მფლობელიც“. აი ეს არის იმ ქალის გონების ნაჟური, რომლის მეუღლის მამა — **მამია ალასანია**, კა-გე-ბეს პოლკოვნიკი იყო და სოხუმში სეპარატისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს; ეს არის გონების ნაჟური მწერლის შვილისა და „ტიგრიცად“ ცნობილი ფილოლოგ-დიპლომატის დისა.

„რუსული ენა — ეს არის ენა, რომელიც პოეზიისთვის არის შექმნილი, ის არაჩვეულებრივად მდიდარია და შესანიშნავია მრავალფეროვნებით“. ეს გამოჩენილმა ფრანგმა მწერალმა და მთარგმნელმა, „კარმენისა“ და „მატეო ფალკონეს“ ავტორმა **პროსპერ მერიმემ** თქვა XIX საუკუნეში. **ნათია ფანჯიკიძეს**, მწერლის შვილს, კი უხარია, რომ ქართველთა ახალგაზრდა თაობა რუსული ენის უცოდინარობის გამო ორიგინალში ვერ წაიკითხავს ლევ ტოლსტოის „მამა სერგის“, „ანა კარენინასა“ და „ომი და მშვიდობას“; დოსტოევსკის „იდიოტს“, გოგოლის „რევიზორს“, ილფისა და პეტროვის „12 სკამს“, ჩეხოვის „პალატა №6“-ს... თუმცა იმ თაობას, რომელსაც ქალბატონი ნათია გულისხმობს და რომელიც, განათლების ოდიოზური მინისტრის — **ალექსანდრე ჯეჯელავას** გულის გასახარად, „ჰარი პოტერსა“ და „ბეჭდების მბრძანებელზე“ გაიზარდა (ფილმები აქვს ნანახი) და არა „ნაცარქექიასა“ და „რწყილი და ჭიანჭველაზე“, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ ო. ჰენრის, ჯერომ სელინჯერის, მარკ ტვენის, ერნესტ ჰემინგუეისა და სხვა ამერიკელი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები არ აქვს წაკითხული, არამედ არც ვაჟას, ილიას, აკაკის შემოქმედებას იცნობს... გურამ ფანჯიკიძის ნაწარმოებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, გაგონილიც არ ექნება.

ნიშანდობლივია, რომ თავის ე.წ. ფეისბუქგანცხადებაში „ტიგრიცას“ (ასე მიმართა მაია ფანჯიკიძეს ბიძინა ივანიშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრად წარდგენისას. სხვათა შორის, „ტიგრიცა“ რუსული სიტყვაა და ძუ ვეფხვს ნიშნავს. ეს — რუსული ენის უცოდინარი თაობისთვის) დაიკო „კა-გე-ბეს მეტასტაზებში“ რუსული ენის მცოდნეთ გულისხმობს, ანუ იმ თაობის წარმომადგენლებს, რომელთა წლოვანებაც 45 წელზე მეტია და ნატრობს, ეს ხალხი, რაც შეიძლება მალე განადგურდეს... თუმცა, ქალბატონ ნათიას არ დაუკონკრეტებია, რატომ უნდა განადგურდეს „კა-გე-ბეს მეტასტაზები“, ხოლო განვითარდეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის სიმსივნური წარმონაქმნები.

სწორედ ჩეხოვის პალატა №6-შია ამ ქალბატონის ადგილი...

**ლუკა მაისურაძე**

**მე მიყვარს სამშობლო, დედაეკლესია და მძულს ლგბტ-სექტა, რადგან ის იმის მტერია, რაც მიყვარს! მძულს ერთნაირსქესიანთა ქორწინება იმიტომ, რომ არ მინდა, ამ ბინძური წყვილების მიერ შვილად აყვანილი ბავშვები სკოლაში ჩემი შვილიშვილების გვერდით ისხდნენ, რადგან დანომრილი „დედები“ თუ „მამები“ ნაშვილებ ბავშვებსაც პედერასტებად ან ლესბოსელებად ზრდიან...**



## ავი მუსაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წინამდებარე წერილი ჩემი რეაქციაა ინგა გრიგოლიას 4 აპრილის „რეაქციაზე“, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის „პრიმადონამ“ „ველური ქართველების“ მიერ ჩაგრულ ლგბტ-უმცირესობას მიუძღვნა.**

# კესოდ ქცეული ჯემალის გამაუპატიურებელიც და მკვლელიც ლგბტ-თა წიაღში ექებონ და ჩვენ თავი დაგვანებონ

## საძულველზე სიყვარულით როგორ ვილაპარაკო?!



საკითხში უკეთ რომ გავერკვიოთ, უახლოესი წარსული გავიხსენოთ, რომლის მოწმეც და მონაწილეც თვითონ გახლდით.

რუსთაველის პროსპექტზე აღლუმის ჩატარება პედერასტებმა პირველად 2012 წლის 17 მაისს სცადეს.

თბილისში არსებობს ნობელის ლაურეატი გერმანელი მწერლის, **ჰენრიხ ბიოლის**, სახელობის ფონდი. არ ვიცი, რა კავშირი ჰქონდა ბიოლს პედერასტიასთან, მაგრამ თბილისში არსებული მისი სახელობის ოფისი ლგბტ-თა თავშეყრის ადგილი რომ არის, ჩემი თვალით მინახავს.

ჰოდა, 16 მაისს იმ ოფისში შეკრებილა ქართველი პედერასტების „ისტებლიშმენტი“ და ისე, რომ არ დაუანონსებიათ (2010-11 წლების მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ალბათ, იფიქრეს, რომ დაანონსებულ გეიაღლუმს არ დაუშვებდა ქართველი საზოგადოება), მეორე დღეს დათქვეს შეკრება ფილარმონიასთან, 51-ე საჯარო სკოლის წინ.

**შეიკრიბნენ დღის 12 საათზე, ანუ გაგანია სასწავლო პროცესის დროს. მოსწავლე ბავშვების თვალწინ ურცხვად „დაუზასა“ ერთმანეთს სპეციალურად მოწვეულმა ორმა ამერიკელმა პედერასტმა (რომლებსაც, გარკვეულწილად, აღლუმის დაცვის ფუნქციაც უნდა შეესრულებინათ — აშშ-ის მონა სააკაშვილის რეჟიმი ამერიკის მოქალაქეებს უპატრონოდ ხმას გასცემდა?) და ლგბტ-თა დროშებისა და პლაკატების ფრიალით რუსთაველის მიმართულებით დაიძრა გეი-აღლუმი.** სერიოზული ინციდენტების გარეშე გაიარეს მანძილი ფილარმონიიდან ე.წ.დომ კინომდე, ანუ ზემელამდე და აი იქ „დაერხათ“...

დარი იყო და „დომ კინოს“ კუთხეში ბიჭები ვმასლაათობდით... პირველად ვერ მივხვდი, პროცესიის წარმომადგენლები ვინ იყვნენ, მაგრამ ახლოს რომ მოვიდნენ და მათ პლაკატებზე ლოზუნგები წავიკითხე: „ბედნიერება მრავალფეროვნებაშია, შენც გაბედნიერდი“, „შენც გახდი გეი“ და ა.შ., არიქა, ბიჭებო, პედერასტები ყოფილან-მეთქი და მე, **სოსო მანჯავიძე** (დღეს საკრებულოს დეპუტატი) და **კოტე ინაშვილი** (დღეს ტელეარხ „ობიექტივის“ წამყვანი, პარლამენტის ვიცესპიკერის — ირმა ინაშვილის ძმა) პირველები გადაველობეთ გეიაღლუმს, შემდეგ ქუჩაში გამვლელებიც წამოგვეშველნენ და პროცესია, რომლის მარშრუტის ბოლო წერტილი პარლამენტის შენობის წინარე მოედანი იყო, ზემელზე დავამუხრუჭეთ.

შემდეგ რაც მოხდა, ნაწილობრივ იხილა ტელემაყურებელმა — მასობრივი შეხლა-შემოხლის ფონზე ის პლაკატი დავლეწე, რომელიც „გაბედნიერებისკენ“ მომიწოდებდა, სოსო მანჯავიძემ კი „მამა-შვილური“ ალიყური აჭამა „პლაკატმზიდს“ — ერთი სიტყვით, პირველი გეიაღლუმის ჩატარების მცდელობა კრახით დასრულდა საქართველოს ლგბტ-ებისა და მათი ამერიკელი კოლეგებისთვის.

რუსთაველის გამზირის, ქაშვეთის წმინდა ტაძრისა და 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის წაბილწვის მეორე მცდელობა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის 7 თვის შემდეგ, 2013 წლის 17 მაისს, ჰქონდათ პედერასტებს, რაც ნაცების მიერ დაგეგმილ პროვოკაციას ჰგავდა, რადგან **ხელისუფლება დილემის წინაშე აღმოჩნდა:**

**არ მისცემდა საშუალებას, რომ ე.წ. გამოხატვის თავისუფლებით ესარგებლათ პედერასტებს და რუსთაველზე აღლუმით ჩაევლოთ, ჩვენი „მეგობარი“ დასავლეთისა და პირადად აშშ-ის ელჩის რისხვას დაიმსახურებდა.**

პირიქით ეცდებოდა და ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ, რა ძალებით შეძლებდა ხელისუფლება იმ დღეს თბილისის ქუჩებში (და არა მხოლოდ რუსთაველზე, ყველა უბანში ფხიზლად იყვნენ ე.წ. ქუჩის ბიჭები) გამოსული ასიათასობით ადამიანის რისხვის განეიტრალებას, ხოლო ჯარს თუ გამოიყვანდა, ე.წ. ვარდების რევოლუციის გვერდით საქართველოს ისტორიაში „ტაბურეტკების“ რევოლუციაც დაიკავებდა ადგილს.

საბოლოოდ ხელისუფლებამ ჩაქოლვას გადაარჩინა ერთი მუჭა პედერასტები, რომლებსაც ეყოთ თავხედობა, რომ, მიუხედავად ქუჩებში გამოსული ზღვა ხალხისა, სცადეს იმ პროვოკაციის მოწყობა, რომელსაც ე.წ. გამოხატვის თავისუფლების ბოროტად გამოყენება ჰქვია. მეორე დღეს, 2013 წლის 18 მაისს, ერთი მხრივ, აშშ-ის ელჩის ხელმძღვანელობით დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიური კორპუსი, ხოლო, მეორე მხრივ, „ღია საზოგადოება საქართველოს“ (სოროსის ფონდი) ქართული ასოები კაპიტან **გიგაურის** მეთაურობით პარლამენტის წინ ლგბტ-თა გამოსაქომაგებლად გამოვიდნენ, ანუ ის ადამიანები, რომლებსაც არც 7 ნოემბრის დარბევაზე, არც 26 მაისის სასაკლაოზე, არც ქუჩებში ათობით დახვრეტილ ახალგაზრდაზე, არც ციხეებში პატიმართა მასობრივ წამებაზე და, საზოგადოდ, დემოკრატიის შუქურად წოდებული 9-წლიანი ფაშისტურ-სადისტური რეჟიმის საწინააღმდეგოდ კრინტიც არ დაუძრავთ!

**ამის საპასუხოდ ჩვენმა ბრძენმა პატრიარქმა ერთ-ერთი ქადაგებისას სწორედ 17 მაისი გამოაცხადა ოჯახური სიწმინდის, ტრადიციული ღირებულებების დაცვის დღედ.** ამას მოჰყვა **ლევან ვასაძის** მიერ ორგანიზებული ოჯახის დაცვის მსოფლიო კონგრესი, რომელიც 2014 წლის 17 მაისს ჩატარდა ფილარმონიაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და, აბა, პედერასტები რაღას გაბედავდნენ — მას შემდეგ სხედან ბუჩქებში უკეთესი დღეების მოლოდინში, რომლებიც არ იქნა და არ დაუდგათ და, უფლის წყალობით, არასდროს დაუდგებათ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში.

აქეთ უკიდურესი სოციალური გაჭირვებაა, იქით — საგარეო პოლიტიკის, კრახი თუ არა, სრული სტაგნაცია, სახელისუფლო კრიზისი. მოკლედ, იმდენი სამწუხარო რამ ხდება ჩვენს ქვეყანაში, რომ დავით გურამიშვილი მახსენდება — „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი“ და რა დროს ინგა გრიგოლიას „რეაქცია“ იყო პედერასტებზე?!

**აგერ მორიგი 17 მაისი მოდის და ხომ არ იყო ინგა გრიგოლიას ის „რეაქცია“ ზონდაჟი იმისა, შეიცვალა თუ არა საქართველოს მოსახლეობის განწყობა, საზოგადოდ, პედერასტებისა და, კონკრეტულად, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონების მიმართ?!**

**ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო კონსტიტუციაში ოჯახის დეფინიციის შეტანა, რომ ოჯახი არის მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი ერთობა.**

მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს და ერთი ხელის მოსმით შეუძლია ამ დაპირების შესრულება, ხელისუფლება კრინტს არ ძრავს. ისე, რომელი დაპირება შეასრულა „ქართულმა ოცნებამ“ (ბიძინა ივანიშვილმა), რომ ეს შეასრულოს?!

სამაგიეროდ, რაც არ დაგვპირებია, იმის შესრულებას აპირებს — **ნაცების (წაიკითხე — დასავლეთის) ზეწოლით აქტიურად მიმდინარეობს სჯა-ბაასი კონსტიტუციაში საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანის უცვლელობის ჩაწერის თაობაზე, რაც სრული აბსურდია: ის ევროატლანტიკა თუ ხრამში იჩეხება, რადგან კონსტიტუციაში ჩავწერთ, ჩვენც უნდა გადავყვეთ?**

საზოგადოებას იმასაც შევახსენებ, რომ, **თუ აქამდე დასავლეთი, საზოგადოდ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სდებდა ბრალს ჰომოფობიასა და სიძულვილის ენით საუბარში, ახლა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშში პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი „მხილებული“ მსგავს „ცოდვებში“... ქართველი ერის ეს აშკარა შეურაცხყოფა, ისევე, როგორც ბევრი სხვა, რომ იტყვიან, გაატარა ჩვენმა ფარჩაკმა ხელისუფლებამ.**

რა უნდათ, რას ითხოვენ ჩვენგან, რომელ ტოლერანტობაზე გვიკითხავენ ლექციებს წარმომადგენლებს იმ ქვეყნისა, რომელიც ერთადერთია, სადაც ებრაელთა დარბევები არასდროს ყოფილა? რას და საქართველოში თურმე პედერასტების გაუპატიურება და მკვლელობა გახშირებულა.

იქნებ ასეც არის, მაგრამ ჩვენი, ქართველი საზოგადოების ნორმალური ნაწილის რა ბრალია? **რომელ ჰეტეროსექსუალს, ანუ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მამაკაცს აღაგზნებს ქალად ქცეული კაცი თუ პირიქით? ამის გაფიქრებაც კი გულისრევას იწვევს ყველა ნორმალურ ადამიანში.**

**ჰოდა, კესოდ ქცეული ჯემალის გამაუპატიურებელიც და მკვლელიც ისევ ლგბტ-თა წიაღში ეძებონ და ჩვენ თავი დაგვანებონ.**

ებრაელები ვახსენე — საქართველოში არა თუ იუდეველთა, არამედ არც ერთ ტრადიციულ კონფესიასთან არ ყოფილა რელიგიური მოტივით კონფლიქტი.

მაგრამ, როდესაც იელოველები სახლში შემოგეჭრებიან და სატანისტურ მოძღვრებას გიქადაგებენ, ერთი-ორი რომ გაუსილაქო, რელიგიური შეუწყნარებლობა იქნება? ან საქართველოში მრავალი მეჩეთია და, რამდენიც გინდა, აუარე და ჩაუარე მას ქრისტიანმა კაცმა, ხმას არავინ გაგცემს, მაგრამ, თუ აჭყვიტინებული გოჭით ხელში შემოუვლი მეჩეთს და ამის გამო ვინმე დაგბეგვავს, ამას რელიგიური საფუძველი ექნება თუ უბრალო ბოროტი ხულიგნობისა?

ან კიდევ — როდესაც რესტორანში მეგობრებთან ერთად ქეიფობთ და გვერდით მაგიდასთან ორი მამაკაცი „ზასაობას“ დაიწყებს, ამისთვის კი მაგრად დაჟეჟავთ, ამას სექსუალური უმცირესობის ჩაგვრა ჰქვია?

**მინდა, ქალბატონ ინგა გრიგოლიას მივმართო, რომელიც მსგავს თემებზე თოქშოუებში ყოველთვის მხარეა და არა ობიექტური წამყვანი:**

საქართველოში არ არსებობს არც სექსუალური, არც რელიგიური და, საერთოდ, არანაირი ფობია. რაც შეეხება სიძულვილის ენით საუბარს, რაშიც ბრალი, ვიმეორებ, ჩვენს საყვარელ პატრიარქსაც კი დასდეს, მინდა, ვკითხო ქალბატონ ინგასაც და სახალხო დამცველს „ასოებითურთ“:

*** ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით, ყველა და ყველაფერი უნდა მიყვარდეს და სიბინძურის სიძულვილის უფლება არ მაქვს?**

მაშინ მიმიფურთხებია ასეთი „ადამიანის უფლებებისთვის“!

*** მე მიყვარს** სამშობლო, დედაეკლესია და **მძულს** ლგბტ-სექტა, რადგან ის იმისი მტერია, რაც მიყვარს!

*** მძულს** ერთნაირსქესიანთა ქორწინება იმიტომ, რომ არ მინდა, ამ ბინძური წყვილების მიერ შვილად აყვანილი ბავშვები სკოლაში ჩემი შვილიშვილების გვერდით ისხდნენ, რადგან დანომრილი „დედები“ თუ „მამები“ ნაშვილებ ბავშვებსაც პედერასტებად ან ლესბოსელებად ზრდიან...

ერთი სიტყვით, ნორმალური ქართველი საზოგადოების ტოლერანტობა იმით შემოიფარგლება პედერასტების მიმართ, რომ, სადაც ისინი იქნებიან — იქ ჩვენ არ მივალთ და, სადაც ჩვენ ვიქნებით — იქ ისინი ვერ მოვლენ.

**ვისაც ქართული ტოლერანტობა ხელს არ გაძლევთ, აჰა, „ვიზალიბერალიზაცია“ და ევროპულ ტოლერანტობაში მიბრძანდით, მაგრამ, მგონი, მალე იქაც არ მოგასვენებენ — ამას წინათ ჰოლანდიაში, ერთნაირსქესიანთა ქორწინებების მექაში, გეიწყვილი მხოლოდ იმისთვის დაჟეჟეს ჰოლანდიელმა ახალგაზრდებმა, რომ ქუჩაში ხელიხელჩაკიდებულები მისეირნობდნენ.**

ნათქვამია, ძაღლი ვინც მოკლა, გზიდანაც იმან გადაათრიოსო.

ჰოდა, ქრისტიანულ მორალზე აღმოცენებული ბებერი ევროპა, დღეს ყოველგვარი მორალის უარმყოფელი და ხსენებული სიბინძურეების ავტორი დასავლეთი, ნელ-ნელა იღვიძებს და მოკლულ ძაღლსაც, ალბათ, ის გადაათრევს.

თუ არა, ჩვენ, მართლმადიდებელი საქართველო, ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად საკუთარ საზღვრებს მაინც დავიცავთ ლგბტ-ტერორიზმისგან, რომელიც უფრო სახიფათოა, ვიდრე, საზოგადოდ, ტერორიზმი, რადგან ერთი მხოლოდ გკლავს, ხოლო მეორე გადაგვარებას გიქადის...

**დავით მხეიძე**

**P.S. ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას გილოცავ, ჩემო სამშობლოვ!**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თურმე გიორგი კალანდიას სულელურ ჩანახატს მეტი დამაჯერებლობა, წონა და ფასი აქვს, ვიდრე საერთაშორისო დოკუმენტში ოფიციალურ ჩაწერილ ფარაზას: „ვიზების გამარტივებული წესით გაცემა“. გიორგი კალანდიას ჩანახატში კი ის წერია, რომ საფრანგეთის საზღვარზე გადასვლისას ფრანგმა მესაზღვრემ, როდესაც კალანდიას პასპორტს დახედა და იქ „ჯორჯია“ წაიკითხა, მას გაუღიმა, ხოლო მის უკან რიგში მდგომ სხვა ერების წარმომადგენლებს თურმე სულ ბღვერა-ბღვერით გამოართვა პასპორტები.**

# ევრომესაზღვრის ღიმილი და პროვინციალიზმის დოლი

**„ბავშვობაში ბოშა ქალმა მიმარჩიელა ხელისგულზე:
— შენ დიდი ბიჭი გაიზარდოს, ამერიკაში წახვიდე...
ახლა, 37 წლის შემდეგ, ნიუ-იორკის აეროპორტის საკონტროლო პუნქტში თავაზიანმა, მულატმა გოგონამ პასპორტი რომ დამიბრუნა, ის ბოშა ქალი გამახსენდა და გამეცინა. იმ მულატ გოგონას ცერა თითი ვუჩვენე, კარგი ხარ-მეთქი, თან ინგლისურად დავაყოლე:
— ო, კეი!
— სპასიბო, — მიპასუხა სიცილით და ამერიკის კარი გამიღო“.
ასე იწყება ნოდარ დუმბაძის პუბლიცისტური პროზის ბრწყინვალე ნიმუში „ოდისევსის დაბრუნება“, რომელიც მწერლის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვოიაჟსა და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს ასახავს.**

დიდი ქართველი მწერლის ეს ნაწარმოები ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელებულმა ჩანახატებმა გამახსენა, რომლებშიც ქართველი ფეისბუქმომხმარებლები თავიანთ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ, რომელიმე ევროპული ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას რომ მიიღეს.

წერის მანერისა და გადმოცემის უნარის გარდა, მათ შორის განსხვავება კიდევ ის არის, რომ **ნოდარ დუმბაძე** ჩვეული პირდაპირობითა და სამართლიანობით მიმოიხილავს ამერიკის, როგორც უარყოფით, ასევე დადებით მხარეებს საბჭოთა კავშირთან შედარებით.

**ევროპის საზღვრებს მიცვენილი ეს „ახალი ქართველები“ კი ცდილობენ, გული აგვიჩუყონ და ისეთ სისულელეებს წერენ, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ცრემლი შეიძლება მოგადგეს არა სიამაყისგან, არამედ ამხელა ქლესობისა და სიყალბის შემხედვარეს.**

სიტყვა „სიამაყე“ შემთხვევით არ მიხსენებია. აკი, ამ ჩანახატების ძირითადი მიზანი ის არის, რომ სიამაყის გრძნობა გაგვიღვიძონ იმის გამო, რომ ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ.

მაგრამ ჩემი ქართველობით სიამაყე ჭარბადაც გამაჩნია და მას არავისგან სჭირდება „შეღვიძება“, მაგრამ საქმე ის არის, რომ **ეს „ევროპისკენ გაცვენილები“ მოგვიწოდებენ, ვიამაყოთ არა ჩვენი ერით, ჩვენი კულტურით, ჩვენი ქართველობით, არამედ იმით, რომ ევროპელი მესაზღვრეები თურმე ადამიანებად გვაგდებენ და გვიღიმიან(!).**

„გერმანიაში მესაზღვრემ რომ პასპორტი გამომართვა და დახედა, საქართველოდან ვიყავი, გამიღიმა, მითხრა — უფრო ბევრს გელოდებით ქართველებსო, აბა, თქვენ იცითო და წარმატებები გვისურვა“.

„საფრანგეთში მესაზღვრემ ჩემს პასპოროტს დახედა, იქ წმინდა გიორგის გაუღიმა, მერე მე ამომხედა, — მიბრძანდით, თქვენთვის კარი უკვე ღიააო, — მითხრა“.

მსგავსი ჩანახატებით გაივსო ქართველ ფეისბუქმომხმარებელთა გვერდები.

ამას შემდეგ მოსდევს იმ სცენების ხატვა, უცხოელი მესაზღვრეებისგან ღიმილით პატივდადებული ქართველები როგორ ჩამოსხდნენ რომელიღაც ევროპული ქალაქის აეროპორტთან ახლოს ბორდიურზე და სიამაყის ცრემლები აღვარღვარეს, როგორ იგრძნეს თავი ნამდვილ ადამიანებად და როგორ იამაყეს ცხოვრებაში პირველად იმით, რომ ქართველები არიან.

აი, სად „იხსნება“ მთელი ამათი აზროვნება.

**თურმე სიამაყე მხოლოდ მაშინ უნდა გაგიჩნდეს, თუ რომელიღაც ქვეყნის მესაზღვრემ გაგიღიმა და თავის ქვეყანაში შეგიშვა. რა ვიცი, პატივცემულებო, მე ბოდიშს ვიხდი რედაქციასა და მკითხველთანაც, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი: სულ ფეხებზე მკიდია, რომელი ევროპული, აზიური, აფრიკული თუ ამერიკული ქვეყნის მესაზღვრე სად შემიშვებს და სად — არა. ამის გარეშეც ძალიან მეამაყება, რომ ქართველი ვარ და ნამდვილად არ მიჩუყებს გულს ეგ თქვენი ტუტუცური ჩანახატები, რომლებშიც, დარწმუნებული ვარ, ნახევარზე მეტი თქვენივე მოგონილი ტყუილებია.**

თუმცა რა შეიძლება ელაპარაკო ადამიანებს, რომლებსაც ვინმეს ჩანახატი უფრო სერიოზულ და დამაჯერებელ არგუმენტად მიაჩნია, ვიდრე ოფიციალური საერთაშორისო ხელშეკრულებები და დოკუმენტები.

სიმართლეს ვიტყვი: დღევანდელ ნომერში ამ თემაზე საგაზეთო წერილის დაწერა ერთმა ამბავმა განაპირობა, თორემ სულ სხვა საკითხზე ვაპირებდი თქვენი ყურადღების მიქცევას. საქმე ის არის, რომ **მას შემდეგ, რაც ჩვენი გაზეთის ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნებულ ჩემს მასალაზე ერთ-ერთი მკითხველის კომენტარი ვნახე, უკვე სერიოზულად დავფიქრდი, რომ ადამიანების ერთი ნაწილის მთავარი პრობლემა აზროვნების უქონლობაა.**

საუბარი მაქვს ჩემი ავტორობით ამავე გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე, რომელშიც ვამბობ, რომ მთავრობა ცრუპენტელობს და განგებ ამკვიდრებს ტერმინს — **„ევროპასთან უვიზო მიმოსვლა“,** რათა ამით მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს. **სინამდვილეში კი, საქართველოს ევროპასთან არა „უვიზო“ მიმოსვლა, არამედ „ვიზების გამარტივებული წესით გაცემის“ რეჟიმი აქვს.**

აი, ამაზე ვინმე ქალბატონი „ანი“ ბრალს მდებს, რომ, თურმე, საქართველოს მთავრობა კი არა, მე ვიტყუები; თურმე საქართველოს მოქალაქეებს ნამდვილად „უვიზოდ“ უშვებენ შენგენის ქვეყნებში და, როგორ გგონიათ, რა მოაქვს ამის დამადასტურებელ არგუმენტად? — რა და, არც მეტი არც ნაკლები, ვინმე **გიორგი კალანდიას** ჩანახატი.

დიახ, **მისი აზრით, თურმე, გიორგი კალანდიას სულელურ ჩანახატს მეტი დამაჯერებლობა, წონა და ფასი აქვს, ვიდრე საერთაშორისო დოკუმენტში ოფიციალურ ჩაწერილ ფარაზას: „ვიზების გამარტივებული წესით გაცემა“.**



**ევროპის საზღვრებს მიცვენილი ეს «ახალი ქართველები» ცდილობენ, გული აგვიჩუყონ და ისეთ სისულელეებს წერენ, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს ცრემლი შეიძლება მოგადგეს არა სიამაყისგან, არამედ ამხელა ქლესობისა და სიყალბის შემხედვარეს... ეს «ევროპისკენ გაცვენილები» მოგვიწოდებენ, ვიამაყოთ არა ჩვენი ერით, ჩვენი კულტურით, ჩვენი ქართველობით, არამედ იმით, რომ ევროპელი მესაზღვრეები თურმე ადამიანებად გვაგდებენ და გვიღიმიან(!)**

**გიორგი კალანდიას ჩანახატში კი ის წერია, რომ საფრანგეთის საზღვარზე გადასვლისას ფრანგმა მესაზღვრემ, როდესაც კალანდიას პასპორტს დახედა და იქ „ჯორჯია“ წაიკითხა, მას გაუღიმა, ხოლო მის უკან რიგში მდგომ სხვა ერების წარმომადგენლებს თურმე სულ ბღვერა-ბღვერით გამოართვა პასპორტები.**

აი, ამან აუჩუყა გული გიორგი კალანდიასაც, ვინმე „ანისაც“ და კალანდიას ამ გულისამაჩუყებელი ჩანახატის სხვა კომენტატორებსაც.

**მათი ხბოს აღტაცების შემხედვარეს შეიძლება გაგიჩნდეს განცდა, რომ ევროპელ მესაზღვრეებს პირზე ღიმილი ქართველების მიმართ მხოლოდ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის შემდეგ გაუჩნდათ, თორემ მანამდე „ვიზიან“ ქართველებს სულ დედის გინებით ატარებდნენ საზღვრაზე.**

მინდა, „ანის“ მსგავს ევროალფრთოვანებულებს ვკითხო: თუკი ევროპასთან „უვიზო“ მიმოსვლა გვაქვს და მე ვიტყუები, მაშინ **რატომ ჰქვია ამ მოვლენას ოფიციალურად „ვიზალიბერალიზაცია“? ანუ, თუკი ვიზები საერთოდ აღარ არსებობს, მაშინ რის „ლიბერალიზაციაზეა“ საუბარი?**

თუმცა **„ანის“ მსგავსი გოგოშკებისთვის, აკი მოგახსენეთ, გიორგი კალანდიას მსგავსი ბიჭუშკების „ხბოს ჩანახატები“ უფრო დამაჯერებელია, ვიდრე საერთაშორისოდ მიღებული ტერმინოლოგია, დოკუმენტი, ხელშეკრულების ტექსტი.**

თანაც, **დარწმუნებული ვარ, „ანი“ და მისი მსგავსნი, რომლებიც ასე „პატრიოტულად“ მიტევენ, დასაქმებულნი არიან საგარეო საქმეთა სამინისტროში ან რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყებაში. სხედან, წამწამებს ძალიან ევროპულად აფახულებენ და გაგებაში არ არიან იმ საქმისა, რა საქმეშიც ისინი გავლენიანმა ბიძიებმა ან, სულაც, ბიძისტოლა თაყვანისმცემლებმა დაასაქმეს.**

მთავარია, რომ „ანი“-ებს საკუთარი „ევროპული თავი“ მიაჩნიათ „წარმატებულად“, „შემდგარად“ და იმასაც კი კადრულობენ, რომ ჩემზე წერენ: „ამ ჟურნალისტისთვის დამახასიათებელია ფაქტების დამახინჯებულად წარმოდგენა“-ო.

**პატივცემულო „ევროპიელო ანი“-ებო! ისე, რომ იცოდეთ, ევროპული წესია: როდესაც ადამიანზე ასეთ რამეს წერ, ამის დამადასტურებელი ერთი შემთხვევა მაინც უნდა გაიხსენო და ერთ ფაქტი მაინც დადო.**

აჰ! თუმცა არც ეს გაუჭირდებათ „ევროპიელებს“ — მოძებნიან სადმე ვინმეს ჩანახატს იმის შესახებ, რომ ვიტყუები, ფაქტებს დამახინჯებულად ვავრცელებ და მორჩა! ეგაა მაგათთვის მტკიცებულებაც, არგუმენტიც და ყველაფერი.

**სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტზე მაღლა გიორგი კალანდიას სისულელეები დგას, ჩემ წინააღმდეგ ჩანახატების დაწერა გაუჭირდებათ ვითომ?!**

ასე რომ, ველოდოთ აწიც სოციალურ ქსელებში ამ ტიპის ჩანახატებს:

**„როდესაც ამა და ამ განვითარებული, ჩვენნაირ ველურებზე ბევრი თავით მაღლა მდგომი, საოცნებო ქვეყნის საზღვარზე გადავდიოდი და მესაზღვრეს პასპორტი მივაწოდე, მან, როგორც კი დაინახა, რომ ეს საქართველოს პასპორტია, გამიღიმა, მხარზე ხელი მომითათუნა, ბეჭებზე ხელი დამკრა, გადამეხვია, გადამკოცნა, მერე გაიქცა, საიდანღაც ტაშტი მოარბენინა, შიგ თბილი წყალი ჩაასხა და ფეხები დამბანა, ხელში ამიყვანა და ასე გადამიყვანა საზღვარზე; მერე თავი დახარა, ჩემი ხელი დიდხანს ეჭირა ხელში და მევედრებოდა, — რაც შეიძლება ბევრი ქართველები ჩამოდით, ხომ იცით, როგორ გვიყვარხართო“.**

მერე ამ ჩანახატებს წაიკითხავენ „ანები“, „თაკოები“, „თიკოები“, სხვა „კოები“... აცრემლდებიან და დიდხანს იამაყებენ თავიანთი ქართველობით, რადგან საქართველოთი სიამაყის განცდა ხომ მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ევროპელი მესაზღვრე გაგიღიმებს!

აი, ისე, როგორც ნოდარ დუმბაძეს გაუღიმა თურმე მულატმა მესაზღვრემ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არც ვიზალიბერალიზაცია იყო და არც დამოუკიდებელი საქართველო. დუმბაძე საბჭოთა მოქალაქის სტატუსით გადადიოდა საზღვარზე, ხოლო მულატ მესაზღვრეს იგი რატომღაც რუსი ეგონა.

**მაშ, რატომ გაუღიმეს დუმბაძეს? აკი მესაზღვრეები მხოლოდ ქართველებს უღიმიან და ისიც მხოლოდ ე.წ. ვიზალიბერალიზაციის შემდეგ?!** ეს, ალბათ, სამუდამოდ დარჩება გამოცანად ჩვენთვის...

**სინამდვილეში კი, საქართველოს ევროპასთან არა «უვიზო» მიმოსვლა, არამედ «ვიზების გამარტივებული წესით გაცემის» რეჟიმი აქვს**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ემანუელ მაკრონი იყენებს, როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების ცალკეულ იდეებსა და ლოზუნგებს და ცდილობს, უთხრას ორივე „ფლანგის“ ამომრჩეველს ის, რის მოსმენაც მას სურს. ეს არის საკმაოდ რთული თამაში დემაგოგიის ზღვარზე, თუმცა ჯერჯერობით ამართლებს. მაკრონი არა მხოლოდ ცენტრიზმისკენ მიდრეკილ ელექტორატს იპყრობს, არამედ კონკურენტებს თანმიმდევრულ მემარჯვენე და მემარცხენე ელექტორატს „ართმევს“.**

# მაკრონის აღზევება

**საპრეზიდენტო მარათონი საფრანგეთში კულმინაციას უახლოვდება. ბევრისთვის მოულოდნელად მისი ლიდერი ემანუელ მაკრონი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაკრონის შანსი, რესპუბლიკის 25-ე პრეზიდენტი გახდეს, საკმაოდ მაღალია. საინტერესოა, რამ განაპირობა ახალგაზრდა კანდიდატის წარმატება.**



„ჰარის ინტერაქტივის“ ინფორმაციით, პირველი ტურის წინ მაკრონს მხარს უჭერს გამოკითხულთა 26%, მარინ ლე პენს კი — 25%, მესამე ადგილზე 18%-ით ფრანსუა ფიიონია. „ოპინიონ ვეის“ გამოკითხვის თანახმად, მაკრონსა და ლე პენს 25-25% აქვთ, ფიიონს კი — 20%. ორ ლიდერს 25% „იფოპ-ფიდუციალმაც“ მიაკუთვნა, ხოლო ფიიონს მხოლოდ 17,5%. ამავე გამოკითხვის თანახმად, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 66% მივა, ხოლო 34% სახლში დარჩება.

მთავარი ინტრიგა ამ ეტაპზე ისაა, შეძლებს თუ არა ფრანსუა ფიიონი, არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში შეამციროს დისტანცია, რომელიც ლიდერებს აშორებს. ექსპერტების უმრავლესობა მის პერსპექტივას სკეპტიკურად უყურებს, რადგან ცოლის ფიქტიურ დასაქმებასთან დაკავშირებულმა სკანდალმა და სხვა უხერხულმა ეპიზოდებმა ფიიონის რეიტინგს გამანადგურებელი ზიანი მიაყენა. თუ ის მესამე ადგილზე დარჩება, არჩევნების მეორე ტურში, დიდი ალბათობით, მოხდება იგივე, რაც 2002 წელს, როდესაც „ეროვნული ფრონტის“ იმჟამინდელი ლიდერის — მარინ ლე პენის მამის, ჟან-მარი ლე პენის, წინააღმდეგ მთელი პოლიტიკური სპექტრი გაერთიანდა, რომელმაც მის კონკურენტ ჟაკ შირაკს ხმათა 82% მოუტანა. 2017-ში სხვაობა ასეთი დრამატული, სავარაუდოდ, არ იქნება, თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას არ აქვს. **„ჰარის ინტერაქტივის“ მონაცემებით, იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურში მაკრონი და ლე პენი გავლენ, პირველი 65%-ს მიიღებს, ხოლო მეორე — 35%-ს. „იფოპ-ფიდუციალის“ გამოკითხვის თანახმად, ამომრჩეველთა 60,5% მეორე ტურში ხმას მაკრონს მისცემს, ხოლო 39,5% — ლე პენს.**

ფრანსუა ფიიონს ბოლო კვირებში დადებითი დინამიკა (+0,5-1%) აქვს. მან, ასე თუ ისე, კარგად ჩაატარა დებატები და „ყველაზე დამაჯერებელი კანდიდატების“ რეიტინგში მესამე ადგილი დაიკავა, რადიკალი მემარცხენე კანდიდატ **ჟან-ლიუკ მელანშონის** (მას მეორე ტურში გასვლის პრაქტიკული შანსი არ აქვს) და ემანუელ მაკრონის შემდეგ, თუმცა ჩამორჩენის დასაძლევად ეს შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს.

ფართო საზოგადოება 39 წლის ემანუელ მაკრონს 2014 წლამდე არ იცნობდა. მან პარიზ-ნანტერის უნივერსიტეტი, პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი და ადმინისტრირების ეროვნული სკოლა დაამთავრა. 2004—2008 წლებში მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში, აგრეთვე, კომისიაში, რომელსაც გამოჩენილი ფრანგი ეკონომისტი **ჟაკ ატალი** ხელმძღვანელობდა. მაკრონი როტშილდის ბანკში წარმატებული მენეჯერი და საინვესტიციო ბანკირი იყო. 2006-2009 წლებში სოციალისტური პარტიის წევრი გახლდათ, მონაწილეობდა ფრანსუა ოლანდის საარჩევნო კამპანიაში, შემდგომ კი პრეზიდენტის სამდივნოში მუშაობდა. 2014 წელს მაკრონმა ეკონომიკის მინისტრის პოსტი დაიკავა, ხოლო 2016-ში გადადგა, ახალი პოლიტიკური მოძრაობა შექმნა და განაცხადა, რომ აპირებს, პრეზიდენტი გახდეს, რაც საფრანგეთის პოლიტიკური ტრადიციისთვის ერთობ უჩვეულოა. იქ მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა გაცილებით მეტი კარიერული საფეხური უნდა გაიაროს და პრეზიდენტი მათ შედარებით ასაკოვან მოღვაწედ წარმოუდგენიათ. საინტერესოა, რომ ასაკის პრობლემას უკავშირდება ემანუელ მაკრონის ბიოგრაფიის კიდევ ერთი საინტერესო შტრიხი — 2007-ში მან იქორწინა თავის ყოფილ მასწავლებელზე, ბრიჯიტ ტრონიეზე, რომელიც მასზე 24 წლით უფროსია.

**მაკრონი როტშილდის ბანკში წარმატებული მენეჯერი და საინვესტიციო ბანკირი იყო... 2007-ში მან იქორწინა თავის ყოფილ მასწავლებელზე, ბრიჯიტ ტრონიეზე, რომელიც მასზე 24 წლით უფროსია**




ემანუელ მაკრონი ასპარეზზე იმ დროს გამოვიდა, როდესაც ფრანგული პოლიტიკური სისტემა თავისი ტრადიციული დაყოფით მემარჯვენეებსა და მემარცხენეებზე ღრმა კრიზისს განიცდიდა; იმ მოქალაქეების ხვედრითი წილი, რომლებიც ძველ პოლიტიკურ პარტიებს ენდობოდნენ, 15%-ს ქვემოთ დაეცა. მაკრონმა ისარგებლა ამ გარემოებით და განაცხადა, რომ მისი მოძრაობა „წინ!“ „არც მემარჯვენე და არც მემარცხენეა“.

როდესაც „ჟან ჟორესის ფონდმა“ და სოციოლოგიურმა ცენტრმა „ცევიპოფმა“ რესპონდენტებს სთხოვეს, პრეზიდენტობის კანდიდატები განელაგებინათ ათბალიან შკალაზე „მემარცხენე-მემარჯვენე“, აღმოჩნდა, რომ მარცხენა ფლანგს იკავებენ **ჟან-ლიუკ მელანშონი** 1,5 ბალით და სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი **ბენუა ამონი** 2,8 ბალით, ხოლო მარჯვენა ფლანგს — **ფრანსუა ფიიონი** (8,1) და **მარინ ლე პენი** (9,1). ისინი ერთმანეთს ამომრჩევლებს ართმევენ, განსაკუთრებით თვალსაჩინო ეს მემარცხენეების შემთხვევაშია. ამ დროს პირობითი „ცენტრი“ ფაქტობრივად თავისუფალია, იქ უპირობოდ დომინირებს ემანუელ მაკრონი, რომელსაც გამოკითხულებმა 5,2 ბალი მიაკუთვნეს, შესაბამისად, საუბარია მემარჯვენე და მემარცხენე პოლუსებისგან თითქმის თანაბრად დაშორებულ პოზიციაზე. მაკრონმა შეთანხმება დადო ფრანსუა ბაირუსთან, ერთადერთ ცენტრისტთან, რომელსაც შეეძლო ამ ნიშაში მისთვის კონკურენცია გაეწია, და ბაირუმ მხარი მის კანდიდატურას დაუჭირა.

**ემანუელ მაკრონი იყენებს, როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების ცალკეულ იდეებსა და ლოზუნგებს და ცდილობს, უთხრას ორივე „ფლანგის“ ამომრჩეველს ის, რის მოსმენაც მას სურს. ეს არის საკმაოდ რთული თამაში დემაგოგიის ზღვარზე, თუმცა ჯერჯერობით ამართლებს. მაკრონი არა მხოლოდ ცენტრიზმისკენ მიდრეკილ ელექტორატს იპყრობს, არამედ კონკურენტებს თანმიმდევრულ მემარჯვენე და მემარცხენე ელექტორატს „ართმევს“** (სხვადასხვა გამოკითხვის თანახმად, საუბარია დაახლოებით 20%-ზე ორივე ფლანგიდან). მაკრონის კამპანია ძალიან მაღალტექნოლოგიურია. მას, როგორც ჩანს, ამ არჩევნებში საუკეთესო კონსულტანტები ჰყავს.

მეორე ფაქტორი, რომელმაც ემანუელ მაკრონის წინსვლა უზრუნველყო, გარემოებების თანხვედრაა. პრაიმერის ეტაპზე ასპარეზობას გამოეთიშა ორი კანდიდატი, რომელთაც შეეძლოთ მემარჯვენე-ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული ელექტორატის მოწონება დაემსახურებინათ. **ალენ ჟიუპემ**, ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა პოტენციურმა კანდიდატმა, წააგო წინასაარჩევნო პრაიმერი **ფრანსუა ფიიონთან**, რომლის პროგრამა (და რიტორიკაც) გაცილებით ხისტი და მოუქნელია. მონაწილეობა არჩევნებში ვერ მიიღეს მაკრონის ძველმა ხელმძღვანელებმა პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** და ყოფილმა პრემიერმინისტრმა **მანუელ ვალსმა** — მას პრაიმერში **ბენუა ამონმა** აჯობა, რომელიც შესაძლო კანდიდატებიდან ყველაზე მემარცხენე პოზიციებზე იდგა. ამგვარად, **მაკრონს ყველაზე მოსახერხებელი კონკურენტები შეხვდა, რომელთაც ნაკლებად შეუძლიათ, თავიანთი იდეოლოგიური ნიშიდან გამოვიდნენ.**

ემანუელ მაკრონმა გამოიყენა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ამომრჩეველს აღიზიანებს და, ისევე, როგორც დონალდ ტრამპმა ამერიკაში, განაცხადა, რომ უპირისპირდება არა რომელიმე კანდიდატს, არამედ მთელ სისტემას და ფრანგული ისტებლიშმენტისთვის დამახასიათებელ მანკიერებებს. ამასთანავე, მან თქვა, რომ **მისი მიზანია, გააერთიანოს ორად გახლეჩილი საზოგადოება და შეარიგოს ევროპულ ინტეგრაციაზე, გლობალიზაციასა და კულტურულ გახსნილობაზე ორიენტირებული საფრანგეთი ნაციონალისტურ, ევროსკეპტიკურ საფრანგეთთან, რომელსაც ამ არჩევნებზე მარინ ლე პენი წარმოადგენს. შემრიგებლური პოზიციის მიუხედავად, ეს, ალბათ, ერთადერთი საკითხია, რომლის მიმართ ემანუელ მაკრონს არ შეუძლია შუალედური პოზიცია დაიკავოს — ის აშკარად გლობალისტურ შეხედულებებს ახმოვანებს.** გასათვალისწინებელია, რომ მაკრონი თანმიმდევრულად იცავს ლტოლვილების უფლებებს და მხარს რბილი საიმიგრაციო წესების შემოღებას უჭერს. მას მიაჩნია, რომ სანიმუშო პოლიტიკას ამ მხრივ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ატარებს. ეს გარემოება უზღუდავს შესაძლებლობას, მარინ ლე პენის „ნიშაში“ შეიჭრას და მისი ამომრჩევლები გადმოიბიროს, როგორც ამას სხვა ძირითადი კანდიდატების მიმართ აკეთებს.

ყველაზე საინტერესო და ერთობ პარადოქსულიც კი, ალბათ, ისაა, რომ მარინ ლე პენმა და „ეროვნულმა ფრონტმა“ ირიბად ხელი შეუწყვეს მაკრონის გაძლიერებას. ძველი, ფაქტობრივად ორპოლუსიანი სისტემა „მემარჯვენეები-მემარცხენეები“ ტრადიციულად ნაკლებ შანსს უტოვებდა ცენტრისტ კანდიდატებს, ადრე ხმათა 20%-ის მოგროვებაც კი მათთვის აუხდენელი ოცნება იყო. ლე პენმა კი აქტუალური გახადა ახალი დაყოფა „გლობალისტები – ეროვნულები“, რომელმაც ძველი სისტემა შეარყია (მაგრამ არ გაანადგურა), რომელმაც გამოიწვია ფლანგებზე კონცენტრირებული ელექტორატის გათავისუფლება ძველი სტერეოტიპებისგან და მისი ნაწილის გადასვლა ცენტრისტულ პოზიციებზე. ახლა ამით მარინ ლე პენის მთავარი კონკურენტი, ემანუელ მაკრონი, სარგებლობს.

**დღეს მაკრონი ახლოს არის გამარჯვებასთან და მისი შეჩერება მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფრანსუა ფიიონი არჩევნებამდე დარჩენილ დროში სასწაულებრივად გაზრდის თავის რეიტინგს 5-7%-ით, რაც საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია, ხოლო მაკრონი მესამე ადგილზე გადაინაცვლებს. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ის კომპრომატთან დაკავშირებული ხმაურიანი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდება. თუმცა გავლენიანმა ჯგუფებმა, რომლებიც ახალგაზრდა კანდიდატის ზურგს უკან დგანან, სავარაუდოდ, წინასწარ იზრუნეს იმაზე, რომ მსგავსი რამ არ მოხდეს.**

ემანუელ მაკრონმა ნამდვილად შეიძლება მოიგოს არჩევნები, თუმცა საფრანგეთის მთავარი პრობლემა, ალბათ, ისაა, რომ წარმოდგენილთაგან ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვება, არათუ შეარბილებს წინააღმდეგობებს „ეროვნულ საფრანგეთსა“ და „გლობალისტურ საფრანგეთს“ შორის, არამედ, დიდი ალბათობით, გააღრმავებს მათ.

**ლუკა ნემსაძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტერორისტები, რომლებიც სირიის სამთავრობო ჯარების შეტევის შედეგად დიდ დანაკარგებს განიცდიდნენ, ახლა, ამერიკელების მხარდაჭერით შეგულიანებულები, შეტევაზე გადავიდნენ. ისინი ძველი პოზიციების დაბრუნებას ცდილობენ. ასადის პოზიციებზე ნებისმიერი დარტყმა ხომ ტერორისტების დახმარებაა. ამერიკელების სარაკეტო დარტყმის შედეგად ტერორისტების გააქტიურება გააჭიანურებს სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს სირიაში, მაგრამ ეს აშშ-ის ხელისუფლებას არ ანაღვლებს, არც ის, საიდან გაჩნდა ქიმიური იარაღი.**

# განხეთქილების ტომაჰავკი და სიცრუის ალქიმია

**7 აპრილს, დაახლოებით 4 საათზე, ამერიკელმა სამხედროებმა ფრთოსანი რაკეტებით მასირებულად დაბომბეს სირიის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზა პროვინცია ჰომსში — აშ-შაირათი. 59 ფრთოსანი რაკეტა „ტომაჰავკი“, რომელთაგან მხოლოდ 23-მა მიაღწია მიზანს, ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში მცურავი ამერიკული საესკადრო ნალმოსნებიდან — „როსი“-დან და „პორტერი“-დან გაუშვეს.**
**დაიღუპა სირიის არმიის 4 სამხედრო მოსამსახურე, 2 — უგზო-უკვლოდ დაიკარგა.**
**დაზიანდა 6 თვითმფრინავი „მიგ-23“.**
**თუმცა ასაფრენ-დასაფრენი ზოლი გადარჩა.**
**სირიის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო SANA-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სარაკეტო დარტყმის შედეგად აშ-შაირათთან ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტებში — ალ-ჰამრათსა და შაიხათში — დაიღუპა 9 მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, 4 ბავშვი.**



„დღეს, საღამოს, მე გავეცი განკარგულება, დაერტყათ აეროდრომისთვის სირიაში, საიდანაც განხორციელდა ქიმიური შეტევა. კამათიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ სირიამ გამოიყენა აკრძალული ქიმიური იარაღი, დაარღვია ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენცია და არად ჩააგდო გაეროს უშიშროების საბჭოს მოწოდებები. დღეს მე მოვუწოდებ ყველა ცივილიზებულ ქვეყანას, შემოგვიერთდეს მისწრაფებაში, ბოლო მოვუღოთ სისხლისღვრას სირიაში, აგრეთვე, ყველა სახეობისა და ტიპის ტერორიზმს“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკელი ერისადმი სატელევიზიო მიმართვაში. როგორც ჩანს, ამერიკის პრეზიდენტების (არა მხოლოდ) სენი მოკლე მეხსიერებაა: **ტრამპს, ეტყობა, დაავიწყდა, რას მოუწოდებდა 2013 წლის 31 აგვისტოს აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამას,** მაგრამ, მას ძველი განცხადებები ტელეკომპანია „სი-ენ-ენმა“ შეახსენა:

**„აშშ-ის პრეზიდენტს სჭირდება კონგრესის თანხმობა, სანამ სირიას დაარტყამს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება დიდი შეცდომა!“** — განაცხადა ტრამპმა პრეზიდენტობამდე. ახლა კი, როდესაც ის აშშ-ის პირველი პირია, კონგრესისთვის არ მიუმართავს სირიაში სარაკეტო დარტყმის ნებართვისთვის. აი ტრამპის კიდევ ერთი განცხადება: **„კიდევ ერთხელ მივმართავ ჩვენს სულელ ლიდერს, არ დაარტყას სირიას. თუ ამას გააკეთებს, ბევრი ცუდი რამ მოხდება და ამ ბრძოლიდან ამერიკა ვერაფერს მიიღებს“** (5 სექტემბერი, 2013 წელი).

აღსანიშნავია, რომ ტრამპი საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ყოველთვის მხარს უჭერდა საერთაშორისო ინტერვენციის შემცირებას. აკრიტიკებდა კონკურენტ **ჰილარი კლინტონს** და ამბობდა, რომ სირიის კონფლიქტის მიმართ კლინტონის დამოკიდებულება მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევდა.

ახლა რა მოხდა, რამ აიძულა ტრამპი, ასე მოქცეულიყო იმ ფონზე, როცა ჯერ დადასტურებული არ არის, ვინ განახორციელა 4 აპრილს ქიმიური იარაღით შეტევა სირიის პროვინცია იდლიბის ქალაქ ხან-შეიხუნის მოსახლეობაზე, **სააგენტო „როიტერის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის უახლოესი სამხედრო პირები დარწმუნებით ვერ ამბობენ, რომ სამხედრო აეროდრომ აშ-შაირათზე, რომელსაც რაკეტები იმიტომ დაუშინეს, რომ იქ ქიმიური იარაღი ეგულებოდათ, ნამდვილად იყო ქიმიური იარაღი.**

არადა, 6 აპრილს პენტაგონის წარმომადგენელი **ჯეფ დევისი** მსოფლიოს არწმუნებდა, რომ, აშშ-ის დაზვერვის მონაცემებით, სირიის სამთავრობო ჯარი აშ-შაირათის ავიაბაზაზე ქიმიურ იარაღს ინახავს, და 4 აპრილს სწორედ ამ ავიაბაზიდან აფრენილმა თვითმფრინავებმა გამოიყენეს მომწამვლელი ნივთიერება ზარინი (ნერვული სისტემის დამბლის გამომწვევი ნივთიერება) პროვინცია იდლიბის ქალაქ ხან-შეიხანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, შედეგად დაიღუპა 72 ადამიანი.

**სირიისა და რუსეთის თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები კი კატეგორიულად უარყოფდენ ქიმიური იარაღის გამოყენებას და ამბობდენ, რომ სწორედ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი სირიის ე.წ. ზომიერი ოპოზიცია და ტერორისტული დაჯგუფებები იყენებდნენ ქიმიურ იარაღს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.**

და ეს სიმართლესთან ძალიან ახლოსაა, რადგან **სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის — მხარდამჭერ სამთავრობო ჯარებს არაფერში სჭირდებოდათ ქიმიური იარაღის გამოყენება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. პირიქით — მომწამვლელი ნივთიერების გამოყენება კიდევ ერთ საბაბს მისცემდა დასავლეთს ბაშარ ასადის მოსაშორებლად...**

სირიის აეროდრომზე სარაკეტო დარტყმის შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ პენტაგონს ჯერაც არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომ იქ ქიმიური იარაღი იყო. თანაც, დაბომბვის შემდეგ, რამდენიმე საათში აეროდრომი უნიღბოდ, დამცავი საშუალებების გარეშე მოინახულეს უამრავმა ჟურნალისტმა, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მეხანძრეებმა, პოლიციელებმა, მაგრამ ისინი ჯანმრთელობას არ უჩივიან მოწამვლის გამო. აეროდრომის ტერიტორიაზე ვერავინ იპოვა ვერც «საცავები» და ვერც ქიმიური ნივთიერება





აშ-შაირათის ავიაბაზა დაბომბვის შემდეგ

ნიშანდობლივია, რომ ქიმიური იარაღის საფრთხის საბაბით აშშ-ს (დიდ ბრიტანეთსაც) არაერთხელ დაუბომბავს ქვეყნები, შემდეგ კი ინტერვენცია განუხორციელებია.

ასე მოხდა ერაყის ომის წინ (2003—2011), როდესაც აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა** (უმცროსი) განაცხადა, რომ, აშშ-ის დაზვერვის მონაცემებით, ერაყის პრეზიდენტი **სადამ ჰუსეინი** მასობრივი განადგურების იარაღს ამზადებდა. ამას ამტკიცებდა აშშ-ის იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **კოლინ პაუელი** თეთრი ფხვნილით სავსე სინჯარით ხელში. ამერიკელები და მისი მოკავშირეები ერაყში შეიჭრნენ, დაამხეს სადამ ჰუსეინი და ქვეყანა მიწასთან გაასწორეს. სწორედ ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორია დაიპყრო და დღესაც განაგრძობს სირიის, ერაყის, ლიბიისა და სხვა ქვეყნების მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას.

არადა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერაყს არანაირი მასობრივი განადგურების იარაღი არ ჰქონია და ერაყში ამერიკელთა ინტერვენციის მიზანი სინამდვილეში ამ ქვეყნის ნავთობზე კონტროლის დაწესება იყო. სხვათა შორის, არც ბრიტანელებს უნდა უკვირდეთ ქიმიური იარაღის გამოყენება — 1919 წლის 27 აგვისტოს, ჩერჩილის მითითებით, ბრიტანელებმა რუსეთის ჩრდილოეთში, არხანგელსკთან, ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოიყენეს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება, რომელიც შემდეგ მოსალოდნელზე ნაკლები ეფექტის გამო თეთრ ზღვაში ჩაყარეს და დღესაც მის ფსკერზეა. ასე რომ, როგორც აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი **აბრაამ ლინკოლნი** ამბობდა: **„სანამ ვიღაცისკენ თითს გაიშვერ, დაიბანე ეს თითი“...**

**სირიის აეროდრომზე სარაკეტო დარტყმის შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ პენტაგონს ჯერაც არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება, რომ იქ ქიმიური იარაღი იყო. თანაც, დაბომბვის შემდეგ, რამდენიმე საათში აეროდრომი უნიღბოდ, დამცავი საშუალებების გარეშე მოინახულეს უამრავმა ჟურნალისტმა, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მეხანძრეებმა, პოლიციელებმა, მაგრამ ისინი ჯანმრთელობას არ უჩივიან მოწამვლის გამო. აეროდრომის ტერიტორიაზე ვერავინ იპოვა ვერც „საცავები“ და ვერც ქიმიური ნივთიერება.**

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა — კიდევ ერთხელ ვინ მიაწოდა აშშ-ის პრეზიდენტს მტკიცებულების სახით ინფორმაცია, რომ ვაშინგტონისთვის მიუღებელ სახელმწიფოში „ქიმიური იარაღი“ არსებობს?

**ეს ხომ ძალიან ჰგავს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, კოლინ პაულის, სინჯარას თეთრი ფხვნილით ან ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრის მოხსენებებს ერაყში ქიმიური იარაღის არსებობის შესახებ?!**

რუსეთის ხელისუფლების რეაქცია მყისიერი იყო მომხდარზე: პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** განაცხადა, რომ ამერიკელთა დარტყმა სირიაზე — **ეს არის აგრესია სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, თანაც გამოგონილი საბაბით, და ეს გაართულებს რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობას.**

ასეც მოხდა: **ტერორისტები, რომლებიც სირიის სამთავრობო ჯარების შეტევის შედეგად დიდ დანაკარგებს განიცდიდნენ ახლა, ამერიკელების მხარდაჭერით შეგულიანებულები, შეტევაზე გადავიდნენ. ისინი ძველი პოზიციების დაბრუნებას ცდილობენ. ასადის პოზიციებზე ნებისმიერი დარტყმა ხომ ტერორისტების დახმარებაა? ამერიკელების სარაკეტო დარტყმის შედეგად ტერორისტების გააქტიურება გააჭიანურებს სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს** ▶

**აშშ-ის დარტყმამ სირიის ავიაბაზაზე წერტილი დაუსვა დონალდ ტრამპის მცდელობას, ეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა. ინაუგურაციიდან სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში ვაშინგტონის ისტებლიშმენტმა შეძლო, გამარჯვება მოეპოვებინა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტზე, რომელიც ადრე თავგამოდებით მოუწოდებდა რუსეთთან ერთად ტერორიზმთან ბრძოლისა და სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ჩაურევლობისკენ. ახლა კი ტრამპმა, რეინკარნირებულმა ბუში-უმცროსმა, ცივი ომი ცხელ ფაზაში გადაიყვანა, პანდორას ყუთი გახსნა და ომის ჯინი გამოუშვა.**

ყვავს ჩა ჰქონდა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კოლინ პაუელი თეთრი ფხვნილით სავსე სინჯარით ხელში ამტკიცებს, რომ ერაყს ქიმიური იარაღი აქვს. მოგვიანებით, როცა ერაყი მიწასთან გაასწორეს, ქიმიური იარაღი ვერსად იპოვეს**

◀ **სირიაში, მაგრამ ეს აშშ-ის ხელისუფლებას არ ანაღვლებს, არც ის, საიდან გაჩნდა ქიმიური იარაღი.**

აშშ-ის აგრესია სირიის მიმართ ხელს უწყობს ტერორიზმის გაძლიერებას. აშშ-მა დაარტყა სირიის შეიარაღებული ძალების ინფრასტრუქტურას, მის ავიაციას, ანუ იმას, რისი მეშვეობითაც სირიის ხელისუფლება ებრძოდა ტერორიზმს.

სირიის ავიაბაზის დაბომბვის შემდეგ აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ლაპარაკი დაიწყეს კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარებაზე, მაგრამ ასეთი ლაპარაკი მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს, მოსკოვის აზრით, ფარისევლურია. ამიტომ რუსეთმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ აჩერებს მოქმედებას აშშ-თან გაფორმებული მემორანდუმისა სირიის საკითხზე, რომლის მიხედვითაც თავიდან უნდა აეცილებინა ინციდენტები და უზრუნველეყო ამერიკელთა ფრენის უსაფრთხოება საომარი ოპერაციების მიმდინარეობისას სირიაში. ეს ნიშნავს, რომ, თუ ადრე ამ შეთანხმების მიხედვით, რუსეთს არ უნდა ეპასუხა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მსგავსი მოქმედებისთვის, ახლა ყველაფერი შეიცვალა — სირიის ცას რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალები გააკონტროლებენ. ამით აშშ-ის სარაკეტო თავდასხმამ სირიის ავიაბაზაზე ხელ-ფეხი გაუხსნა მოსკოვს და საშუალო და შორი მოქმედების რუსულმა რაკეტებმა — C300-მა და C400-მა („ტრიუმფი") — სირიის ცა გადაფარეს.

ალსანიშნავია, რომ **მოსკოვმა არაერთხელ გაუგზავნა სიგნალი ვაშინგტონს, რომ მზად არის სირიის საკითხის ერთობლივად მოსაგვარებლად, მაგრამ ტრამპმა გადაწყვიტა, „ტომაჰავკების" ენით ელაპარაკა და სხვა გზით, წინამორბედი პრეზიდენტების მიერ გატკეპნილი გზით, ევლო. არადა, როდესაც აშშ ამ გზით მიდიოდა, ყოველთვის უდიდესი ტრაგედიით მთავრდებოდა ქვეყნებისა და ხალხებისთვის.**

და მაინც — **რატომ გადადგა ტრამპმა ეს ნაბიჯი?**

ექსპერტთა აზრით, აშშ-ის დარტყმამ სირიის ავიაბაზაზე წერტილი დაუსვა დონალდ ტრამპის მცდელობას, ეწარმოებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა. ინაუგურაციიდან სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში ვაშინგტონის ისტებლიშმენტმა შეძლო, გამარჯვება მოეპოვებინა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტზე, რომელიც ადრე თავგამოდებით მოუწოდებდა რუსეთთან ერთად ტერორიზმთან ბრძოლისა და სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ჩაურევლობისკენ. ახლა კი ტრამპმა, რეინკარნირებულმა ბუში-უმცროსმა, ცივი ომი ცხელ ფაზაში გადაიყვანა, პანდორას ყუთი გახსნა და ომის ჯინი გამოუშვა. **ამერიკელთა კიდევ ერთ ასეთ „შემოქმედებას" რუსეთი აღარ მოითმენს და ორი ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს დაპირისპირება მესამე სახელმწიფოს, საქართველოსთან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული სირიის ტერიტორიაზე დაიწყება...**

**ნიკა კორინთელი**

**P.S. დონალდ ტრამპმა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის ეშმაკურად და მზაკვრულად გამოიყენა ჩინეთის ლიდერის — სი ძიანპინის ვიზიტი აშშ-ში. მან თავისი აგრესიული აქცია ამ ვიზიტს დაამთხვია და სინ ძიანპინი ცინიკურად, წინასწარგანზრახვით ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში — მსოფლიოს დაანახვა, რომ სარაკეტო დარტყმების მომენტში ჩინეთის ლიდერი მას სტუმრობდა. ამით ტრამპი შეეცადა, ეჭვი გაეჩინა რუსეთის ხელისუფლებაში, რომ პეკინი ორმაგ თამაშს თამაშობს ვაშინგტონთან.**

## ქიმიური იარაღის გამოყენების 6 ყველაზე საშინელი შემთხვევა

* ქიმიური ნივთიერება, როგორც იარაღი, პირველად გამოიყენეს ფრანგებმა 1914 წელს პირველ მსოფლიო ომში გერმანელების წინააღმდეგ, თუმცა ეს იყო ცრემლმდენი და არა მომაკვდინებელი აირი — **ეთილბრომაცეტატი.**

* 1917 წლის 12 ივლისს გერმანელებმა საფრანგეთსა და ინგლისის ჯარების წინააღმდეგ გამოიყენეს მომწამვლელი აირი დიქლორიეთილსულფიდი (მდოგვის აირი). ეს მოხდა ბელგიის ქალაქ იპრთან. აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება **იპრიტი.**

* მეორე მსოფლიო ომში **იაპონიამ** ბევრჯერ გამოიყენა ქიმიური იარაღი ჩინეთთან კონფლიქტისას. პირველი ქიმიური მომწამვლელი ნივთიერება იაპონელებმა გამოიყენეს ჩინეთის ქალაქ ვოციუის დაბომბვისას — თვითმფრინავებიდან დაახლოებით 1000 ბომბი ჩამოაგდეს. მოგვიანებით იაპონელებმა 2500 ქიმიური ჭურვი ააფეთქეს ქალაქ დინსიანთან. სულ ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებით სიცოცხლეს გამოასალმეს 50 ათასი ადამიანი — როგორც სამხედრო, ასევე მშვიდობიანი მოქალაქე.

* 1963-დან 1975 წლამდე, სანამ ომი შეწყდებოდა, **აშშ**-მა ვიეტნამის ტერიტორიაზე 72 მლნ ლიტრი **დეფოლიანტი** (ნივთიერება, რომელიც იწვევს ფოთლების ჩამოცვენას მცენარეებიდან) — Agent Orange მოაფრქვია, რათა გაენადგურებინა ტყეები, რომლებშიც ვიეტნამელი პარტიზანები იმალებოდნენ, აგრეთვე, დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ადამიანების მოსაკლავად. გამოყენებული ხსნარი შეიცავდა **დიოქსინს** — ნივთიერებას, რომელიც ილექება ორგანიზმში და იწვევს სისხლისა და ღვიძლის დაავადებებს, აგრეთვე, ორსულობის შეწყვეტას. ამერიკელების ქიმიური შეტევის შედეგად სულ დაზარალდა **4,8 მლნ** ადამიანი, მათი ნაწილი ნიადაგში ჩარჩენილი შხამისგან უკვე ომის დამთავრების შემდეგ მოიწამლა.

შხამქიმიკატებით დაბომბვამ ვიეტნამში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია — თითქმის მთლიანად განადგურდა ტყეები, ფრინველის 140 სახეობა, თევზები. დეფოლიანტის გამოყენების შედეგად ქვეყანაში დღესაც იბადებიან ბავშვები გენეტიკური გადახრებით.

* 1995 წლის 20 მარტს იაპონურმა რელიგიურმა სექტამ **„აუმ სინრიკემ"** ტოკიოს მეტროპოლიტენში ნერვული სისტემის დამბლის გამომწვევი მომწამვლელი ნივთიერება **ზარინი** გაუშვა. ოფიციალური მონაცემებით, მოიწამლა 1000 ადამიანი, მათგან 12 დაიღუპა.

* ერაყში ომის პერიოდში ქიმიური იარაღი არაერთხელ გამოიყენა კონფლიქტში ჩართულმა ორივე მხარემ — **ერაყის არმიამ** და **ამერიკელმა სამხედროებმა.** მაგალითად, ერაყის სოფელ აბუ-საიდში ააფეთქეს მომწამვლელი ნივთიერების ჭურვი, რომელმაც 20 ადამიანი იმსხვერპლა.

2004 წელს ამერიკელებმა ერაყში გამოიყენეს **თეთრი ფოსფორის** ბომბი. ერთ ასეთ ბომბს შეუძლია, დაცემიდან 150 მეტრის რადიუსში ყველა ცოცხალი არსება გაანადგუროს. ამერიკის ხელისუფლება თავდაპირველად უარყოფდა მომხდართან რაიმე კავშირს, შემდეგ განაცხადა, რომ ბომბი შეცდომით ააფეთქეს, ბოლოს კი პენტაგონის წარმომადგენელმა **ბარი ვინებლმა** აღიარა, რომ ამერიკელი სამხედროები შეგნებულად იყენებდნენ თეთრფოსფორიან ბომბებს ერაყელთა წინააღმდეგ. მეტიც — აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ასეთი ბომბები ომის საწარმოებლად კანონიერი ინსტრუმენტია და, თუ საჭირო იქნება, მომავალშიც გამოიყენებს.

# თანამდებობის პირები, რომელთა ანაზღაურება თვეში 10 ათას ლარს აჭარბებს

**საქართველოში პენსია 180 ლარია, საარსებო მინიმუმი — 168 ლარი, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, უმცირესობა, სულ რამდენიმე ასეული ჩინოვნიკი კი, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უზრუნველად ცხოვრობს, რადგან მათი ყოველთვიური ანაზღაურება 10 ათას ლარზე მეტია, თუმცა რისთვის იღებენ კოლოსალურ თანხებს ისინი, გაურკვეველია. ინტერნეტგამოცემა netgazeti.ge -მ საჯარო სამსახურის ბიუროს ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა არასრული ჩამონათვალი იმ უწყებებისა, რომელთა ხელმძღვანელი პირების სახელფასო ანაზღაურება თვეში 10 ათას ლარს აჭარბებს.**



დავით საგანელიძე

### საპარტნიორო ფონდი

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა **დავით საგანელიძემ** 2016 წლის განმავლობაში თანამდებობრივი ანაზღაურების სახით **404 250** ლარი მიიღო, რაც თვეში, საშუალოდ, **33 687** ლარის ტოლია. საპარტნიორო ფონდი სახელმწიფოს მიერ არის დაარსებული.



სულხან ზუმბურიძე

### საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე **სულხან ზუმბურიძემ** 2016 წლის განმავლობაში **326 603** ლარი მიიღო, რაც თვეში, საშუალოდ, **27 216** ლარია. ეს ორგანიზაციაც სახელმწიფო კომპანიაა.



ვახტანგ აბაშიძე

### კომუნიკაციების ეროვნული კომისია

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძის** 2016 წლის 6 ივლისს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, მისი წლიური ანაზღაურება **255 425** ლარია, რაც თვეში, საშუალოდ, **21 285** ლარს აღწევს.

კომისიის წევრის — **ელისო ასანიძის** წლიური ანაზღაურება, 2016 წლის 27 მაისს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, 2015 წელს **187 203** ლარი იყო, რაც თვეში, საშუალოდ, 15 600 ლარია. ასანიძეს 2017 წელს შევსებული არ აქვს დეკლარაცია.

კომისიის წევრს — **კახა ბექაურს** კომისიის თავმჯდომარეზე მეტი თანხა აქვს აღებული, 2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, მისი წლიური ანაზღაურება **242 685** ლარია, რაც თვეში, საშუალოდ, 20 223 ლარია.

კომუნიკაციების კომისიის წევრს — **გიორგი ფრუიძეს,** 2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, **181 206** ლარი აქვს აღებული, რაც თვეში, საშუალოდ, **15 100** ლარია.

კომისიის წევრს — **მერაბ ქათამაძეს**, დეკლარაციის მიხედვით, 2015 წელს აღებული აქვს **168 069** ლარი, რაც თვეში **14 005** ლარია.



მამუკა ბახტაძე

### საქართველოს რკინიგზა

საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს — **მამუკა ბახტაძეს**, 2017 წლის 30 მარტს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში **220 474** ლარი აქვს მიღებული, რაც თვეში, საშუალოდ, **18 373** ლარია.

საქართველოს რკინიგზის მფლობელი სახელმწიფოა.



ირინა მილორავა

### ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე **ირინა მილორავას**, 2016 წლის 26 ოქტომბერს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, **147 750** ლარი აქვს წელიწადში აღებული, რაც თვეში, საშუალოდ, **12 312** ლარია.

კომისიის თავმჯდომარეზე მეტი ანაზღაურება აქვს აღებული კომისიის რიგით წევრს, **გიორგი ფანგანს.** მას 2016 წელს, დეკლარაციის მიხედვით, **160 700** ლარი აქვს მიღებული, რაც თვეში, საშუალოდ, **13 391** ლარია. კომისიის წევრს, **გოჩა შონიას**, 2016 წლის 20 ოქტომბერს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, 2015 წელს მიღებული აქვს **146 550** ლარი, რაც თვეში **12 212** ლარია.



დავით თვალაბეიშვილი

### საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალურ დირექტორს — **დავით თვალაბეიშვილს** 2016 წლის განმავლობაში **212 500** ლარი აქვს აღებული, რაც თვეში, საშუალოდ, **17 708** ლარია.



მაია მიმინოშვილი

### შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის — **მაია მიმინოშვილის** წლიური ანაზღაურება, 2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, **158 177** ლარია, თვეში, საშუალოდ, **13 181** ლარი.



ვახტანგ ამბოკაძე

### ელექტრო-ენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი

ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის გენერალური დირექტორის — **ვახტანგ ამბოკაძის** წლიური ანაზღაურება **130 380** ლარია, რაც თვეში, საშუალოდ, **10 865** ლარს შეადგენს.

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმი, რომელიც 9 წელიწადს მართავდა საქართველოს, და პოროშენკოს მარიონეტული რეჟიმი, რომელიც, უკვე 3 წელია, მართავს უკრაინას, სინამდვილეში ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი აღმოჩნდა. დიდი ფულის სანაცვლოდ მათ დაანგრიეს საქართველო და უკრაინა, რათა რუსულენოვანი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიები რუსეთისთვის გადაეცათ, დანარჩენი კი დასავლეთის პროტექტორატად გადაექციათ ნატოს სახმელეთო და საზღვაო ბაზებითა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებით შავ ზღვაზე.**

# ქართულის გაკვეთილები

**„რუსულის გაკვეთილები“ — ეს არის ფილმი 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ უშუალოდ სამხედრო მოქმედებათა თეატრიდან, რომელიც გადაიღო რუსმა კინორეჟისორმა ნეკრასოვმა, მაგრამ ქართული პოზიციებიდან, რისთვისაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ის „2009 წლის ადამიანად“ გამოაცხადა.**



კინოლენტი ცრუ გამოვიდა, ისევე, როგორც სააკაშვილის მიერ ამერიკელი რეჟისორის — **რენი ჰარლინისთვის** შეკვეთილი ფილმი **„აგვისტოს 5 დღე“** და ლაბორანტ **ლარისა ბურაკოვას** სააგიტაციო ბროშურა **„რატომ გამოუვიდა საქართველოს“**.

მაგრამ კრემლისა და პუტინის მთავარი მამხილებელი რუსი კინორეჟისორი **ანდრეი ნეკრასოვი** წესიერი ადამიანი აღმოჩნდა. ვერ გეტყვით, თვალი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აეხილა თუ ბაუდერთან ურთიერთობის წყალობით „მაგნიტსკის აქტზე“ მუშაობისას, ან იქნებ გვარ „ნეკრასოვში“ ჩადებულმა კოდმა გაიღვიძა... ფაქტია, რომ რეჟისორის მიერ ღირებულებების გადაფასებაში არცთუ უკანასკნელი როლი შეასრულა მის მიერ კარგად დასწავლილმა „ქართულის გაკვეთილებმა“ — შეძრწუნებულმა ნეკრასოვმა დაინახა, რომ მისი გუშინდელი გმირი, **სააკაშვილი, ამაზრზენი** ურჩხულია, რომელსაც სძულს ქართველი ხალხი და რომელმაც დაღუპა საქართველო. ნიჭიერი რეჟისორი დღეს მსოფლიოს სიმართლეს ეუბნება დასავლეთისა და იქიდან მართული რუსული ოპოზიციის შესახებ **„პუტინის რეჟიმისადმი, რომლის სიძულვილის უკან რუსი ხალხის მიმართ სიძულვილი დგას“ (ციტატა ნეკრასოვის მიმართვიდან).**

მაგრამ ნეკრასოვისთვის „ქართულის გაკვეთილები“ თბილისსა და კიევში არ უსწავლებიათ. ამას მოწმობს პირდაპირი კავშირი (ვციტირებ საქართველოს თავდაცვის მინისტრ იზორიას) **„ქართულ-უკრაინული ურთიერთობის მზარდ დინამიკასა“** და **ნავალნის** მიერ რუსეთში აგორებულ საპროტესტო მიტინგების ტალღას შორის, რომელთა უკან უეჭველად დასავლეთის მარიონეტები დგანან — **პოროშენკო** და პირველი „ბოლოტნაიას“ ორგანიზატორი სააკაშვილი. **„ფერადი რევოლუცია“ რუსეთში (როგორც მანამდე საქართველოსა და უკრაინაში) დასავლეთის ბოლო იმედია, პოროშენკოს უკანასკნელი იმედია ხელისუფლებაში დასარჩენად; სააკაშვილის უკანასკნელი იმედია, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდება — უკრაინაში პრემიერად ან პრეზიდენტად საქართველოში, ოღონდ კი დასავლეთს საკუთარი ქმედუნარიანობა დაუმტკიცოს და მორიგი გრანტი მიიღოს!**

იმედი კი, როგორც ცნობილია, ბოლოს კვდება...

## ნატო და ატო

*** რა მოიმოქმედა სააკაშვილმა საქართველოს ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად?**

საქართველოში 2003 წელს „ფერადი რევოლუცია“ მოაწყო — სახელმწიფო გადატრიალება „ვარდების რევოლუციის“ სახელწოდებით. შემდეგ სააკაშვილი და მისი გუნდი დასავლეთმა უკრაინაში მიავლინა იქ ასეთივე „ნარინჯისფერი რევოლუციის“ — „მაიდნად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალების, მოსაწყობად, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მიშას შვილის ნათლია, **ვიქტორ იუშჩენკო**, მოვიდა.

*** რა მოიმოქმედა პოროშენკომ უკრაინაში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად?**

2014 წელს უკრაინაში, სააკაშვილთან ერთად, მორიგი „ფერადი რევოლუცია“ — „ევრომაიდანი“ ან „მაიდანი-2“ მოაწყო.

*** რა მოიმოქმედა სააკაშვილმა იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დარჩენილიყო?**

2008 წლის აგვისტოში თავს დაესხა საქართველოს ოსი ეროვნების მოქალაქეებს და სამხრეთ ოსეთში „კონსტიტუციური წესრიგის“ დამყარების საბაბით დამარცხებისთვის წინასწარვე განწირული ომი წამოიწყო რუსეთთან.

*** რა მოიმოქმედა პოროშენკომ იმისთვის, რომ ხელისუფლება შეენარჩუნებინა?**

2014 წლის აპრილში თავს დაესხა უკრაინის რუს, უკრაინელ, ებრაელ და სხვა ეროვნების მოქალაქეებს დონბასში, „კონსტიტუციური წესრიგის“ დამყარების საბაბით ატო მოაწყო და აპრიორი დამარცხებისთვის განწირული ომი წამოიწყო რუსეთთან.

*** ვისი იმედი ჰქონდა სააკაშვილს, როცა 2008 წლის აგვისტოში ომს იწყებდა?**

ნატო ხომ უშუალოდ არ ერევა სამხედრო ავანტიურებში, რის თაობაზეც ომამდე ერთი თვით ადრე სააკაშვილი მკაცრად გააფრთხილა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **კონდოლიზა რაისმა**, რომელიც საგანგებოდ ამისთვის ჩამოფრინდა თბილისში 2008 წლის 9 ივლისს.

სააკაშვილს მხოლოდ უკრაინის იმედი ჰქონდა, რომელმაც გაწვრთნა ქართველი სამხედროები, საქართველოში გამოგზავნა უკრაინელი ინსტრუქტორები და დაქირავებული მებრძოლები და იარაღი, მათ შორის, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები — „ბუკი“ და „ოსა“, რომლებითაც რუსული სამხედრო თვითმფრინავები ჩამოაგდეს, კერძოდ, ბომბდამშენი Ту-22 М3. სააკაშვილს უკრაინის იმედი რომ არ ჰქონოდა, მისი არაადეკვატურობისა და სიმხდალის მიუხედავად, ასეთი იდიოტური სამხედრო ავანტიურის წამოწყებას ვერ გაბედავდა და დღეს საქართველო კვლავინდებურად ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო იქნებოდა.

*** ვისი იმედი ჰქონდა პოროშენკოს, როდესაც ატო-ს (ანტიტერორისტული ოპერაცია) იწყებდა?**

ნატო ხომ სამხედრო ავანტიურებში უშუალოდ არ ერევა და მხოლოდ დოლარებით, იარაღითა და ფუნთუშებით ეხმარება?

პოროშენკოს მხოლოდ საქართველოსა და თავისი იმჟამინდელი ქართველი მრჩევლის — სააკაშვილის იმედი ჰქონდა, რომელმაც დონბასში საგანგებოდ ატო-სთვის „ქართული ლეგიონი“ ჩამოაყალიბა. დღეს კი საქართველოში ნატოს ფულით რეაბილიტაციას გადიან ატო-ში დაზარალებული უკრაინელი хероиები ოჯახებთან ერთად.

## საქართველოსა და უკრაინას საიმედოდ დაიცავს ქაღალდის ერთი ფურცელი — რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულება. აი, რას გვასწავლის ქართულის მთავარი გაკვეთილი

## ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია, ანუ ერთ ბედქვეშ მყოფნი?!

რით აიხსნება ბოლო ხანებში **„ქართულ-უკრაინული ურთიერთობის მზარდი დინამიკა“** — პრეზიდენტის, პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის თავკაცობით სამთავრობო დელეგაციების ვიზიტები კიევში და უკრაინელი ხელმძღვანელების, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის საპასუხო ვიზიტები თბილისში შემდგომი პარტნიორობის, ურთიერთდახმარებისა და ნატოს წვრთნებში ერთობლივი მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულებების ხელმოწერით?

**ნუთუ თბილისში ვერ დაისწავლეს სააკაშვილისდროინდელი „ქართულის გაკვეთილები“ და არ ესმით, რა სახიფათოა მოქმედება პრინციპით „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“?!**

**ნუთუ** გაუგებარია, რომ უპერსპექტივო კეკლუცობით კიევის რეჟიმთან, რომელიც უახლოეს მომავალში კრახისთვის არის განწირული, საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ ექსპრემიერ **ბიძინა ივანიშვილის** მთავარი მიღწევა გააუქმა — ჩაშალა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების დაწყებული პროცესი?!

**ნუთუ** საქართველოს ხელისუფლებაში ოროსნები სხედან, რომლებსაც არ ესმით, რომ საქართველოსა და უკრაინის ათი გაერთიანებული არმიაც კი ვერ შეძლებს რუსული არმიის დამარცხებას?!

**ნუთუ** საქართველოს ხელისუფლებას არ ესმის, რომ დასავლეთს სურს, კვლავ ჩაითრიოს მიამიტი ქართველები რუსეთთან ომში, რათა კიევის რეჟიმი მარტო არ დარჩეს?!

და საერთოდ, განა შეიძლება, დღევანდელი უკრაინა საქართველოსთან ერთ ბედქვეშ მყოფად, მის მსგავსად რუსეთის აგრესიისა და ოკუპაციისგან დაზარალებულად მივიჩნიოთ?! **უკრაინა, რომელმაც შეურაცხყო საქართველო და ქართველ ხალხი, როცა ქართულ სამართალდამცავ ორგანოებს უარი უთხრა ათიათასობით ქართველი მოქალაქის მკვლელის, ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილის გადმოცემაზე?! უკრაინა, რომელმაც შეურაცხყო საქართველო და ქართველი ხალხი, როცა სააკაშვილი პრეზიდენტის მრჩევლად და ოდესის გუბერნატორად დანიშნა, უკრაინის მოქალაქეობა მისცა, მაშინ, როცა ხელთ ჰქონდა საქართველოს მთავარი პროკურატურის მოთხოვნა მისი საქართველოში ექსტრადიციის შესახებ?!**

**განა შეიძლება**, უკრაინა სახელმწიფოდ ჩაითვალოს, თუკი სააკაშვილისნაირები დღეს იქ ოფიციალურად რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების თავმჯდომარეები არიან და ბედავენ, ღიად განაცხადონ პრეტენზია პრემიერობაზე(!), რასაც მოწმობს მის მხარდასაჭერად „ფეისბუქში“ გახსნილი ასობით გვერდი და ტელეარხ Zik-ის გადაცემა „სხვა უკრაინა“, რომლის წამყვანი სააკაშვილია?!

**განა შეიძლება**, კიევის რეჟიმი უკრაინის ხელისუფლებად ჩაითვალოს, ხოლო კიევის ბანდფორმირებები — უკრაინის არმიად, თუკი ისინი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იბრძვიან და პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური ნიშნით ხოცავენ, მათ შორის, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს? ტერორისტებს უწოდებს და „ანტიტერორისტულ ოპერაციებს“ ატარებს მათ წინააღმდეგ? როგორ გახდა დონბასის 4 მილიონ 300 ათასი მცხოვრები ერთბაშად „ტერორისტი“?!

**განა შეიძლება, ადამიანებად მივიჩნიოთ მკვლელები, რომლებიც სააკაშვილის ცოლთან ერთად დახოცილი ჯარისკაცების ორგანოებით ვაჭრობენ?! რასისტები და ანტისემიტები, რომლებიც პირდაპირი დამიზნებით ბომბავენ სკოლებსა და ეკლესიებს, წვავენ სინაგოგებსა და ცოცხალ ადამიანებს ოდესის პროფკავშირის სახლში? ნეოფაშისტები და ვანდალები, რომლებიც ხოტბას ასხამენ ჰიტლერსა და ბანდერას, ანადგურებენ დიდი სამამულო ომის პერიოდში უკრაინის მხსნელი გმირების ძეგლებს?!**

„უკრბანდერლოგების“ ზემოჩამოთვლილი მხეცობების ფაქტებით სავსეა ინტერნეტი, მაგრამ არ არის არც ერთი ფაქტი, რომელიც „თავაზიანი ხალხის“ („вежливые люди“) მხრიდან მსგავს რამეს მოწმობს!

არის კი უკრაინა იმ საქართველოს პარტნიორი, რომელმაც ამ დღეებში ევროკავშირისგან ვიზალიბერალიზაცია მიიღო, უკრაინა, რომელშიც არ არსებობს სიტყვის თავისუფლება და იდევნება მედია?!

და **როგორ შეიძლება, საქართველოს პარტნიორად ჩაითვალოს კიევის ოროსნების რეჟიმი, რომლის დღეები დათვლილია და რომელმაც აყვავებული უკრაინა დეფოლტამდე მიიყვანა?!**

## «ТЫ ПОМНИШЬ, КАК ВСЁ НАЧИНАЛОСЬ» («დროის მანქანა»)

გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ „ქართულის გაკვეთილები“ დაისწავლეს მოსკოვში, სადაც დღეს, ისევე, როგორც 2003 წელს საქართველოში, „კორუმპირებულ რეჟიმთან ბრძოლის“ დროშის ქვეშ მოედნებზე გამოჰყავთ მიამიტი მოსწავლეები და სტუდენტები. და არ გეგონოთ, რომ რუსეთის მასშტაბით ისინი ძალიან ცოტანი არიან. საქართველოშიც, აქაური მასშტაბითაც, ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ **საზიზღარი მოთამაშეების ვერაგული გათვლა რაოდენობას კი არ ემყარება, არამედ იმას, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ხელი აღმართონ ბავშვებზე. ამის შემდეგ ბრბოს აღშფოთება აგორდება**, რუსეთი ხომ, საქართველოსი არ იყოს, უკრაინა და აშშ არ არის, იქ ახალგაზრდებსა და მოხუცებზე ხელის აღმართვას გამართლება არ აქვს. მერე კი — „როგორც ბანქო მოვა“...

მოსკოვმა ისწავლა **„ქართულის გაკვეთილები“**, რომლებიც კიევსა და თბილისში ვერა და ვერ დაისწავლეს, ამიტომ ცოტა ხანში საქართველო რუსეთისგან სავიზო რეჟიმის გართულებას, სატრანსპორტო მიმოსვლასა და ფულად გადარიცხვებში — პრობლემებს, პროდუქტებზე ემბარგოსა და ეკონომიკურ სანქციებს უნდა ელოდეს, რომლებიც დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ გამოიყენა ყირიმისთვის.

**რუსებმა კარგად დაისწავლეს „ქართულის გაკვეთილები“, ამიტომაც არ შემოვიდნენ თბილისში 2008 წელს და კიევში — 2014** ▶

**როცა მარიხუანის ლეგალიზების შემდეგ „იზმენააკიდებული“ ადამიანების მიერ ჩადენილი უბედურებები გახშირდება, ის ხალხი, რომელიც ასე აქტიურად გვიკიჟინებს, ნარკოტიკის ლეგალიზაცია უნდა მოხდესო, ხელს ხელისუფლებისკენ გაიშვერს, — კეთილი ინებოს და უკონტროლო ნარკოტიკი აკონტროლოსო. ეს იცით, რას დაემსგავსება? ხელისუფლებამ ქუჩაში ადამიანების გაჩერება რომ დაიწყოს, — ჯიბეში, ერთის ნაცვლად, ორი კოლოფი სიგარეტი ხომ არ გიდევსო, და პატრულმა სასწორით იაროს, მარიხუანა რომ აწონოს.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ წელს, რისი გაკეთებაც სწრაფად და იოლად შეეძლოთ. რუსეთს ახსოვს, როგორ ნაწილ-ნაწილ ქმნიდა ქართულ და უკრაინულ სახელმწიფოებს და მერე არაერთხელ გადაარჩინა ისინი უცხოელი დამპყრობლებისაგან, პასუხად კი უმადურობასა და ღალატს იღებდა...**

## მთავარი გაკვეთილი

ქართულის დაუსწავლელი გაკვეთილები — ეს არის, როცა ტელევიზიის საშუალებით რუსოფობიური პროპაგანდით დამუშავებული მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლის უფლებას აძლევს უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც მოსახლეობის ერთ მეოთხედს არ აღემატებიან, როგორც ეს საქართველოსა და უკრაინაში მოხდა.

ნაციონალისტურ ლოზუნგებსა და არსებული კორუფციის მოსპობის დაპირებებს ამოფარებული უმცირესობის წარმომადგენლები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თვითონ გახდნენ მთავარი კორუფციონერები, რომლებიც კონკურენტების გასანადგურებლად ქვეყანაში დიქტატურას ამყარებენ მათ მიერვე შექმნილ, კანონზე მაღლა მდგომ ზონდერჯგუფებზე დაყრდნობით. ზონდერჯგუფები კომპლექტდება ძალოვანი სტრუქტურების — სპეცრაზმების, შსს-ს, სუს-ისა და სამხედრო პოლიციის თანამშრომლებით, როგორც საქართველოში, ან როგორც უკრაინაში — УНА-УНСО-ს , ДУК ПС-ის და სხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების „ბოევიკებით“, რომლებმაც ლეგიტიმაცია მიიღეს შსს-ს სპეცბატალიონ „აზოვისა“ და თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების შემადგენლობაში.

ეროვნულ-პატრიოტული ლოზუნგებიც ბლეფია — **სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმი, რომელიც 9 წელიწადს მართავდა საქართველოს, და პოროშენკოს მარიონეტული რეჟიმი, რომელიც, უკვე 3 წელია, მართავს უკრაინას, სინამდვილეში ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი აღმოჩნდა. დიდი ფულის სანაცვლოდ მათ დაანგრიეს საქართველო და უკრაინა, რათა რუსულენოვანი მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიები რუსეთისთვის გადაეცათ, დანარჩენი კი დასავლეთის პროტექტორატად გადაექციათ ნატოს სახმელეთო და საზღვაო ბაზებითა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებით შავ ზღვაზე.**

საქართველო ვაზის ქვეყანაა, აქ ღვინოს — ქრისტეს სისხლს — ამზადებენ, უკრაინა კი ხორბლის უკიდეგანო ხოდაბუნების ქვეყანაა, იქ პურს — ქრისტეს სხეულს — აცხობენ.

ჩვენს ქვეყნებში არ არის ტანკებისა და რაკეტების, ნატოს ცენტრებისა და ბაზების ადგილი!

**საქართველოსა და უკრაინას საიმედოდ დაიცავს ქაღალდის ერთი ფურცელი — რუსეთთან მეგობრობის ხელშეკრულება. აი, რას გვასწავლის ქართულის მთავარი გაკვეთილი.**

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი**

# მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ შვილებს მარიხუანისა და, შესაძლოა, კლუბური ნარკოტიკის მოხმარების გამო, საყვედურსაც ვერ ეტყვიან

**ამას წინათ მეგობარი მეუბნებოდა, ბავშვს ტელევიზორს ვერ ვაყურებინებ, იმდენ სისულელეს აჩვენებენ, აღარ ვიცი, რა ვქნაო. წუხილის მიზეზი რომ ვკითხე, ძირითადად უცხოური მულტფილმები დამისახელა — არ შეიძლება ყველი ლაპარაკობდეს, კუ და გაურკვეველი ფორმის წარმონაქმნი კოსმოსში დაფრინავდეს და ამ ყველაფერს 3-4 წლის ბავშვი უყურებდესო. ჩვენი თაობა „ჩხიკვთა ქორწილზე“, „წუნა და წრუწუნასა“ და სხვა ქართულ მულტფილმებზეა გაზრდილი („კომბლეს“ შენებულად არ ვამბობ, ჯეჯელავა გაღიზიანდება), ახალი თაობა კი მოსაუბრე ყველს, მფრინავ კუს და უცნაური ფორმის მწერებს უყურებს.**



მე თუ მკითხავთ, ტელევიზორის ყურება არა მხოლოდ ბავშვებისთვის, დიდებისთვისაც სახიფათოა. მართლა იმდენი სიბინძურე იღვრება ტელეეკრანიდან, რომ შეუძლებელია, ადამიანი არ გააოცოს. ხოლო სერიალებს, რომლებშიც ვიღაცის მამიდა საბოლოოდ ბიძა აღმოჩნდება, ხოლო ცოლ-ქმარი ბოლოს — და-ძმა, აქტიურად განიხილავენ სოფლის ბირჟებზე. ბოლო პერიოდში კი ახალგაზრდებზე დაიწყო ფსიქოლოგიური შეტევა და იმის მტკიცება, რომ ნარკოტიკი კარგია და მისი მოხმარება დანაშაული არ არის.

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტმა თამბაქოს მოწევის შეზღუდვაზე იმსჯელა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დაახლოებით 2020 წლისთვის თამბაქოს მოწევა არათუ შეუძლებელი იქნება, არამედ დანაშაულადაც იქცევა. თუმცა რაღა იქცევა, აკრძალულ ადგილებში თამბაქოს მოწევისთვის სოლიდური ჯარიმა მალე დაწესდება და მწეველების ჯიბეს, მხოლოდ სიგარეტის ყიდვა კი არა, ჯარიმაც გვარიანად დაარტყამს. ჯერჯერობით არ არის საუბარი ქუჩაში მოწევის აკრძალვაზე, მაგრამ, დიდი ალბათობით, ასე მოხდება. ყველაზე საინტერესო კი სტადიონზე სიგარეტის მოწევის აკრძალვაა. **ჩვენი ნაკრების თამაშს რომ ვუყურებთ ხოლმე, თამბაქო ყველაზე მოთხოვნილ პროდუქტად რჩება და სიგარეტის გარეშე ჩვენი ფეხბურთელების ცქერა არ უნდა იყოს იოლი საქმე.**

სხვათა შორის, აკრძალვის წარდგენისას პარლამენტში ისიც თქვეს, საქართველოში თამბაქოს რომ არავინ ეწეოდეს, ხუთი მილიონი ვიქნებოდით, ყოველი მეათე თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული დაავადებით კვდებაო. **არ ვამტკიცებთ, რომ თამბაქო კარგია, ისიც ვიცით, რომ ნიკოტინი ერთ-ერთი ძლიერი ნარკოტიკია, მაგრამ, ვინც ამ ციფრებს ითვლის, იმას არ ანგარიშობს, რომ თამბაქოს შემომტანები წლიურად ბიუჯეტში 600 მილიონ ლარს იხდიან და, ეს თანხა რომ არა, 5 მილიონზე მეტი კი არა, ეგებ იმაზე ნაკლები ვყოფილიყავით, ვიდრე ახლა ვართ?!** ჩვენი აზრით, თამბაქოს რეკლამირება უნდა აიკრძალოს, სოლიდური სასჯელი უნდა დაწესდეს მათთვის, ვინც არასრულწლოვანს მიჰყიდის სიგარეტს, მაგრამ... ცოტა არ იყოს, **აბსურდის თეატრს ემსგავსება ყველაფერი, როცა იგივე პარლამენტი, თამბაქოს მოწევის აკრძალვის პარალელურად, მარიხუანის მოწევის ლეგალიზებას განიხილავს.** პრინციპში, რაღა განიხილავს, გადაწყვეტილია, რომ მარიხუანის იმ რაოდენობის ქონა, რომელიც ერთ კორპუსს ეყოფა მოსაწევად, აღარ დაისჯება.

რას ვიღებთ რეალურად? — ვიღებთ იმას, რომ საკმაოდ ძლიერ ნარკოტიკს, ისეთს, როგორიც მარიხუანაა, ვაკანონებთ და კანონის ძალით ვიცავთ კაიფს. ამით არამხოლოდ მარიხუანის მომხმარებლებს ვახალისებთ, არამედ მათაც, ვინც ამ მარიხუანას გაყიდის და მათ „ბარიგები“ ჰქვია. **300 კაცის სამყოფი ნარკოტიკის დოზა რომ ექნება „ბარიგას“ სახლში, პოლიცია ვერაფერს ეტყვის, რადგან სწორედ ეს დოზაა დაშვებული და თრიაქით გაბრუებული ახალგაზრდები საოცარი სანახავი იქნებიან ბირჟაზე. ამის შემდეგ, მხოლოდ ტელეეკრანს კი არა, უბნის ბიჭებზეც არ უნდა შევახედოთ ბავშვებს, რადგან ბავშვი ყველაფერს ისრუტავს და უაზრო სახეებით მომღიმარი ბიჭების დანახვა მათში რა რეაქციას გამოიწვევს, თავად განსაჯეთ.**

**300 კაცის სამყოფი ნარკოტიკის დოზა რომ ექნება «ბარიგას» სახლში, პოლიცია ვერაფერს ეტყვის, რადგან სწორედ ეს დოზაა დაშვებული და თრიაქით გაბრუებული ახალგაზრდები საოცარი სანახავი იქნებიან ბირჟაზე. ამის შემდეგ, მხოლოდ ტელეეკრანს კი არა, უბნის ბიჭებზეც არ უნდა შევახედოთ ბავშვებს, რადგან ბავშვი ყველაფერს ისრუტავს და უაზრო სახეებით მომღიმარი ბიჭების დანახვა მათში რა რეაქციას გამოიწვევს, თავად განსაჯეთ**

წელან შოუები ვახსენეთ და სწორედ სატელევიზიო შოუში გაკეთდა მოწოდება, რომ არა მხოლოდ მარიხუანის ლეგალიზება უნდა მოხდეს, არამედ ე.წ. კლუბური ნარკოტიკისაც, რადგან ისიც უვნებელია. იმავე **შოუში არავის უთქვამს, რომ კლუბური ნარკოტიკის მინარევებისა და ამ მინარევებით მარიხუანის გაჟღენთვის შედეგად მიიღება ბიონარკოტიკის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც ახალგაზრდები მოიხმარენ და... სწორედ ამ ნარკოტიკის მოხმარების შედეგად მოხდა ორი უბედური შემთხვევა თბილისში, როცა 23-24 წლის ბიჭებმა თავი ვერ გააკონტროლეს და მეცხრე სართულიდან გადმოხტნენ.** და მერე, როცა მარიხუანის ლეგალიზების შემდეგ, „იზმენააკიდებული“ ადამიანების მიერ ჩადენილი უბედურებები გახშირდება, ის ხალხი, რომელიც ასე აქტიურად გვიკიჟინებს, ნარკოტიკის ლეგალიზაცია უნდა მოხდესო, ხელს ხელისუფლებისკენ გაიშვერს, — კეთილი ინებოს და უკონტროლო ნარკოტიკი აკონტროლოსო. ეს იცით, რას დაემსგავსება? ხელისუფლებამ ქუჩაში ადამიანების გაჩერება რომ დაიწყოს, — ჯიბეში ერთის ნაცვლად, ორი კოლოფი სიგარეტი ხომ არ გიდევსო, და პატრულმა სასწორით იაროს, მარიხუანა რომ აწონოს და...

პარალელურად, **მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ შვილებს მარიხუანისა და, შესაძლოა, კლუბური ნარკოტიკის მოხმარების გამო, საყვედურსაც ვერ ეტყვიან, რადგან შემდეგ საქმეში ე.წ უფლებადამცველი არასამთავრობოები ჩაერევიან.**

რა გამოვიდა? ე.წ. ვიზალიბერალიზაცია მივიღეთ და, პატრიარქის სიტყვებს თუ გავიხსენებ, ევროპისგან კარგი უნდა ვისწავლოთ და ჩვენს უძველეს კულტურას ვაზიაროთ. ლიტერატურულ ნაწარმოებებში კი წერია, რომ ქართველი მეფეები თრიაქს ეწეოდნენ, მაგრამ არა მგონია, პატრიარქს ეს ეგულისხმა, როცა კულტურის ზიარებაზე აკეთებდა აქცენტს...

**ცნობისთვის: ჯორჯ სოროსის მიერ საქართველოსთვის დაწერილ-გაწერილ პროგრამაში ეწერა, — ქართველებს საკუთარი ისტორია უნდა დავავიწყოთ, რათა სხვა ერებში ისე ავთქვიფოთ, ვერავინ მიხვდეს, ვინ ქართველია და ვინ — არაო. ჰოდა, ახლა ჩვენი გადასაწყვეტია, სოროსის მონობა გვინდა თუ იმ ქართველთა გვარის გამგრძელებლები ვიყოთ, რომლებიც ომიანობის პერიოდში ევროპას ეხმარებოდნენ და სიმამაცით აოცებდნენ. გვერწმუნეთ, ნარკოტიკის მოხმარებით ვინმეს გაოცება არც საინტერესოა და არც გამოგვივა.**

**არ ვამტკიცებთ, რომ თამბაქო კარგია, ისიც ვიცით, რომ ნიკოტინი ერთ-ერთი ძლიერი ნარკოტიკია, მაგრამ, ვინც ამ ციფრებს ითვლის, იმას არ ანგარიშობს, რომ თამბაქოს შემომტანები წლიურად ბიუჯეტში 600 მილიონ ლარს იხდიან და, ეს თანხა რომ არა, 5 მილიონზე მეტი კი არა, ეგებ იმაზე ნაკლები ვყოფილიყავით, ვიდრე ახლა ვართ?.. აბსურდის თეატრს ემსგავსება ყველაფერი, როცა პარლამენტი, თამბაქოს მოწევის აკრძალვის პარალელურად, მარიხუანის მოწევის ლეგალიზებას განიხილავს**

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1943 წლის 7 ნოემბრის №309-ე ბრძანების დასკვნით ნაწილში უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი წერდა: „ახლოვდება ჟამი საბოლოო განკითხვისა იმ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც ჩაიდინეს ჰიტლერელებმა საბჭოთა მიწა-წყალზე და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში“.**

„ყველგან სტალინის სიბრძნე ანათებს,
ყველგან სტალინის მარჯვენა ვიცან“.
„აი, ქართველო, შენი სამშობლო“.
*ი. მოსაშვილი*

# სტალინი და ნიურნბერგის სასამართლო პროცესი

**ამჯერად არ ვაპირებ სტალინის სიბრძნისა და სიდიადის წარმოჩენას საქართველოს მასშტაბით. ახლახან ჩამოვედი ევროპიდან და მინდა, მკითხველს ჩემს შთაბეჭდილებებზე მოვუთხრო.**

2017 წლის 31 მარტს, დილით, დიდი კითხვა-გაკითხვის შემდეგ, ბავარიის რიგით მეორე ქალაქის (მიუნხენის შემდეგ) — ნიურნბერგის დათვალიერება დავიწყე. თვალებს ვერ ვუჯერებდი, როცა ამ ქალაქის უძველეს არქიტექტურას ვეცნობოდი და გაკვირვებას ვერ ვმალავდი იმის გამო, რომ იგი ასე კვერცხივით მთელი გადაურჩა მეორე მსოფლიო ომის ნგრევასა და ხანძარს.

დავათვალიერე ძველი ნიურნბერგის ისტორიული ადგილები. ეს ხომ **ჰიტლერის** უსაყვარლესი ქალაქი და მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ოქროს სავანე იყო. 1927 წელს აქ ჩატარდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პირველი ყრილობა; 1938 წელს ჰიტლერმა სწორედ აქ, ამ ქალაქში და ამ ცნობილ სტადიონზე, ჩაატარა თავისი პარტიის უკანასკნელი და გაფართოებული ყრილობა, რომელსაც მილიონამდე დელეგატი დაესწრო; ამ სტადიონზე იწრთობოდა ზონდერბრიგადები და აქ იღებდა ფიურერი აღტყინებული ხალხისგან საზეიმო პატაკებს; აქ ელაპარაკებოდა იგი გერმანელ ერს ებრაელებისგან ქვეყნის გაწმენდასა და გერმანელების მსოფლიო ბატონობაზე.

სწორედ აქ, ნიურნბერგში, მდებარე ყვითელ სახლში განიხილავდნენ საბჭოეთზე თავდასხმის ბარბაროსულ გეგმას, რომელსაც სახელიც ზედგამოჭრილი ჰქონდა — „ბარბაროსა“.

„გემრიელ ლუკმას“ ბოლოსთვის ვინახავდი და კითხვა-კითხვით ნიურნბერგის იუსტიციის სასახლეს მივადექი.

გზაჯვარედინზე მდებარე სასახლის ეზოს კუთხეში შევნიშნე ჯგუფი დროშებისა, რომელთაგან თავისი სიკაშკაშით წითელი დროშა გამოირჩეოდა. ახლოს მივედი და თითქოს ჩემს ახლობელს, ოჯახის წევრს შევხვდი: **ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დროშების შუაგულში ფრიალებდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დროშა,** რომელზეც მზესავით მოჩანდა მუშათა და გლეხთა ერთიანობის სიმბოლო — „ნამგალი და ურო“. ენობრივი ბარიერის გამო სასწრაფოდ ჟესტიკულაციაზე გადავედი და გვერდით მდგომ უცხოელს ჩემი ტელეფონით დროშების ფონზე ფოტოების გადაღება ვთხოვე, რაც მაშინვე შემისრულა ღიმილით. **ვუყურებდი ფოტოზე გამოსახულ დროშას და ვფიქრობდი: თუ საბჭოთა კავშირის მიერ დამარცხებული გერმანიის დედაქალაქის — ბერლინის ცენტრში, ტევტონ პარკში, დასაშვებია საბჭოთა კავშირის სიმბოლიკა, რატომ აკრძალა იგი „პადოშამ“ საქართველოში და რატომ არ შეიძლება მისი გამოფენა ჩვენს ქვეყანაში? !თუ ნიურნბერგის ქუჩებში შეიძლება წითელი დროშისა და „ნამგლისა და უროს“ ხილვა, რატომ არ გვაქვს ამის შესაძლებლობა თბილისში?!** თუ ამას მხოლოდ მას შემდეგ შევძლებთ, როცა ევროკავშირში გავერთიანდებით? — ვაი, ჩვენს თავს უბედურს!

ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის მოკირწყლული, უშველებელი მოედანი ფილიგრანულად დამზადებული რკინის ღობით არის შემოსალტული, რომელსაც სამივე მხრიდან ასევე უზარმაზარი ე.წ. საპარადო, მნახველთათვის ყურთამდე გაღებული კარი ამშვენებს.

შენობაში ცენტრალური შესასვლელით შევედი და კვლავ ჟესტიკულაციაზე მომიწია გადასვლა, ქართულადაც ვლაპარაკობდი (რომ არ ეფიქრათ, მუნჯიაო). მივახვედრე, რომ დამთვალიერებელი ვიყავი. ბილეთთან ერთად ტელეფონი-გიდიც გადმომცეს და ლიფტისკენ მიმითითეს; მიმანიშნეს, — მეორე სართულიო.

**უზარმაზარი დარბაზის კარი ღია იყო. ამ დარბაზში ნაცისტი სამხედრო დამნაშავეები ისხდნენ. იქვეა ტრიბუნა, რომლიდანაც ისინი ჩვენებებს იძლეოდნენ.** გარემოს, როგორც იქნა, შევეჩვიე. წარსულის მოვლენებთან ისე ახლოს ვიყავი, თითქოს არ მჭირდებოდა გიდი, მაგრამ ტელეფონზე მაინც ავკრიფე 10-01, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე №1 ობიექტზე ვიმყოფებოდი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოსთვის ეს დარბაზი №600-ით არის ცნობილი, ტელეფონის ცნობარში ის მაინც №1-ად არის აღნიშნული.

ტელეფონში გაისმა ჩემთვის გასაგები და ნაცნობი რუსული სიტყვები: „დობრო პოჟალოვატ“. და დაიწყო ის, რაც არ ვიცოდი და უნდა მცოდნოდა.

დავიწყოთ თავიდან.

1941 წლის 7 ნოემბერს, როდესაც მტერი მოსკოვს იყო მომდგარი და გერმანელი ჯარისკაცები მუნდირებს იზომავდნენ გამარჯვების აღლუმისთვის, მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგარი **სტალინი** ფოლადივით მტკიცე ხმით ამცნობდა მსოფლიოს:

**„გერმანია დიდხანს ვერ გაუძლებს ასეთ დაძაბულობას, კიდევ რამდენიმე თვე, კიდევ ნახევარი წელიწადი, შეიძლება ერთი წელიც და მეტიც, და ჰიტლერულ გერმანიას თავისი დანაშაულების სიმძიმე გასრესს“.** მაშინ, როდესაც მტერი მოსკოვის დიდ თეატრს ბომბავდა და 27 კილომეტრით იყო მოახლოებული წითელ მოედანს, ნაკლებად თუ დაიჯერებდა ვინმე სტალინის სიტყვებს. ამ სიტყვებისა მხოლოდ წარმომთქმელს სჯეროდა.

1942 წლის 6 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლის თავზე გაკეთებულ მოხსენებაში სტალინი კვლავ მიუბრუნდა გერმანელთა დანაშაულებრივ ქმედებებს და დამაჯერებლად განაცხადა: **„ჩვენ ვიცნობთ ამ უმსგავსობის ჩამდენ დამნაშავეებს — „ევროპის ახალი წესრიგის“ მშენებლებს. ყველა ამ ახალგამომცხვარ გენერალ-გუბერნატორს, კომენდანტს. მათი სახელები იცის ათიათასობით განაწამებმა ადამიანმა. დაე, იცოდნენ ამ ჯალათებმა, რომ ისინი ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულებისთვის და თავს ვერ დააღწევენ ნაწამები ხალხების დამსჯელ ხელს. ჩვენი ამოცანა არის ის, რომ დავანგრიოთ საზიზღარი „ახალი წესრიგი ევროპაში“ და დავსაჯოთ მისი მშენებლები“.**



დარბაზი, რომელშიც მიმდინარეობდა ნიურნბერგის პროცესი

**ვუყურებდი ფოტოზე გამოსახულ დროშას და ვფიქრობდი: თუ საბჭოთა კავშირის მიერ დამარცხებული გერმანიის დედაქალაქის — ბერლინის ცენტრში, ტევტონ პარკში, დასაშვებია საბჭოთა კავშირის სიმბოლიკა, რატომ აკრძალა იგი «პადოშამ» საქართველოში და რატომ არ შეიძლება მისი გამოფენა ჩვენს ქვეყანაში?! თუ ნიურნბერგის ქუჩებში შეიძლება წითელი დროშისა და «ნამგლისა და უროს» ხილვა, რატომ არ გვაქვს ამის შესაძლებლობა თბილისში?!**




მართალია, მტერი მოსკოვის მისადგომებიდან უკუიქცა, მაგრამ მას საბჭოეთის ევროპული ნაწილი კვლავ ჰქონდა დაპყრობილი; შემოაბიჯა კავკასიაში და მყინვარწვერზე ფაშისტური დროშაააფრიალა, გაიჭრა სტალინგრადისკენ, რათა მეორედ დაერტყა მოსკოვისთვის და ტყვედ აეყვანა სტალინი. ამ პირობებში სტალინის მუქარას, რომ დამნაშავეებს სასტიკად დასჯიდა, ბევრი მხოლოდ იუმორით აღიქვამდა.

ომის დაწყებისთანავე **ფრანკლინ რუზველტმა**, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, თავისი უახლოესი მრჩეველი **ავერელ ჰარიმანი** სასწრაფოდ აფრინა მოსკოვს სტალინთან შესახვედრად, რათა გაეგო სტალინის მორალური სიმტკიცე და განესაზღვრა, ვის მხარეს უნდა დამდგარიყო. სტალინმა ჰარიმანი დაუყოვნებლივ მიიღო და გულწრფელი საუბარი გაუმართა. 6-საათიანი საუბრის შემდეგ ჰარიმანმა დაშიფრულ ტელეგრამა გაუგზავნა თავის პრეზიდენტს: **„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ სტალინის გამარჯვებაში“.**

სწორედ ამ დეპეშის საფუძველზე დაიწყო აშშ-მა საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარება. **სიტყვა და საქმე ერთი რომ იყო სტალინისთვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1942 წლის 14 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მოწოდება, შექმნილიყო საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც სასჯელს გამოუტანდა ადამიანებს, რომლებიც დანაშაულს სჩადიოდნენ კაცობრიობის წინააღმდეგ.**

1943 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე თავის მოხსენებაში მოსკოვის მშრომელებისადმი სტალინმა კვლავ გაიმეორა სიტყვები:

**„ჩვენი ხალხი არ აპატიებს ამ დანაშაულებს გერმანელ მტარვალებს. ჩვენ ვაიძულებთ გერმანელ დამნაშავეებს, პასუხი აგონ ჩადენილი ბოროტმოქმედებისთვის“.**

1943 წლის ბოლოს ჰიტლერის პირადმა მდივანმა, რაიხსმინისტრმა **მარტინ ბორმანმა** ნიურნბერგში გამართულ პარტიულ კონფერენციაზე ისტერიკული კივილითა და ჟესტებით განაცხადა: „ომის დასკვნით ნაწილში სტალინმა შექმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც დასჯის სამხედრო დამნაშავეებს. ჩვენ კი ვმუშაობთ იმაზე, როგორ დავსაჯოთ სტალინი საბჭოეთთან ერთად ამ ტრიბუნალზე“.

**1943 წლის 7 ნოემბრის №309-ე ბრძანების დასკვნით ნაწილში უმაღლესი მთავარსარდალი სტალინი წერდა: „ახლოვდება ჟამი საბოლოო განკითხვისა იმ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც ჩაიდინეს ჰიტლერელებმა საბჭოთა მიწა-წყალზე და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში“.** სტალინმა სამხედრო დამნაშავეთა დასჯის საკითხი თეირანის კონფერენციაზეც დააყენა, რომელიც სრულიად საიდუმლოდ სამი სახელმწიფოს მეთაურთა მიერ იქნა განხილული. საკითხის განხილვა განახლდა იალტის კონფერენციაზე. 1945 წლის 9 თებერვალს იალტაში, ლივადიის სასახლეში გამართული კონფერენციის მე-6 სხდომაზე დღის წესრიგში კვლავ დადგა ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლის დაკონკრეტებას **ჩერჩილი** და **რუზველტი** შეეცადნენ.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ სამხედრო დამნაშავეები უნდა გადასცენ იმ ქვეყნებს, რომლებშიც მათ ჩაიდი- ▶

## სტალინს ომის დაწყების პირველი დღიდანვე დეტალურად ჰქონდა კინო და ფოტომასალა აკინძული, ფოტო და კინოდოკუმენტალისტების მიერ შეგროვებული. სამამულო ომის საშინელი სურათების ასახვის საქმეს ომის ოთხი წლის განმავლობაში 3000-ზე მეტი ფოტოგრაფი და კინოდოკუმენტალისტი შეეწირა. სწორედ მათ მიერ მოპოვებულმა მასალებმა ჩააგდო შოკში მსოფლიო.

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ნეს ესა თუ ის დანაშაული. საერთოდ კი, უმჯობესი იქნებოდა, დაეხვრიტათ ისინი, როგორც კი შეიპყრობდნენ.

სტალინმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ყველა სამხედრო დამნაშავეს უნდა წარედგინოს ბრალი, თითოეული მათგანი უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე, წარიმართოს დაცვის პროცედურები და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს ვერდიქტის გამოტანა.

ჩერჩილის შეკითხვას, როგორი უნდა ყოფილიყო სასამართლო პროცესი, იურიდიული თუ პოლიტიკური, რუზველტმა უპასუხა:

„პროცედურა მეტისმეტად იურიდიული არ უნდა იყოს. სასამართლოზე არ უნდა იყვნენ დაშვებული კორესპოდენტები და ფოტოგრაფები“. **სტალინის აზრით კი, სასამართლო უნდა ყოფილიყო იურიდიული და გამჭვირვალე. სასამართლოზე წარდგენილი ბრალდებები უნდა სცოდნოდა მსოფლიოს საზოგადოებრიობას.**

სახელმწიფო მეთაურები შეთანხმდნენ, რომ ეს საკითხი განსახილველად გადაეცათ საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის, რომლებსაც უნდა ეხელმძღვანელათ 1943 წელს ჩატარებული საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციის საიდუმლო მასალებით. 1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ფორმა და წესი, მაგრამ ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა საბჭოთა მხარის პრინციპული მოთხოვნა სასამართლო პროცესის იურიდიულად წარმართვის შესახებ არ შესრულებულიყო.

საბჭოთა კავშირი შეჩვეული იყო მოკავშირეთა ჭირვეულობას და სხვადასხვა მიზეზის გამონახვას სამხედრო ტრიბუნალის წარმართვაზე, მაგრამ **სტალინს მტკიცედ სჯეროდა, რომ, თუ მსოფლიო არ შეიტყობდა ჰიტლერელთა მხეცობას, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებს, სასამართლო პროცესი ათასნაირად მოინათლებოდა და წლების შემდეგ იგი გამარჯვებულთა გასამართლების პროცესი იქნებოდა.**

1943 წელს, როდესაც სტალინმა საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის საიდუმლო გადაწყვეტილება მიიღო, გადაწყვეტილების ერთი ასლი საბჭოთა კავშირში ბრიტანეთის ელჩს გადასცეს „პირადი ინფორმაციისათვის“, რომელშიც მითითებული იყო ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების დასჯის საკითხი. ელჩი ამ საკითხს აღშფოთებით შეხვდა, მის აღშფოთებას შეუერთდა ბრიტანეთის მთავრობა და ზოგიერთი დაპყრობილი ქვეყნის ხელმძღვანელი. ინგლისში „სპეციალური კომიტეტი“ შეიქმნა, რომელიც უარყოფდა საბჭოეთის გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შექმნის თაობაზე.

ამოცანას იმის შესახებ, რატომ მოიწვია მოკლული დათვის ტყავის გასანაწილებლად სტალინმა ინგლისი და ამერიკა, ხსნის ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის შექმნის წინა და შემდგომი პერიოდების პროცესები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს სტალინის შორსმჭვრეტელობასა და გენიალურ აზროვნებას.


დანგრეული ნიურნბერგი, 1945 წ.

ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის №600-ე დარბაზის გარდა, სხვაგან სტალინი ვერსად დაამტკიცებდა ნაცისტების იმ ავაზაკურ და მხეცურ მოქმედებებს, რომლებიც ჩაიდინეს როგორც საბჭოეთის ტერიტორიაზე, ისე ევროპის ზოგიერთ დაპყრობილ ქვეყანაში.

**ჩერჩილისა და რუზველტის მიერ უარყოფილი დაცვის ინსტიტუტი, რომელიც არ უნდა გამოყენებულიყო ნაცისტთა სასამართლო სხდომებზე, სტალინის დაჟინებული მოთხოვნით მაინც ამოქმედდა. ნაცისტებს სასამართლო სხდომებზე გერმანიის საუკეთესო ადვოკატები იცავდნენ. ამასთანავე, სტალინის დაჟინებული მოთხოვნით, სასამართლო პროცესს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული 250 ჟურნალისტი და 50-მდე ფოტოგრაფი აშუქებდა.**

ინგლისელებსა ამერიკელებს სურდათ, რომ ნაცისტ სამხედრო დამნაშავეებს თავი არ დაეცვათ და არ წარმოეთქვათ საბოლოო სიტყვა. სტალინის მოთხოვნით, ყველა ბრალდებულს დროის შეუზღუდავად შეეძლო დაეცვა საკუთარი თავი და ეთქვა საბოლოო სიტყვა. სწორედ ამის საფუძველზე ავიაციის რაიხსმინისტრი **ჰერმან გერინგი** 9 დღის განმავლობაში იცავდა თავს წაყენებული ბრალდებებისგან.

სტალინის მოთხოვნით, სასამართლო პროცესზე არათუ ფოტოგრაფები დაუშვეს, არამედ კინოგადამღები აპარატურაც დაამონტაჟეს.

**საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის პირველი სხდომა 1945 წლის 9 ოქტომბერს ჩატარდა ბერლინში, შემდეგი სხდომები კი ჰიტლერის საყვარელ ქალაქ ნიურნბერგში გაიმართა და 10 თვესა და 10 დღეს გაგრძელდა. სულ ჩატარდა 403 სხდომა.**

წერილის შესავალ ნაწილში მკითხველს მოვახსენე, როგორი იყო სისხლისმღვრელ ომს კვერცხივით გადარჩენილი ეს უნიკალური ქალაქი. როცა იუსტიციის სასახლეში სურათებს ვათვალიერებდი და კინოკადრებზე ვუყურებდი ნიურბერგის დანგრეულ ქუჩებსა და მოედნებს, ვფიქრობდი, რა ხელმა და ნიჭმა აღადგინა ფერფლიდან ეს უნიკალური და ულამაზესი ქალაქი, რომელიც აგურისა და ბათქაშის მთებში იყო ჩამარხული. ამ ამოფრქვეულ ვულკანში ერთი გრანდიოზული შენობა ჩანდა დაუნგრეველი — იუსტიციის სასახლე, მის უკანა ეზოში აშენებული საპატიმროც გადაურჩა ომის ქარტეხილს. სწორედ ეს შენობა, თავისი საპატიმროთი, იყო ყველაზე მოხერხებული ნაცისტი სამხედრო დამნაშავების მოსათავსებლად და დასაცავად. თუ როგორ იყო დაცული მათი უსაფრთხოება, სხვა თემაა და სხვა დროისთვის გადავდოთ.


ნიურნბერგის იუსტიციის სახლი

1945 წლის 20 ნოემბერს ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის №600-ე დარბაზში საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო მუშაობა.

**სასამართლო დარბაზი, რომელიც ამერიკელებმა გაარემონტეს და მოამზადეს სასამართლო სხდომებისთვის, დღესაც უნაკლოდ გამოიყურება.** შემოსასვლელ კარს უზარმაზარი მარმარილოს სვეტები ამშვენებს, ისინი ასევე მარმარილოს ქვებით არის დაკავშირებული კარის თავთან, რომელზეც ამოტვიფრულია თემიდა. თემიდას ერთი მხრიდან ხელში ხმალმომარჯვებული ყმაწვილი შეჰყურებს, ხოლო მეორე მხრიდან — დაბრძენებული კაცი.

1945 წელს სწორედ ამ კარში, რომელიც ფართოდ გააღო ჯარისკაცმა, გამოჩნდნენ ფაშისტი დამნაშავეები:

**1. ჰერმან ვილჰელმ გერინგი;**
**2. იოახიმ ფონ რიბენტროპი;**
**3. რობერტ ლეი;**
**4. ვილჰელმ კეიტელი;**
**5. ერნსტ კალტენბრუნერი;**
**6. ალფრედ როზენბერგი;**
**7. ვილჰელმ ფრიკი;**
**8. იულიუს შტრაიხერი;**
**9. ვალტერ ფუნკი;**
**10 იალმარ შახტი;**
**11. გუსტავ კრუპი;**
**12. კარლ დენიცი;**
**13. ერიხ რედერი;**
**14. ბალდურ ფონ შირახი;**
**15. ფრანც ზაუკელი;**
**16. ალფრედ იოდლი;**
**17. მარტინ ბორმანი;**
**18. ფრანც ფონ პაპენი;**
**19. არტურ ზეის-ინკვარტი;**
**20. ალბერტ შპეერი;**
**21. კონსტანტინ ფონ ნეირტი;**
**22. ჰანს ფრიჩე.**

ესენი მესამე რაიხის პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური, იდეოლოგიური, პროპაგანდისტული სტრუქტურების ხელმძღვანელები იყვნენ. სასამართლომ განსახილველ საკითხთა შორის დაასახელა, რომ ვერდიქტი გამოეტანათ ნაციონალ-სოციალისტური პარტიისთვის, ეს-ეს-ის, ესდე-ს, გესტაპოსა და გენშტაბის მიმართ.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა დაკითხა 116 მოწმე და სასამართლოს წარუდგინა ათასობით წერილობითი დოკუმენტი. ბრალდებულებს იცავდა გერმანული მართლმსაჯულების ელიტა. მაგალითად, ომის ძრავად წოდებულ **იოდლს** იცავდა დოქტორი **ექსნერი** — გერმანული მართლმსაჯულების მეტრი, სისხლის სამართლის უდიდესი სპეციალისტი. **დენიცის** ადვოკატი **ბიულერი** 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საზღვაო ფლოტის სასამართლო კოლეგიას. **გერინგს** კი ევროპაში სახელგანთქმული ადვოკატი **ოტო შტამერი** იცავდა. ყველა სამხედრო დამნაშავეს მის მიერ არჩეული ადვოკატი ჰყავდა, რომელთა მაღალი ანაზღაურება კოალიციის წევრთა მხრეზე გადადიოდა. ოთხმა დიდმა სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, როგორც გამარჯვებულმა ქვეყნებმა, შექმნეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომლის კომიტეტშიც შედიოდნენ თითოეული სახელმწიფოდან მთავარი ბრალმდებლები:

საბჭოთა კავშირიდან — **რომან რუდენკო**, ამერიკის შეერთებული შტატებიდან — **რობერტ ჯექსონი**; დიდი ბრიტანეთიდან — **ჰარტლი შოუკროსი,** საფრანგეთიდან — **ფრანსუა დე მენტონი.**

1945 წლის 20 ნოემბერს განსასჯელთა სკამზე დასვეს ნაცისტი დამნაშავეები.

სხდომა ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ჯექსონმა გახსნა და სამხედრო დამნაშავეებს წარუდგინა ბრალი მითითებული მუხლების შესაბამისად. ბრალდების წაყენების შემდეგ თითოეული ცალ-ცალკე გამოიძახეს ტრიბუნასთან და ჰკითხეს, ცნობდნენ თუ არა თავს დამნაშავედ. არც ერთმა მათგანმა თავი დამნაშავედ არ ცნო.

დაიწყო თითოეული დამნაშავის დაკითხვა და წაყენებული ბრალდების დამტკიცების რთული პროცედურა. როგორც განსასჯელები, ისე მათი ადვოკატები, გააფთრებით იცავდნენ თავს და ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ უდანაშაულონი იყვნენ. ადვოკატებმა და განსასჯელებმა არგუმენტირებული მოსაზრებები წამოაყენეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ლეგიტიმურობის თაობაზე, რადგან ის შედგებოდა მხოლოდ გამარჯვებული ქვეყნების წარმომადგენლებისგან და არ იყო წარმოდგენილი ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლები.

გერინგმა ჯექსონთან შელაპარაკებისას განაცხადა:

**„რატომ ჩემ გვერდით არ ზის ამერიკის პრეზიდენტი ტრუმენი, რომელმაც ახლახან ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ, როდესაც იაპონიის ქალაქების — ჰიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიან მოსახლეობას ატომური ბომბები დაუშინა?“**

სასამართლო სხდომები პირველი სამი თვის განმავლობაში ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების სასარგებლოდ წარიმართა, ვიდრე ტრიბუნაზე არ ავიდა საბჭოთა კავშირიდან მთავარი ბრალმდებელი **რუდენკო**, რომელიც იმჟამად უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ადგილს იკავებდა.

ახალგაზრდა რუდენკოს (ის მაშინ 38 წლის გახლდათ), როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ ენდო სტალინი და ნიურნბერგში ბევრის მნახველი და გამოცდილი **ვიშინსკი** მიავლინა. ვიშინსკის მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე არაერთი პროცესი ჰქონდა ჩატარებული და მის ფხიზელ თვალს ამჯერადაც არაფერი გამოეპარებოდა.

ვიშინსკი ურჩევდა რუდენკოს, არ წარედგინა მთავარი სამხილები სხდომებზე, ვიდრე ბრალდებულები სრულიად არ დაიცლებოდნენ თავიანთი გამამართლებელი ფაქტებისგან და ბოლომდე არ იტყოდნენ სათქმელს. ამის გამო იყო, რომ გერინგი 9 დღის განმავლობაში სხაპასხუპით ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას და ყველაფერში **ჰიტლერს, ჰიმლერსა** და **გებელსს** ადანაშაულებდა, რომლებიც უკვე აღარ იყვნენ ცოცხლები.

გერიგნის გამოსვლის შემდეგ ტრიბუნასთან მისულმა რუდენკომ ტრყვიამფრქვევივით დააყარა ბრალდებულებს მტკიცებულებები და ბრძანა, ჩაერთოთ №1 დოკუმენტური კინომასალა. დარბაზი ჩაბნელდა და ეკრანზე გამოჩნდა საშინელი კინოკადრები, რომლებმაც დამნაშავეთა არა მხოლოდ ზნედაცემულობა და აღვირახსნილობა, არამედ ცხოველური ინსტიქტებიც წარმოაჩინა.

დარბაზს შეძრწუნების ტალღამ გადაუარა, მშვიდად ვერც სამხედრო დამნაშავენი იყვნენ. დარბაზიდან გაჰყავდათ საკონცენტრაციო ბანაკებგამოვლილი გულწასული მოწმეები, ჟურნალისტები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. ბრალდებულთაგან თითქმის ყველა გამოჩნდა ეკრანზე. ამ საშინელების თანამონაწილე ბრალდებულები ერთმანეთს გაფითრებული შეჰყურებდნენ, ჩადენილით შეშფოთებული და გაოცებული.

სტალინს კი ომის დაწყების პირველი დღიდანვე დეტალურად ჰქონდა კინო და ფოტომასალა აკინძული, ფოტო და კინოდოკუმენტალისტების მიერ შეგროვებული. სამამულო ომის საშინელი სურათების ასახვის საქმეს ომის ოთხი წლის განმავლობაში 3000-ზე მეტი ფოტოგრაფი და კინოდოკუმენტალისტი შეეწირა. სწორედ მათ მიერ მოპოვებულმა მასალებმა ჩააგდო შოკში მსოფლიო.

**დასასრული**
**შემდეგ ნომერში**

სიბრძნე სიცრუისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწორედ ბრიტანეთის წარმომადგენელი მართავს და არა მინისტრი, ანუ საქართველოს სუვერენიტეტი ფიქციაა — ვატარებთ არჩევნებს, ვქმნით სახელმწიფო ატრიბუტებს, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანა გარედან იმართება. სამწუხაროდ, ეს არ ეხება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, „ეს წარმომადგენელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს ეხმარება ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფაში“.**

# დიდი ბრიტანეთი — ყველაზე სისხლისმღვრელი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში

**1991 წლის დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც შინაურმა და უცხო ანტიქართულმა ძალებმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ლეგიტიმური ხელისუფლება დაამხეს, საქართველო უცხო ძალების მიერ იმართება და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსაც ეს ძალები იღებენ; ხელისუფლების სათავეში კი არიან მარიონეტები, რომლებიც, ოღონდ მათ კეთილდღეობას — თბილ სკამებს, პრემია-დანამატებსა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით უცხოეთში ვოიაჟებს, არაფერი დაემუქროს, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებენ საქართველოს ინტერესების საწინაალმდეგო ბრძანებებსა და მითითებებს და ქვეყანაში დასავლური ე.წ. დემოკრატიული ფასეულობების დანერგვით ცდილობენ ქართული კულტურის, განათლების, ტრადიციების, მართლმადიდებლობის დაკნინება-დამცრობას, რადგან ეროვნულ ტრადიციებს მოწყვეტილი და გაუნათლებელი ადამიანები ადვილი სამართავია.**



საქართველოს დასავლელი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორების მიზანი თავიანთი ინტერესების დაცვაა სწორედ ამ ადამიანების მეშვეობით, ეს ინტერესები კი რუსეთთან ბრძოლაში, ამ ქვეყნის სიმდიდრეების ხელში ჩასაგდებად საქართველოს გამოყენებაა. ამ „სტრატეგიული მეგობრების“ მიზანია, არ დაუშვან საქართველოში თავიანთი გავლენის შესუსტება და საქართველოს სვლა საკუთარი ინტერესების დაცვისა და მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით — რუსეთთან ურთიერთობის აღდგენისკენ, ამისათვის კი საქართველოში ჰყავთ მეხუთე კოლონა, რომლის წარმომადგენლებით გაძეძგილია ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიები და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოში უცხო ქვეყნების უამრავი აგენტი რომ მოქმედებს, ამაზე ბევრი ექსპერტი ლაპარაკობს, ამას მოწმობს, აგრეთვე, **კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის (CSSF) 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტი. სწორედ ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები უცხო ქვეყნების აგენტებითაა სავსე, ისიც, თუ რატომ მიჰყავთ ქართველები უცხოეთის, ძირითადად, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებში „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“** (იხ. „საქართველო და მსოფლიოს“ 2016 წლის 45-ე ნომერში გამოქვეყნებული მასალა „დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს“). დიდი ბრიტანეთი, როგორც ნათლად ჩანს CSSF-ის საპროგრამო დოკუმენტიდან, არ მალავს, რომ საქართველოს განიხილავს, როგორც საინფორმაციო ომის პოლიგონს, თანაც დაუფარავად აცხადებს, რომ აპირებს არა ობიექტური ინფორმაციისა და უტყუარი ფაქტების, არამედ „განსხვავებული“ ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელებას, ანუ დეზინფორმაციის ტირაჟირებას. თანაც ეს დეზინფორმაცია 5 ენაზე უნდა ვრცელდებოდეს, რათა მრავალეროვან საქართველოში არავის მოაკლდეს ანგლო-საქსების მზრუნველი ხელი.

კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტში ყველაზე შეურაცხმყოფელია პუნქტი, რომელშიც საუბარია **საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო ბრძოლის საკითხების დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მუდმივად ყოფნაზე. როგორც ჩანს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწორედ ბრიტანეთის წარმომადგენელი მართავს და არა მინისტრი, ანუ საქართველოს სუვერენიტეტი ფიქციაა — ვატარებთ არჩევნებს, ვქმნით სახელმწიფო ატრიბუტებს, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანა გარედან იმართება.** სამწუხაროდ, ეს არ ეხება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, **„ეს წარმომადგენელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს ეხმარება ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფაში“.** ჩანს, მეტასტაზები სრულიად მთავრობაზეა მოდებული, თანაც თვალშისაცემია ცინიზმი — **ამ პროგრამის შემდგენელი ბრიტანელი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი სახელმწიფოს დამოკიდებულების საფუძველი აქტიურად მოქმედი და კომპლექტური სპეცსამსახურების ყოლაა, რომლებიც გარედან ნებისმიერ ჩარევას საკადრის პასუხს გასცემენ“,** სრული სიმართლეა, მაგრამ რა ვუყოთ ბრიტანელთა დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია საქართველოს, როგორც ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სუვერენიტეტის სრული ნიველირების გეგმა, მისი თავდაცვისა და უშიშროების სრული კონტროლის დამყარების მეთოდიკა და ინსტრუქციები?!

**საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ იყოს, მისი „კომპეტენტური სპეცსამსახურები“ დიდი ხნის წინათ გაანეიტრალებდნენ დაუფარავად მოქმედ დესტრუქციულ ორგანიზაციებს და ამ დოკუმენტის ავტორსაც კინწისკვრით გააძევებდნენ საქართველოდან, მაგრამ საქართველო — ნეოკოლონიალიზმის თვალსაჩინო პროდუქტი, ამის უფლებას, როგორც ჩანს, თავს ვერ მისცემს.**

**საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ იყოს, მისი «კომპეტენტური სპეცსამსახურები» დიდი ხნის წინათ გაანეიტრალებდნენ დაუფარავად მოქმედ დესტრუქციულ ორგანიზაციებს და ამ დოკუმენტის ავტორსაც კინწისკვრით გააძევებდნენ საქართველოდან, მაგრამ საქართველო — ნეოკოლონიალიზმის თვალსაჩინო პროდუქტი, ამის უფლებას, როგორც ჩანს, თავს ვერ მისცემს**

**დიდი ბრიტანეთის იმპერია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი კაცობრიობის წინაშე, დღეს დახვეწილი მეთოდებით განაგრძობს სხვადასხვა ქვეყნის კოლონიზაციას, ამ ქვეყნებს შორის, სამწუხაროდ, საქართველოცაა.**

## სისასტიკე საკუთარი ხალხის მიმართ

ინგლისელებმა სისასტიკით საუკუნეების წინათ გაითქვეს სახელი, უწინარესად, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. აი ინგლისელთა სისხლით გაუმაძღრობის რამდენიმე მაგალითი:

* XV—XVI საუკუნეებში ინგლისში შეიმუშავეს ე.წ. სისხლიანი კანონმდებლობა, რომლის მიხედვით, სასტიკად ისჯებოდნენ მაწანწალობასა და მათხოვრობაში დადანაშაულებული ადამიანები. ასეთ ადამიანებს იჭერდნენ, აწამებდნენ, დამღას ადებდნენ და დროებით მონად ამყოფებდნენ, გაქცევის მცდელობის შემთხვევაში სამუდამოდ მონობას უსჯიდნენ, გაქცევის მესამე მცდელობის შემთხვევაში კი სიკვდილით სჯიდნენ.

მეფე ჰენრი VIII (1509—1547) მმართველობის პერიოდში ინგლისში 72 ათასი კაცი დასაჯეს, დედოფალ ელისაბედ I მმართველობის პერიოდში კი — 89 ათასი.

ინგლისელი ხალხი პატივს მიაგებს რევოლუციის ბელადის — **ოლივერ კრომველის** ხსოვნას და ამაყობს XVII საუკუნის რევოლუციით, როდესაც ინგლისის მეფეს — ჩარლზ I თავი მოჰკვეთეს, რევოლუციის პერიოდში გამართულ ბრძოლებში კი 100 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

## სისასტიკე სხვა ხალხების მიმართ

ინგლისი ყველაზე სისხლით გაუმაძღარი სახელმწიფო წარმონაქმნია კაცობრიობის ისტორიაში. ინგლისელები ასეული წლების განმავლობაში ეწეოდნენ ირლანდიელთა გენოციდს. ყველაზე ცნობილი შემთხვევაა 1649 წელს კრომველის ჯარების შეჭრა ირლანდიაში. **კრომველმა ქალაქ დროედას გარნიზონის წევრებისა და კათოლიკე მღვდელმსახურების სრულად გაჟლეტვის ბრძანება გასცა, ქალაქ უექსფორდში კი არმიამ თვითნებურად დახოცა სამხედროები, ხოლო ქალები და ბავშვები აქცია თეთრ მონებად, რომლებიც შემდეგ ვესტ-ინდოეთში, ინგლისის კოლონიებში წაიყვანეს. თუ 1641 წლის ირლანდიაში 1,5 მლნ ადამიანი ცხოვრობდა, 1652 წელს მათი რაოდენობა 850 ათასი იყო, მათგან 150 ათასი — ინგლისელი კოლონისტი. ინგლისელებმა ირლანდიელი მოსახლეობის 50-56% გაანადგურეს.** ასეთი გენოციდი ძნელია მოიძებნოს რომელიმე ხალხის ისტორიაში.

* ინგლისი მსოფლიოს ლიდერი იყო **მონათვაჭრობაში.** ამ ქვეყნის სინდისზეა მილიონობით მოკლული და დასახიჩრებული. ინგლისელები თავიანთ კოლონიებში იყენებდნენ ე.წ. თეთრ მონებს — შოტლანდიელებსა და ირლანდიელებს, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებს. ამასთანავე, **ინგლისის კოლონიებში აფრიკიდან შეიყვანეს 13 მლნ მონა. იმის გათვალისწინებით, რომ აფრიკაში ადამიანებზე ნადირობისას თითოეულ ცოცხალ მონაზე 3-4 დაღუპული მოდიოდა, გენოციდის მაჩვენებელი კოლოსალურია.** აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების თეორიის შემქმნელი, ინგლისელი ფილოსოფოსი **ჯონ ლოკი** დაეხმარა აშშ-ის მონათმფლობელ შტატებს კონსტიტუციის შემუშავებაში და თავისი ქონება ჩადო მონათვაჭრობაში.

* XIX საუკუნეში ინგლისს ოპიუმი გადაჰქონდა ჩინეთში, სამაგიეროდ იღებდა ოქროს, ვერცხლსა და ბეწვეულს. ამასთანავე, ცდილობდა სამხედრო-სტრატეგიული მიზნის მიღწევას — ჩინეთის არმიის, სახელმწიფო მოხელეებისა და, საერთოდ, ჩინელი ხალხის გახრწნას, რათა მათ დაეკარგათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. 1839 წელს ჩინეთის იმპერატორმა დაიწყო ფართომასშტაბიანი ოპერაცია ნარკოტიკების გავლენისგან ხალხის გადასარჩენად და შეუდგა ოპიუმის განადგურებას. ლონდონმა საპასუხოდ სამხედრო ძალა გამოიყენა — დაიწყო ე.წ. **ოპიუმის ომები. ჩინეთი დამარცხდა და იძულებული შეიქნა, დათანხმებოდა ინგლისის სახელმწიფო ნარკომაფიის კაბალურ პირობებს. ამან ინგლისის ელიტას, მათ შორის, სამეფო ოჯახს კოლოსალური მოგება მოუტანა, ჩინეთს კი — უზარმაზარი ზარალი. ჩინელთა თაობებმა დეგრადაცია განიცადეს: 1842 წელს ჩინეთის მოსახლეობა 416 მილიონი იყო, მათ შორის, ნარკომანი — 2 მლნ. 1881 წელს კი მოსახლეობა 369 მლნ-ს შეადგენდა, მათ შორის, 120 მლნ ნარკომანი იყო.** ▶

სიბრძნე სიცრუისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მიუნხენიდან წასვლის წინ დიდი ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერმინისტრი ნევილ ჩემბერლენი კიდევ ერთხელ შეხვდა ადოლფ ჰიტლერს. გაუხსნა რა გზა აღმოსავლეთისკენ ჰიტლერს, ჩემბერლენმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად თქვენ საკმარისი რაოდენობის თვითმფრინავი გყავთ, მით უმეტეს, რომ უკვე აღარ არის ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებზე საბჭოთა თვითმფრინავების ბაზირების საფრთხე“.

◀ ინგლისელებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებულ ომებში უამრავი ადამიანი გაანადგურეს. **ინგლისის კოლონიებში ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და ტასმანიაზე (ყველა ტასმანიელი დახოცეს) ათეულობით მილიონი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. ბენგალიაში (ინდოეთი) ინგლისელთა ყოფნის 20-წლიან პერიოდში რეგიონის 40-მილიონიანი მოსახლეობა თითქმის 20 მლნ-ით შემცირდა.**

გავრცელებული ოფიციალური მონაცემებით, **ინდოეთში 1800—1825 წლებში შიმშილით დაიხოცა 1 მლნ ადამიანი, 1825—1850 წლებში — 400 ათასი, 1850—1875 წლებში — 5 მლნ, 1875—1900 წლებში — 26 მლნ.**

ინგლისის კოლონიებში აბორიგენების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ნადირობა. 1830 წელს ტასმანიაზე ინგლისის მე-40 პოლკის ჯარისკაცებმა თავი მოუყარეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, ჯერ მამაკაცები დახვრიტეს, შემდეგ — ქალები და ბავშვები. ისტორიკოსი **კაროლინ ელკინსი** თავის წიგნში მეორე მსოფლიოს ომის შემდგომ კენიაში ინგლისის რეჟიმის შესახებ წერს, რომ მაუ-მაუს ამბოხებულების მიერ 32 თეთრკანიანი კოლონიზატორის მკვლელობისთვის ინგლისელებმა 300 ათასი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. კიკუიას ტომის ნახევარი მილიონი წარმომადგენელი კი საკონცენტრაციო ბანაკებში შეყარეს.

*აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში პირველი საკონცენტრაციო ბანაკი სამხრეთ აფრიკაში ინგლისელებსა და ბურებს შორის ომის პერიოდში (1899—1902) შექმნა ბრიტანელმა ლორდმა **ჰორაციო კიტჩენერმა** ბურების ოჯახებისთვის. ინგლისელთა მხედართმთავარ კიტჩენერის ბრძანებით, ჯარისკაცები ანადგურებდნენ ბურების ფერმებს, თვითონ ბურებს კი ათავსებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც, თვით ინგლისელთა თქმით, საშინელი პირობები იყო. ბურების წინააღმდეგობის გასატეხად კი ინგლისელები იყენებდნენ მსკდომ ტყვიებს — დუმდუმს, რომელიც ამჟამად აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით. სულ კი საკონცენტრაციო ბანაკებში ინგლისელებმა 200 ათასი ადამიანი გამოამწყვდიეს — ბურების რესპუბლიკის თეთრკანიანი მოსახლეობის ნახევარი. მათგან შიმშილით დაიღუპა 26 ათასი, უმეტესობა — ბავშვი. ამის შემდეგ ინგლისელებმა მსოფლიოში შექმნეს „მსოფლიო წესრიგი“ — საკონცენტრაციო ბანაკებსა და ციხეების ქსელი, რომლებშიც ათავსებდნენ ყველას, ვინც კი წინააღმდეგობას გაუწევდა.

### დარტყმა მოკავშირეების ზურგში

პირველ მსოფლიო ომში ინგლისმა სამხედრო ბლოკი შექმნა საფრანგეთთან და რუსეთთან და ასე შეეცადა ძირითადი კონკურენტის — გერმანიის დამარცხებას, მოკავშირეების — საფრანგეთისა და რუსეთის დასუსტებას და კოლონიების შენარჩუნებას.

**როცა რუსეთში მოხდა ოქტომბრის რევოლუცია და ხელისუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა, ინგლისი შეეცადა, არ დაეშვა რუსეთის გასვლა ომიდან. თავდაპირველად თანამშრომლობდა რუსეთის ახალ ხელისუფლებასთან, 1918 წელს კი ლონდონში გამართულ ანტანტის სამხედრო კონფერენციაზე გადაწყდა რუსეთში ინტერვენცია.** 1919 წლის თებერვალში რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა ინგლისის სამხედრო შენაერთი 44,6 ათასი კაცის შემადგენლობით. ამასთანავე, ინგლისმა 60 მლნ გირვანქა სტერლინგით დააფინანსა **კოლჩაკის** თეთრგვარდიელთა 200 000-იანი არმია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნისას არხანგელსკში, მურმანსკში, ვლადივოსტოკსა და სხვა ქალაქებში ინგლისელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე უამრავი წიგნი დაიწერა. იქ, სადაც ისინი იყვნენ, მეფობდა უკანონობა — მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, ძარცვა. და ასე ექცეოდნენ ისინი ყოფილ მოკავშირეს.**

არის მოკავშირეთა მიმართ ინგლისელთა მზაკვრობის სხვა მაგალითებიც:

* 1940 წლის 3 ივლისს საფრანგეთის ფლოტის სადგომებზე ორანსა და მარსელ-ელკებირეში ბრიტანეთის ესკადრამ, ადმირალ **სომერვილის** ხელმძღვანელობით, 1400 ფრანგი მეზღვაური, მოკავშირის ფლოტის წარმომადგენელი დახვრიტა იმის შიშით, რომ ახალი პოლიტიკური გარემოებების გამო შეიძლებოდა ისინი საფრანგეთის ვიშის მთავრობის მხარეს გადასულიყვნენ. ეს იყო ფრანგი მეზღვაურების სასაკლაო. ზურგში დარტყმის საპასუხოდ საფრანგეთის მთავრობამ, რომელმაც თავი შეიკავა ინგლისისთვის ომის გამოცხადებისგან, მასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

*1944 წლის დეკემბერში საბერძნეთის განმათავისუფლებელი არმიის ანტიფაშისტი მებრძოლები, რომლებიც ხელში ჩაუვარდნენ ბრიტანელებს, შეუბრალებლად დახვრიტეს მხოლოდ იმის გამო, რომ სოციალისტური ორიენტაციისა იყვნენ.

ან **როგორ უნდა შეფასდეს უინსტონ ჩერჩილის მიერ 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (მისურის შტატი, აშშ) წარმოთქმული სიტყვა, რომელმაც სათავე დაუდო დასავლეთის ქვეყნების ცივ ომს ყოფილი მოკავშირის — სსრკ-ის წინააღმდეგ?** ჩერჩილმა თავის გამოსვლაში მოუწოდა ე.წ. დასავლურ დემოკრატიას, გაერთიანებულიყო სსრკ-ის წინააღმდეგ და შეექმნა „ინგლისურად მოლაპარაკე ხალხების ძმური ასოციაცია“ საბჭოთა კავშირთან დასაპირისპირებლად. სწორედ ფულტონში გამოიყენა ჩერჩილმა ტერმინი **„რკინის ფარდა“**, რომელიც დაეშვა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის.

### მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებელი

XX საუკუნის 30-იან წლებში ინგლისის პოლიტიკამ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება გამოიწვია. 1938 წლის 29 სექტემბერს მიუნხენში გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფო მეთაურებმა ხელი მოაწერეს ჰიტლერელთა მიერ შეთავაზებულ დოკუმენტებს ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შესახებ.



ნევილ ჩემბერლენი და ადოლფ ჰიტლერი

ამ დოკუმენტის მიხედვით, გერმანიას ერთი კვირის ვადაში უნდა გადასცემოდა სუდეტის ოლქი და ამ ოლქის მოსაზღვრე რაიონები. **ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლების წარმომადგენლები მიუნხენში მხოლოდ განაჩენის მოსასმენად გამოიძახეს. მიზეზი, რომლის გამოც დათანხმდნენ ინგლისის მმართველები, ფაშისტური გერმანიისთვის გადაეცათ ჩეხოსლოვაკია, იყო ჰიტლერის დაპირება, რომ ინგლისს თავს არ დაესხმოდა. ეს ყველაფერი ჩაწერილია ინგლის-გერმანიის დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერს დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი.**

ჰიტლერელებს, დასავლეთის ლოცვა-კურთხევით, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდათ ლონდონში, მშვიდად შეეძლოთ, დაეწყოთ შეტევა აღმოსავლეთის მიმართულებით — სსრკ-ზე.

**მიუნხენიდან წასვლის წინ დიდი ბრიტანეთის იმჟამინდელი პრემიერმინისტრი ნევილ ჩემბერლენი კიდევ ერთხელ შეხვდა ადოლფ ჰიტლერს. გაუხსნა რა გზა აღმოსავლეთისკენ ჰიტლერს, ჩემბერლენმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად თქვენ საკმარისი რაოდენობის თვითმფრინავი გყავთ, მით უმეტეს, რომ უკვე აღარ არის ჩეხოსლოვაკიის აეროდრომებზე საბჭოთა თვითმფრინავების ბაზირების საფრთხე“.**

„მიუნხენის შეთანხმება, — წერენ ინგლისელი ისტორიკოსები **რიდი** და **ფიშერი**, — სიმბოლოა ახლომხედველობის, ცბიერებისა და ღალატის... გერმანელების მიერ ოკუპირებული ჩეხოსლოვაკია გადაიქცა აღმოსავლეთისკენ, საბჭოთა კავშირის გულისკენ მიმართულ მახვილად“.

1939 წლის 12 იანვარს კი ჩემბერლენი რომში შეხვდა იტალიის ფაშისტ დიქტატორ **დუჩე მუსოლინის** და ურჩია მას, მხარი დაეჭირა „გერმანელთა დარტყმისთვის სსრკ-ზე“.

1939 წლის დეკემბერში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა **გალიფაქსმა** დანიელი მეწარმე **პლეს-შმიდტის** მეშვეობით ბერლინს აცნობა გერმანიასთან მოლაპარაკების ინგლის-საფრანგეთის პირობები: **ჰიტლერელთა ბატონობის შენარჩუნება ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთის დასავლეთ ნაწილში; პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაკარგული კოლონიების დაბრუნება გერმანიისთვის; ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ესპანეთის შემადგენლობით.**

1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტები თავს დაესხნენ პოლონეთს. 3 სექტემბერს, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, რომლებიც პოლონეთს უსაფრთხოების გარანტიებს ჰპირდებოდნენ, ომი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ სამხედრო მოქმედებები არ დაუწყიათ. **ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გაწირეს პოლონეთი იმისთვის, რომ ფაშისტურ გერმანიას მოსახერხებელი პოზიციები დაეკავებინა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვართან. არადა, ინგლისსა და საფრანგეთს თავისუფლად შეეძლოთ პოლონეთის დახმარება: პოლონეთში ფაშისტების შეჭრის მომენტში გერმანიამ თავისი დასავლეთის საზღვრების დასაცავად იქ 23 დივიზია დატოვა, პოლონეთის მოკავშირეებს — საფრანგეთსა და ინგლისს — კი იქ 110 დივიზია ჰყავდათ.** და სამოკავშირეო ვალდებულებების შესრულების ნაცვლად, პოლონეთის გაწირვის ხარჯზე მათ მოახერხეს, ფაშისტური გერმანიისთვის ებიძგათ საბჭოთა კავშირში შეჭრილიყო.

**ჰიტლერმა 1940 წლის გაზაფხულზე ომი („უცნაური ომი“) წამოიწყო ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ და ერთ დღე-ღამეში დაიპყრო (9 აპრილს) დანია, ორ თვეში (9 აპრილი — 10 ივნისი) ნორვეგია, 5 დღეში (10-14 მაისი) ჰოლანდია, 19 დღეში (10-28 მაისი) ბელგია, 44 დღეში (10 მაისი — 22 ივნისი) კი კაპიტულაცია აიძულა საფრანგეთს.**

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1943 წლის დეკემბერში ინგლისელი მფრინავი **ლიდელ ჰარტი** თავის საიდუმლო მოხსენებაში აფრთხილებდა ინგლისის ხელმძღვანელობას საბჭოთა არმიის ძლიერებაზე, რომ ამ არმიას წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა ვერც ერთი ევროპული ქვეყნის ჯარი, ამიტომ საჭირო იყო სეპარატისტული ზავის დადება ფაშისტურ გერმანიასთან, რათა „დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ერთობლივად გაეწიათ წინააღმდეგობა რუსეთის მისწრაფებებისთვის ომის შემდგომ“.

გერმანელები შეუთანხმდნენ დასავლურ სახელმწიფოებს, დაშალეს დასავლეთის ფრონტი, დიდი წინააღმდეგობა არ გაუწიეს ნორმანდიაში დასავლეთის ჯარების გადასხმას და უზრუნველყვეს მოკავშირეების სწრაფი წინსვლა საფრანგეთის გავლით გერმანიაში, ფრონტის ხაზზე, სადაც საბჭოთა ჯარები შეჩერდნენ.

**1945 წლის მაისში კი ჩერჩილმა გასცა საიდუმლო ბრძანება, მოემზადებინათ სსრკ-ის განადგურების გეგმა, რომლის მიხედვით, გერმანელი ფაშისტების ნარჩენებთან ერთად ინგლისის 500-ათასიან არმიას 1945 წლის 1 ივლისს უნდა დაერტყა გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებისთვის, მაგრამ სტალინის ბრძანებით, საბჭოთა ჯარებმა უფრო მოსახერხებელი პოზიციები დაიკავეს და ჩერჩილის გეგმა ჩაიფუშა.**

### კვლავ DRANG NACH OSTEN – ბრიტანელთა მისწრაფებები დღესაც არ შეცვლილა

რუსეთის განადგურების გეგმაზე ინგლისსა და აშშ-ს, რა თქმა უნდა, ხელი არ აუღიათ. 1991 წლის ნოემბერში, ჰიუსტონში (აშშ) სიტყვით გამოსვლისას, დიდი ბრიტანეთის იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა **მარგარეტ ტეტჩერმა** განაცხადა: **„მსოფლიოს თანამეგობრობის შეფასებით, ეკონომიკურად მიზანშეწონილია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდეს 15 მლნ ადამიანი“.** როგორ ახლოსაა ეს ფრაზა ჰიტლერის ზრახვებთან? **ფიურერის მიერ შემუშავებული გეგმით (DRANG NACH OSTEN — „შეტევა აღმოსავლეთზე“), 25—30 წლის განმავლობაში 120—140 მლნ ადამიანი უნდა განადგურებულიყო პოლონეთსა და საბჭოთა კავშირში,** დანარჩენი კი გაეგერმანელებინათ და ურალს იქით გადაესახლებინათ. ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთის წინა პრემიერმინისტრები, აწ უკვე ყოფილი პრემიერი **დევიდ კემერონიც** მოუწოდებდა რუსეთის განადგურებისკენ (იხ. 2014 წლის 20 ივლისის გაზეთი Sumdy Times-ი), შედეგად დაიწყო რუსოფობიური ისტერიის ახალი ეტაპი, რომლის მიზანიც ევროპის ჩათრევაა ახალ ომში რუსეთის წინააღმდეგ.

ინგლისის პოლიტიკის კრედო გამოიხატება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერმინისტრის — **ჰენრი პალმერსტონის** სიტყვებით, რომლებიც მან 1858 წლის 1 მარტს თემთა პალატაში გამოსვლისას წარმოთქვა:

„ჩვენ არ გვყავს მუდმივი მოკავშირეები და მუდმივი მტრები; მუდმივია მხოლოდ ჩვენი ინტერესები. ჩვენი ვალია, დავიცვათ ეს ინტერესები“.

საქართველოს, უფრო ზუსტად, საქართველოს ხელისუფლებისა და ანტიქართული არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიული პარტნიორი დიდი ბრიტანეთის ეს ინტერესები კი არის ის, რომ შიშში ამყოფოს საკუთარი ხალხი, ხოლო სხვა ხალხები ძარცვოს და გაანადგუროს.

**ნიკა კორინთელი**



**P.S. 2010 წელს ბრიტანეთში შექმნილი სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ერაყის ტერიტორიაზე 2003—2009 წლებში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობისას ჩადენილ დანაშაულებს იკვლევს და ამისთვის 1,5 ათასი მსხვერპლის საქმეს სწავლობს — ლაპარაკია წამებასა და მკვლელობებზე. დიდი ბრიტანეთის ამჟამინდელი პრემიერმინისტრის — ტერეზა მეის განცხადებით, ქვეყანამ უნდა იამაყოს ფანტასტიკური მუშაობით, რომელიც შეასრულეს ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა დიდი ბრიტანეთის დაცვისას.**

**არადა, როგორც „ბი-ბი-სი“ იუწყება, სპეციალური კომისია სწავლობს 1514 მსხვერპლის საქმეს, მათგან 280 მოკლულია. ამასთანავე, კომისიამ განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ, ტონი ბლერის ხელმძღვანელობით, შეცდომა დაუშვა, როდესაც ერაყში შეიჭრა. ეს გადაწყვეტილება დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით მიიღეს გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების უმრავლესობის წინააღმდეგ. ერაყში მოკავშირეების შეჭრამ, რისი წინააღმდეგიც იყო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების უმრავლესობა, გამოიწვია ის სავალალო შედეგები, რომლებსაც მსოფლიო დღესაც იმკის.**

ანალიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დასავლეთი კლავს სირიასა და ერაყში, გერმანია კი მონაწილეობს მკვლელობებში. მისი ქათქათა ჟილეტი სისხლითაა მოსვრილი. სამაგიეროდ გერმანიაში უყვართ სირიაში რუსეთის ავიაციის თავდასხმებით აღშფოთება, — წერს იენს ბერგერი, — თუ დავუჯერებთ არაკომერციულ ორგანიზაციას „საჰაერო ომები“, რუსეთის ფედერაციის საჰაერო-კოსმოსურმა ძალებმა სირიაში 8324 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. მაგრამ იგივე ორგანიზაცია სულ ახლახან იტყობინებოდა, რომ მსხვერპლის რაოდენობა „მხოლოდ“ 1900 ადამიანია“.**

# გონების შეურაცხმყოფელი სიცრუე

**„შენი სიცრუე ჩემს გონებას შეურაცხყოფს“, — ეუბნება ცნობილი ამერიკული ფილმის — „ნათლიმამას“ პერსონაჟი თავის დაუძინებელ მტერს. ამავე წინადადებით რამდენჯერმე მიმართავს პოპულარული გერმანული საიტის — „ფიქრის ფურცლების“ ავტორი, იენს ბერგერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელ შტეფან ზაიბერტს, რომელმაც 30 მარტის პრესკონფერენციაზე მოკავშირეთა ავიაციის მიერ ერაყის ქალაქ მოსულის დაბომბვა შეაფასა.**



თავდასხმას მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მოჰყვა. ეს ბარბაროსული აქტი მკაცრად გააკრიტიკა დასავლურმა მედიამ. ფაქტი შემზარავია: **მხოლოდ ერთმა დარტყმამ, რომელიც 17 მარტს განხორციელდა მოსულის დასავლეთ ნაწილში, შეიწირა 200-მდე მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე.** ოფიციალური ბერლინის მცდელობამ, გაემართლებინა ამ ბოროტების ჩამდენნი, გერმანიაში გესლიანი კომენტარების ტალღა ააგორა.

„რუსეთი და სირია შეგნებულად და მიზანმიმართულად ანგრევდნენ საავადმყოფოებსა და სკოლებს, — განაცხადა შტეფან ზაიბერტმა პრესკონფერენციაზე, — ჩვენი მოქმედება კი აბსოლუტურად განსხვავებული იყო. რა თქმა უნდა, იყო ცალკეული უბედური შემთხვევები, რაც გულდასაწყვეტია. ჩვენ განზრახ არავინ მოგვიკლავს“.

„ბოლო ერთი თვის „ცალკეული უბედური შემთხვევების“ სია შეურაცხყოფს ჩვენს გონებას“, — უპასუხა მას **იენს ბერგერმა** და ჩამოთვალა ერაყის დასახლებულ პუნქტებზე ასეთი თავდასხმის 50 შემთხვევა, რომელთაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა.

მოცემული ორგანიზაციის ასეთი „გარდასახვა“ გასაკვირი არ არის. სირიის ომის გაშუქებისას იგი ძირითადად ემყარება ადამიანის უფლებების მონაცემებს ლონდონის ობსერვატორიისა, რომელიც, დიდი ხანია, ცნობილია თავისი ურცხვი ჭორაობით.

ამ ორგანიზაციამ „შეასწორა შეცდომა“ და გაზარდა დაღუპულთა რაოდენობის მაჩვენებელი მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია დასავლეთის კოალიციის მიერ განხორციელებული დაბომბვების შედეგების შესახებ: **დაიღუპა 1300 მოქალაქე, დაახლოებით იმდენი, რამდენიც რუსეთს დაბრალდა.** ასეთი თანაფარდობით რუსეთისკენ თითის გაშვერა მომგებიანი არ იყო და ოპერატიულად მოახდინეს „კორექტირება“.

კოალიციის სამხედრო-საჰაერო ძალების „მუშაობის“ შესახებ მონაცემები მიღებული იყო კოალიციისავე ოფიციალური წყაროებიდან, მაგრამ სრულყოფილად ისინი ვერა და ვერ მიიჩნევა. „საჰაერო ომები“ იძულებული გახდა, დაემატებინა მონაცემები, რომლებიც თავისი ერაყელი კორესპონდენტებისგან ჰქონდა მიღებული. სირიისგან განსხვავებით, მათ იქ საკმაო რაოდენობის სანდო წყაროები გააჩნიათ. ოფიციალურ და არაოფიციალურ მონაცემებს შორის სხვაობა განსაცვიფრებელი აღმოჩნდა“.

იენს ბერგერმა შტეფან ზაიბერტის გასათვითცნობიერებლად გამოაქვეყნა გაფართოებული სია იმ „გულდასაწყვეტი ცალკეული შემთხვევებისა“, რომლებიც რეალურად მოხდა *(სიაში ჩამოთვლილია მხოლოდ წლევანდელი მარტის ფაქტები)*:

**1 მარტი, ალ. თაბაგა (სირია) — მოკლულია 12 ადამიანი, მათ შორის — 4 ბავშვი;**



**1 მარტი, მოსული — მეჩეთზე თავდასხმის დროს მოკლულია 80 მლოცველი;**

**1 მარტი, მოსული — 20 მოკლულიდან ყველანი ქალები და ბავშვები არიან;**

**2 მარტი — მოსული — მოკლულია 14 (სამი ოჯახი);**

**3 მარტი, რაკა (სირია) — მოკლულია 12;**

**4 მარტი, მოსული — 40 მოკლულიდან უმეტესობა ქალები და ბავშვები არიან;**

**5 მარტი, მოსული — ადმინისტრაციულ შენობაზე თავდასხმის დროს დახოცილია 64-დან 130-მდე ადამიანი;**

**6 მარტი, მოსული — საცხოვრებელი კვარტალის დაბომბვისას მოკლულია 16 ადამიანი;**

**6 მარტი, მოსული — სადგურზე დარტყმის დროს მოკლულია 33;**

**6 მარტი, მოსული — საცხოვრებელი კვარტალის დაბომბვის დროს დაიღუპა 42 ადამიანი, მათ შორის — 23 ბავშვი.**

და ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველ დღე.

გასულ თვეში დასავლეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეცდომითი თავდასხმის 50 შემთხვევა მოხდა, რომლებმაც მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა. განსაკუთრებით სისხლიანი იყო 21 მარტის დაბომბვა სირიაში. გერმანიის სადაზვერვო თვითმფრინავმა „ტორნადომ“ რაკას მახლობლად შენიშნა „ისლამური სახელმწიფოს“ სტრატეგიული ობიექტი და მოკავშირეებს მისი კოორდინატები გადასცა.

რეაქციამ არ დააყოვნა — „ობიექტი“, რომელიც ლტოლვილებით დასახლებული სკოლა აღმოჩნდა, „წარმატებით“ დაიბომბა. შედეგად, გერმანელი მფრინავების მიზეზით, 420 ადამიანი დაიღუპა.

**საჯაროდ წარდგენილ სიაში ჩამოთვლილია მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში განხორციელებული შეცდომითი დაბომბვები. გასაგებია, რომ ასეთი რამ მარტში არ დაწყებულა და არც მარტში დამთავრებულა.**

გერმანული მედია ამ თემის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას გერმანიას უთმობს, რომელიც, მთავრობის ოფიციალური ვერსიით, „საომარ მოქმედებაში არ მონაწილეობს“.

2015 წლის ნოემბერში პარიზში განხორციელებული ტერაქტის შემდეგ გერმანიის ბუნდესტაგმა მხარი დაუჭირა ანგელა მერკელის წინადადებას ერაყში გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების მივლინებას „დაზვერვის განხორციელებით კოალიციის მოქმედების მხარდასაჭერად“. ამით ახალი სიტყვა ითქვა სამხედრო თეორიის დარგში (დაზვერვით მხარდაჭერა თურმე არ არის საომარი მოქმედების შემადგენელი ნაწილი(!)). ასე შეეცადა ბუნდესტაგი, შეეცდინა საზოგადოებრივი აზრი, მისთვის თავს მოეხვია ახლო აღმოსავლეთში გერმანიის „მშვიდობიანი“ მონაწილეობის ვარიანტი.

არადა, **ეს ვარიანტი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა გერმანიის თანდათან ჩათრევას ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ხელმძღვანელობით მიმდინარე საომარ მოქმედებაში.**

# თავდავიწყებით რომ იცრუო და იქურდო, ამის შნო უნდა გქონდეს




**ყოველ ჯერზე, როცა ჩაიხედავ უკრაინელი „რევოლუციონერების“ ინტელექტითა და სინდისით აუმღვრეველ თვალებში, ძალაუნებურად იგრძნობ საკუთარ არასრულფასოვნებას. ასე თავდავიწყებით სიცრუის თქმასა და ქურდობას მე ვერასდროს შევძლებ (არც არასოდეს ვისწრაფვი საამისოდ).**

პოროშენკოს რეჟიმის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მინისტრმა **პან ნასალიკმა** 2016 წელს დეკლარაციაში ჩაწერა, რომ მისი ხელფასი წელიწადში 221 987 გრივნაა, ხოლო უძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი 525 000 გრივნას უდრის. ამას გარდა, ნაღდ ანგარიშზე აქვს 450 000 აშშ დოლარი, 140 000 ევრო და 1 400 000 გრივნა, ხოლო 450 000 დოლარი უდევს „უკრგაზბანკის“ ანგარიშებზე. 2016 წელს ნასალიკმა შეიძინა 2015 წლის გამოშვების ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“, ვაზ-210065 და „ტოიოტა ავენსისი“ (2012 წლის გამოშვება). ამ ჩანაწერსაც წაიკითხავთ მის დეკლარაციაში.

დავითვალოთ, რადგან ადვილია საანგარიშოდ: ხელფასი — 8 ათასი დოლარი თვეში და კიდევ 20 ათასი დოლარის სხვა შემოსავალი. ნაღდი ვალუტა იმაზე მეტი აქვს, რის გამომუშავებასაც შეძლებდა 20 წლის განმავლობაში, გრივნები იმაზე მეტია, ორი წლის განმავლობაში რომ მიეღო და დაუხარჯავად ჯიბეში ჩაედო, საბანკო ანგარიშებზე დადებული ფულისთვის კი კიდევ ოც წელიწადს ოფლი უნდა ეღვარა; პლიუს — ავტომანქანების (ნასალიკმა იყიდა სამი, მისმა ცოლმა კი — ორი) და ანტიკვარიატის შეძენა, კიდევ პლიუს — ოთხი მიწის ნაკვეთი.

საიდან ეს ყველაფერი, ჩვენო პატიოსანო?! შენ იმდენი ფული გაქვს დაგროვებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ოფიციალურად ვერასდროს რომ ვერ იშოვნიდი.

გახსოვთ, თავის დროზე რატომ ჩასვეს ციხეში **ალ კაპონე?** — იმიტომ, რომ მან ვერ შეძლო განემარტა, საიდან ჰქონდა ამდენი ფული — ოფიციალური შემოსავლებისა და დეკლარირებული შემოსავლების შეუფარდებლობის გამო.

**უკრაინაში კორუფციას რომ ებრძოდნენ, პან მასალიკი ციხეში უნდა იჯდეს და არა მინისტრის სავარძელში, მაგრამ ბრძოლა იქ მხოლოდ სალაყბო თემაა. მთავარი სულაც არ არის, რომ მის უწყებაში სრული „ბარდაკია“ — „ანტრაციტის ეკონომიის მიზნით“ არ მუშაობს ტრიპოლისა და დნეპრისპირეთის თბოელექტროსადგურები, ხვალ გეგმავენ ზმიევის თბოელექტროსადგურის გაჩერებას.**

ან სხვა მაგალითი: იაცენიუკის „სახალხო ფრონტმა“ ბოიკოტი გამოუცხადა რუსეთის ბანკებს“, ხოლო ამ ფრონტის დეპუტატმა **იგორ კოტვიცკიმ** დეკლარაციაში ჩაწერა, რომ მისი შემოსავლები 115,6 მილიონი გრივნაა, 240 მილიონი გრივნა კი „ქეშად“ უდევს. ამას გარდა, 868 ათასი დოლარი და 258 ათასი ევრო — ნაღდ ფულად, 12 მილიონი გრივნის აქტივები კი ძვირფასი (საბანკო) ლითონების სახით აქვს. ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ „ალფაბანკში“ (რუსეთი/უკრაინა) 17,6 მილიონი გრივნა აქვს შენახული, „სბერბანკში“ — 1,1 მილიონი ევრო, 5,3 მილიონი დოლარი და 559 ათასი გრივნა. დიახ, სწორედ იმ ბანკებში, რომელთა მიმართ მისი პარტია „ბოიკოტის რეჟიმშია“.

ბოიკოტი — უპოვართა თვალის ასახვევად, თორემ მონათმფლობელთა კლასი ამ თამაშში არ მონაწილეობს.

ამ სიის გაგრძელება კიდევ და კიდევ შეიძლება, რადგან ამოუწურავია **ტურჩინოვის, იაცენიუკის, ავაკოვის, ბალოგის, ლუცენკოს, მატიოსისა** და სხვა მათი მსგავსი მაქინატორების რაოდენობა.

შესცქერი ამ ღორის დინგებს და გებადება შეკითხვა: კიევის მაიდანმა ერთი პატიოსანი ადამიანი მაინც რატომ ვერ მიიყვანა ხელისუფლებაში?

ერთი სახელი მაინც დამისახელეთ!

**ალექსანდრ როჯერსი,**
**სპეციალურად News Front-ისთვის**



**დედამიწაზე „გლობალური ეკოლოგიური კრიზისია“ და ამ კრიზისის დაძლევის, გნებავთ, განეიტრალების (თავის მოტყუების?) ერთადერთი გზა თურმე ბუნებასთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებაა. რა თქმა უნდა, გაუკუღმართებული (არატრადიციული) გზით — ხეებთან, ბუჩქებთან, ყვავილებთან და ა.შ. დაწყვილება ვნებათაღელვის ტალღებზე. ფრთხილად, ახპერ, ეკალმა არ გიჩხვლიტოს ვარდისა, ხიჭვი არ შეგერჭოს ფიჭვისა!**

**ეს უნდა ვიცოდეთ**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

**საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლებსოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.**

**რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...**



## ეკოსექსუალები, რომლებიც ლგბტ-ელების თაიგულს აკლდნენ

**„რა იციან ავსტრალიის შესახებ სხვა კონტინენტების საშუალოსტატისტიკურმა მოქალაქეებმა იქაური ოზონის ხვრელებისა და კენგურუების გარდა? შეიძლება, სიდნეის საოპერო თეატრი გაიხსენონ ან ყური ჰქონდეთ მოკრული, რომ იქ იმართება ექსპერიმენტული ხელოვნების ფესტივალი“, — ასე იწყება ერთი პუბლიკაცია ინტერნეტ სივრცეში. საიტს ვერ დაგისახელებთ და როდის გამოქვეყნდა ეს მასალა ვერც იმას გეტყვით, რადგან შეიძლება ჩაგვითვალონ რეკლამად, რომელიც თანმდევი საჯარიმო სანქციებით არის დამძიმებული.**

პუბლიკაციის ავტორები კი დაინტერესდნენ (მათი საქმეა!) აღნიშნულ ფესტივალზე წარდგენილი ინსტალაციით, რომლის სახელწოდებაა **„ეკოსექსუალური აბანო“** და რომლის ავტორები არიან მხატვრები **ლორენ კრონმერი** და **იენომ სინკლერი.**

„მათი „აბანო“ არის სივრცე, რომელშიც შეიძლება ბუნებასთან *(და არა ბუნებაში! — ა.ს.)* დრო გაატარო და მასთან... სქესობრივი კავშირიც კი დაამყარო (!). ავტორები *(ინსტალაციის)* თავიანთ ქმნილებაში ხედავენ „უსაზღვრო ფეერიას, რომელიც არღვევს სახეობათა შორის საზღვრებს გლობალური ეკოლოგიური კრიზისის კონტექსტში“. ასე განგვიმარტავენ მხატვრები ამ „ნაწარმოების“ არსსა და დანიშნულებას, გვთავაზობენ, როგორც მყარსა და უტყუარ მოცემულობას, როგორც თანამედროვე კაცობრიობის პროგრესული განვითარების თვალსაჩინო მაგალითს.

დედამიწაზე „გლობალური ეკოლოგიური კრიზისია“ და ამ კრიზისის დაძლევის, გნებავთ, განეიტრალების (თავის მოტყუების?) ერთადერთი გზა თურმე ბუნებასთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებაა.

რა თქმა უნდა, გაუკუღმართებული (არატრადიციული) გზით — ხეებთან, ბუჩქებთან, ყვავილებთან და ა.შ. დაწყვილება ვნებათაღელვის ტალღებზე.

ფრთხილად, ახპერ, ეკალმა არ გიჩხვლიტოს ვარდისა, ხიჭვი არ შეგერჭოს ფიჭვისა!

მაზოხიზმია, ჩემმა მზემ!

დაქანდა მსოფლიო ტოტემიზმისკენ, გვაროვნულ-ტომობრივი წინარე ისტორიისკენ, როცა ადამიანის წარმოდგენები ტოტემთან, ნადირ ცხოველებთან და მცენარეებთან ნათესაურ კავშირს გულისხმობდა: მთასთან და ბართან, ტბასთან და მდინარესთან, ქვასთან და კლდესთან.

პიტალოსთანაც.

დაქანდა, დაეშვა და დეგენერატიზმის მორევში შთაინთქა ჩვენს დღეებში, ანუ XXI საუკუნეში.

ეკოსექსუალიზმი მეცნიერული კვლევის საგნადაც იქცა, უფრო ზუსტად, მოძრაობა ეკოსექსუალებისა.

ხემძვრალიების.

რიოს ნევადის უნივერსიტეტის მეცნიერი-თანამშრომელი **ამანდა მორგანი** საკანდიდატო დისერტაციას ეკოსექსუალიზმზე წერს. მისი მონაცემებით, ეკოსექსუალების რაოდენობამ ბოლო 2 წლის განმავლობაში განსაკუთრებით იმატა. „გუგლში“ თუ ჩავიხედავთ, ვნახავთ, რომ საძიებო შეკითხვების პიკი 2016 წელზე მოდის.

რა არის ეკოსექსუალიზმი, ამას ქალბატონი ამანდა ზუსტად აგიხსნით. გეტყვით, რომ სავსებით შესაძლებელია ნებისმიერი ადამიანის ეკოსექსუალობის გაზომვა: მეტად ეკოსექსუალურებად და ნაკლებად ეკოსექსუალურებად მათი გრადაცია. მაგალითად, თუ ადამიანს უყვარს, იცურაოს აბსოლუტურად შიშველმა, ეს შეიძლება ჩაითვალოს ეკოსექსუალობის მსუბუქ ფორმად, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ჭექა-ქუხილის დროს ტყეში მიწაზე გორაობით აღწევენ ორგაზმს. ისინი უკვე დასრულებული ეკოსექსუალები გახლავან, ისევე, როგორც სხვანი, რომლებიც ხეებთან ამყარებენ სექსუალურ კავშირს ან ჩანჩქერში დგომისას მასტურბირებენ.

გადაგვერია ამანდა ემანდა!

ეკოსექსუალური მოძრაობის წევრებმა ამასობაში საკუთარი მანიფესტი გამოსცეს, გადაიღეს რამდენიმე ფილმი ადამიანისა და ბუნების სასიყვარულო ისტორიებზე. მათ შორის არის კინოფილმი, რომელიც მოგვითხრობს რეჟისორის ურთიერთობაზე აპალაჩის მთებთან.

ეს ფილმი არ მინახავს და ზუსტად ვერ გეტყვით, — აღგზნებული მუჰამედი მიდის მთასთან თუ აპალაჩის მთები თავს იკლავენ უიღბლო სიყვარულის გამო.

აჰა, გადავიდაო მოუკრეფავში, იტყვის მავანი ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავროების აღზევებული კასტიდან.

გეგონოთ!

ეკოსექსუალებს აქვთ თავიანთი წეს-ჩვეულება დაქორწინების — მიწასთან, მთვარესთან, ფიჩხის კონასთან, რომელსაც, გაუკუღმართების ნაპერწკალს თუ შეუგდებ, ეკოსექსუალურ ცეცხლად აბრიალდება.

ახლა ეს ფუტურო ხეების ფულუროების დანახვით აღგზნებული ეგზემპლიარები იბრძვიან იმისთვის, რათა ლგბტ-ს აბრევიატურას დაემატოს ასო „ე“, რათა საყოველთაოდ საცნაური გახადონ თავიანთი არატრადიციული ორიენტაცია, რადგან, „დღეისთვის 100 000-მდე ჩვენი თანამედროვე იდენფიცირდება, როგორც ეკოსექსუალი“, — ვიგებთ ზემოთ ნახსენები ინტერნეტპუბლიკაციიდან.

იქვე წერია, რომ ეკოსექსუალიზმი ინტერნეტში პირველად 2000-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა, მოძრაობა კი 2008-ში დაფუძნდა. მისი ძირითადი მიზანი კონცეფციის „ადამიანი — ბუნება“ შეცვალა, პარადიგმის „ბავშვი — დედაა“ ნაცვლად ეკოსექსუალები აღიარებენ საყვარლების სექსურთიერთობას. ამანდა მორგანი ამ პრინციპს საიდანღაც გამოწოვილი არგუმენტებით ამართლებს: „ეს, აგრეთვე, არის ეკოლოგიური პრობლემების ახლებურად დანახვის მცდელობა. თუ თქვენ გააბრაზებთ დედას, იგი მაინც გაპატიებთ სიცელქეს, მაგრამ, თუ ცუდად მოეპყრობით საყვარელ ქალს, იგი წავა“.

ესეც მეცნიერული დასკვნა!

მეორე უარესია: ეკოსექსუალიზმი ადამიანს მისცემს შესაძლებლობას, დაძლიოს პრობლემა ხელმისაწვდომი და ხალისიანი ფორმის მეშვეობით. ამანდას მიაჩნია, რომ სექსი ადამიანების სტიმულირების პოტენციურად მძლავრი ინსტრუმენტია და ნებისმიერ საკითხს მნიშვნელოვან და პოპულარულ თემად გახდის. როგორც ერთმა ეკოსექსუალმა თქვაო, „თუ წყალდიდობას გაურბიხართ, სექსისთვის დრო არ გრჩებათო“. თუ არა და, აგერაა სექსოდრომი!

შეირყა სამყარო სექსის ნიადაგზე.

ძალიან ჰგავს ეს ამბავი „ფეიკს“, ცრუ ამბავს, ტყუილს, რომელიც საგანგებოდ არის შემოგდებული მამათმავლობის გარყვნილების გადასაფარად. მინდა დავიჯერო, რომ ასეა, მაგრამ ვაი, რომ ცრულიბერალური პრინციპებისა და ღირებულებათა ჩვენს ხანაში ყველაზე დაუჯერებელი სიცრუეც კი რეალობად გვევლინება.

ეკოსისტემა განადგურების პირამდე რომ მივიყვანეთ, ფაქტია, და ახლა ისღა აკლია, რომ ვიხმაროთ ეგ უმწეო და უბედური.

საიდან მოდის, საიდან ჩაითესლა ეს სიბილწე წარმოუდგენელი? ამ შეკითხვაზე პასუხი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე ჩემს წიგნში, რომელიც 2011 წელს არის გამოცემული. *(არმაზ სანებლიძე, „ერთი წლის მონაგარი“, გვ. 124).*

საქართველოს სახალხო არტისტმა, ბრწყინვალე მსახიობმა, მოაზროვნე და ღრმად განათლებულმა ადამიანმა კახი კავსაძემ ინტერვიუში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ ჩამოვართვი, განვლილ შემოქმედებით გზაზე საუბრისას გაიხსენა: „...როლი, რომელმაც დამარწმუნა, რომ არტისტობა შემიძლია, ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატში“ სოლეიმან ხანის როლი იყო. რობიკომ *(სტურუამ)* დადგა და შემომთავაზა, რომ ჩემს პერსონაჟს უნდა ელაპარაკა წვრილი ხმით და ნელა ემოძრავა. ეს ძალიან ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა იყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ გამომივიდა. სოლეიმან ხანი, მოვლინებული გველი, დადიოდა და დასრიალებდა საქართველოში, რათა მოეხრჩო ქვეყანა.

დაქირავებული კაცი, რომელიც დავალებას ასრულებს, ჯანმრთელი არ არის... თრიაქით გაბრუებული ისე მოკლავდა ადამიანს, ვითომც არაფერი. ეს ავადმყოფი და გარყვნილი კაცი, ერთ ქალს კოცნის, მეორეს კოცნის და ხეზე, რომელიც სცენის ცენტრში დგას და საქართველოს ყლორტს განასახიერებს, ორგაზმით იკლავს ბილწ აღგზნებას თავისას.

ხეზე“.

გარყვნილების, სიბილწის, ავადმყოფური მიდრეკილების აპოთეოზი, დაქირავებული, ბოროტი დავალების შემსრულებელი კაცისა.

ერთი ადამიანის.

ეკოსექსუალობა კი მრავალთა მოძრაობაა, ორგანიზებული და მიმართული უმეტესი ბოროტების განსახორციელებლად — გადასაგვარებლად ადამიანთა მოდგმისა.

**P.S. ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთმა, იხსნა თავისი ხალხი ეგვიპტის ქვეყნიდან, მაგრამ შემდეგ შემუსრა ურწმუნონი, „ისევე, როგორც სოდომი და გომორი და მათი მოსაზღვრე ქალაქები, მათებრ მემრუშენი...“** *(იუდ. 1,5-7).*

**ფერფლად ქცეული სოდომი და გომორი — „მომავალ ულმერთოთა ნიმუშად დადებული“** *(2 პეტრ. 2,6).*

**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთის ამომრჩევლების მარინ ლე პენისკენ გადახრის აღსაკვეთად ემანუელ მაკრონმა დააარსა ახალი პოლიტიკური პარტია „წინ!“, რომელიც „ეროვნულ ფრონტს“ აშკარად დაუპირისპირდა. საფრანგეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის არაერთმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მარინ ლე პენთან დაპირისპირებაში მაკრონს მეტი შანსი გააჩნია, მაგრამ ეს სცენარი არ ითვალისწინებს გარე ფაქტორების გავლენას, რომლებსაც შეუძლია გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.**



The Daily Caller:

# კანადის ჰიმნი თუ განცხადება პოლიტკორექტულობის შესახებ?

**კანადის ზოგიერთი სენატორი თავგამოდებით ეწინააღმდეგება გენდერული ნეიტრალობის მომხრეთა მიერ ქვეყნის ჰიმნის „ო, კანადა“ „მოსაწყენ, უცნაურ და უსახო“ პოლიტკორექტულობის დოკუმენტად გადაკეთების მცდელობას.**

ასეც მოხდება, თუ პარლამენტი ხმას მისცემს კანონპროექტს, რომელსაც კანადის თემთა პალატამ უკვე მხარი დაუჭირა და რომლის ავტორი იყო ან გარდაცვლილი დეპუტატი **მორილიუ ბელანჟე.** „ო, კანადას“ ტექსტი მისი კოლეგების გადაწყვეტილებით, ერთ ადგილას შეიცვლება: არსებულს — „პატრიოტის ჭეშმარიტი სიყვარული ყველა შენი ვაჟკაცის გულშია“, ჩაენაცვლება „...ყველა ჩვენგანის გულშია“.

რათა არა მხოლოდ ვაჟკაცები, არამედ ქალებიც პატრიოტები არიანო!

ისეთი ლიბერალი სენატორიც კი, როგორიც „ცეცხლოვან ფემინისტად“ წოდებული ქალბატონი **ჯოან ფრეიზერია**, ჰიმნის ახალი ვერსიის წინააღმდეგ გამოდის. **მისი აზრით, ასეთი ცვლილება „ცუდი გრამატიკისა“ და სიბეცის ნიმუშია, რომელიც მოწოდებულია, „დღევანდელი ფასეულობების“ მიხედვით შეცვალოს სხვა ეპოქაში დაწერილი სიმღერა.**

ქვეყნის ლიბერალურმა მთავრობამ და „ახალი დემოკრატების“ საპარლამენტო პარტიამ მხარი დაუჭირეს კანონპროექტს, ოფიციალურმა ოპოზიციამ — კონსერვატორებმა კი მის წინააღმდეგ გაილაშქრეს. თუ მესამე მოსმენით კანონპროექტს სენატი დაამტკიცებს, იგი მეფის მხარდაჭერას მიიღებს.



The Daily Caller:

# ჰეროინის დიდი დოზით მიღების გამო ჩრდილოეთ კაროლინაში სიკვდილიანობა თითქმის 900 პროცენტით გაიზარდა

**2010 წლიდან აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ შტატში, ჩრდილოეთ კაროლინაში, ჰეროინის ბოროტად გამოყენების ეპიდემია მძვინვარებს.**

ამ ნარკოტიკის დიდი დოზით მიღების გამო 2010 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში სიკვდილიანობა 884 პროცენტით გაიზარდა. შტატის ხელისუფლება იტყობინება, რომ ჰეროინის მოხმარება იმაზე უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ადამიანებს წარმოუდგენიათ და რომ იგი ამოზრდილია ისეთი ოპიოდური ანალგეტიკებიდან, როგორიც ოქსინონი და ვიკადინია. ოპიოდები, დიდი ხანია, ჩრდილოეთ კაროლინის პრობლემად წარმოგვიდგება — 2010 წელს შტატის მცხოვრებნი ოპიოდების მიღების მიზეზით 16-ჯერ უფრო ხშირად იღუპებოდნენ, ვიდრე ჰეროინის მიღების გამო.

**ჰეროინის მოხმარების არნახულ ზრდას ნარკოლოგები აბრალებენ ადგილობრივ ექიმებს, რომლებიც პაციენტებს ტკივილის გასაყუჩებლად ზედმეტად დიდი ოდენობით უნიშნავდნენ ოპიუმის შემცველ პრეპარატებს. აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს თანამდებობის პირები მიიჩნევენ, რომ ყოველი 5 ნარკომანიდან 4-მა გამაყუჩებელი პრეპარატების მიღებით შედგა ფეხი მოლიპულ გზაზე.**

ჰეროინის დიდი დოზით მიღების გამო გამოწვეული სიკვდილიანობა ბოლო ხუთ წელიწადში ოთხჯერ გაიზარდა. ამას ადასტურებს წლეულს, 24 თებერვალს, ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მონაცემები. გამოკვლევის ავტორებმა აღნიშნეს, რომ 2010 წელს ყველა სასიკვდილო შემთხვევიდან მხოლოდ 8 პროცენტი იყო გამოწვეული ჰეროინის დიდი დოზით, 2015 წელს კი ეს ციფრი 25 პროცენტამდე გაიზარდა.




Newsmax.com:

# საფრანგეთში არჩევნებს მოჰყვება «ფრექსიტი»?

**ინტერნეტსაიტის აზრით, საფრანგეთის პრეზიდენტად ფრანსუა ფიიონის ან ემანუელ მაკრონის არჩევა ევროპაში აშშ-ის ინტერესების გამარჯვების უტყუარი დადასტურება იქნება.**

23 აპრილს საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე მოულოდნელი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. უახლეს ისტორიაში პირველად ორი არაძირითადი პარტიის კანდიდატები — **ემანუელ მაკრონი**, რომელიც სათავეში უდგას მოძრაობას „წინ!“, და **მარინ ლე პენი**, „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი, შეიძლება არჩევნების მეორე ტურში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სოციალისტური პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატის, **ბენუა ამონის**, გამარჯვების შანსი მნიშვნელოვნად დაკნინდა იმ მიზეზით, რომ პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდის** ადმინისტრაციამ ვერ შეძლო ვერც ქვეყნის უსაფრთხოების, ვერც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

**ტერორისტულმა აქტებმა პარიზში 2015 წლის ნოემბერში და ბასტილიის აღების დღეს ნიცაში მოწყობილმა თავდასხმამ ხელისუფლების სრული უუნარობა წარმოაჩინა, რომელმაც სოციალისტური პარტიის მხარდაჭერას საფუძველი გამოაცალა. საფრანგეთის ეკონომიკა 2008 წლის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ წელში ვერ გაიმართა, ოლანდის მაღალი საგადასახადო ტარიფების დაწესების პოლიტიკამ კი კაპიტალის დიდ ბრიტანეთში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში „გაქცევა“ გამოიწვია, ანუ იქ, სადაც დაბალი გადასახადებია. საფრანგეთისთვის დამატებითი შემოსავლების მიზიდვა ფანტაზიის ნაყოფად დარჩა.**

ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიმართ საფრანგეთის მოსახლეობის უკმაყოფილებას შედეგად პრეზიდენტობის პოპულისტური კანდიდატის — მარინ ლე პენის პოზიციების განმტკიცება მოჰყვა, რომელიც გამოკვეთილად ანტიგლობალისტური და ანტიევროპულია.

ლე პენის შეხედულებები ეყრდნობა რუსეთის მიერ მის მხარდაჭერას, რომელიც (რუსეთის ფედერაცია) უთუოდ მოიგებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის დასუსტების შედეგად. 2002 წელს „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი **ჟან-მარი ლე პენი** დამარცხდა გოლისტებისა და სოციალისტების კოალიციასთან ბრძოლაში, რომელმაც მხარი დაუჭირა მის ოპონენტ **ჟაკ შირაკს.** ამჯერად ისე ჩანს, რომ იგივე არ გამეორდება, რადგან ფრანგი ამომრჩევლები ორივე პარტიით უკმაყოფილო არიან.

საფრანგეთის ამომრჩევლების მარინ ლე პენისკენ გადახრის აღსაკვეთად ემანუელ მაკრონმა დააარსა ახალი პოლიტიკური პარტია „წინ!“, რომელიც „ეროვნულ ფრონტს“ აშკარად დაუპირისპირდა. საფრანგეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის არაერთმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ მარინ ლე პენთან დაპირისპირებაში მაკრონს მეტი შანსი გააჩნია, მაგრამ ეს სცენარი არ ითვალისწინებს გარე ფაქტორების გავლენას, რომლებსაც შეუძლია გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე, კერძოდ, რუსეთის მხრიდან ჩარევის რისკს: გამორიცხულ არ არის, რომ გაჩნდეს მაკრონის მაკომპრომენტირებელი ინფორმაცია.

**მარინ ლე პენის გამარჯვება უთუოდ აიძულებს საფრანგეთს, გამოვიდეს ევროკავშირიდან და, რადგან საფრანგეთი და გერმანია აღნიშნული კავშირის ყველაზე გავლენიანი წევრები არიან, „ფრანგსიტმა“ შეიძლება ევროკავშირის დაშლა გამოიწვიოს. საფრანგეთს სჭირდება ეკონომიკური დერეგულაცია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.** ევროკავშირიდან გასვლის ნაცვლად, საფრანგეთმა უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს გერმანიის გასაწონასწორებლად (განსაკუთრებით, „ბრექსიტის“ შემდეგ), ამასთან, გააქტიუროს სხვა ევროპულ ქვეყნებთან თანამშრომლობა უშიშროების საკითხებში ტერორიზმის თავიდან აცილების მიზნით. ვერც ლე პენი, ვერც მაკრონი ვერ შეძლებენ ასეთი პოლიტიკის რეალიზებას.

შეერთებული შტატები დაინტერესებულია ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნებით, რადგან ამერიკას უადვილდება ევროპაში ერთ მოკავშირესთან საქმის დაჭერა, ვიდრე რამდენიმე ქვეყანასთან ცალ-ცალკე საუბარი. **მარინ ლე პენისგან განსხვავებით, ემანუელ მაკრონი და მემარჯვენე ცენტრისტების კანდიდატი ფრანსუა ფიიონი ამომრჩევლებს ჰპირდებიან, რომ საფრანგეთს შეუნარჩუნებენ ნატოს წევრობას.** ამერიკის თვალსაზრისით, ფიიონიც და მაკრონიც საუკეთესო ვარიანტები არიან ევროპაში აშშ-ის ინტერესების დასაცავად.



**მარინ ლე პენისგან განსხვავებით, ემანუელ მაკრონი და მემარჯვენე ცენტრისტების კანდიდატი ფრანსუა ფიიონი ამომრჩევლებს ჰპირდებიან, რომ საფრანგეთს შეუნარჩუნებენ ნატოს წევრობას**

**დღეს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გარისკავს, გამოხატოს შეშფოთება ტრამპის რუსეთისადმი დამოკიდებულების გამო, აუცილებლად დააბრალებენ მაკარტიზმს, მონათლავენ პირფერად და ისტერიკულ პიროვნებად მოიხსენიებენ. ლიბერალები გაცოფდნენ, ეს აშკარაა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## The Wachington Post:

# ამერიკელი მემარჯვენეები მკვეთრად გადაიხარნენ რუსეთისკენ

**მემარჯვენეების დრეიფი ვლადიმერ პუტინისკენ უეჭველად ნიშანდობლივია. შარშან, დეკემბერში Economist-ისა და YouGov-ის მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ დაგვანახვა, რომ ტრამპის ამომრჩეველთა მხოლოდ 9 პროცენტს ჰქონდა დადებითი შეხედულება ობამაზე, მაშინ, როცა 35-მა პროცენტმა დადებითად შეაფასა პუტინი. თებერვალში Gallup იტყობინებოდა, რომ პუტინის მიმართ პოზიტიურად განწყობილი რესპუბლიკელების წილი 2015 წლის 15 პროცენტიდან 2017 წელს 32 პროცენტამდე გაიზარდა.**

ჰილარი კლინტონისადმი პუტინის არცთუ დადებითი განწყობის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ დემოკრატებს შორის მისი (პუტინის) რეიტინგი 2015 წლის 15 პროცენტიდან ამჟამინდელ 10 პროცენტამდე შემცირდა. თუმცა აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ დემოკრატებს შორის პუტინი განსაკუთრებული პოპულარობით არასოდეს სარგებლობდა, ამას ადასტურებს ორი გამოკითხვის შედეგები, მაგრამ გაცილებით ნიშანდობლივია ის, რომ, თუ ორ პარტიას შორის განსხვავება (რეიტინგის კუთხით) 2015 წელს მხოლოდ 3 პუნქტი იყო, დღეს 22 პროცენტს შეადგენს.

პუტინი მზად არის, მხარი დაუჭიროს ნებისმიერ პარტიასა და პოლიტიკურ მოძრაობას — მემარჯვენეებსა თუ მემარცხენეებს, სეპარატისტებს თუ ნაციონალისტებს — დასავლეთის დესტაბილიზაციის მისაღწევად. იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი უაღრესად არის დაინტერესებული კონსერვატორებისა და ულტრამემარჯვენეების ახალი საერთაშორისო პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებით.

**იგი წარმოგვიდგება, როგორც რელიგიისა და კონსერვატიული ფასეულობების ერთგული და სექსუალური უმცირესობების უფლებების ოპონენტი ადამიანი.** მარტის ბოლოს პუტინი მოსკოვში შეხვდა მარინ ლე პენს, საფრანგეთის პრეზიდენტობის ულტრამემარჯვენე კანდიდატს, რაც ფართოდ გაშუქდა პრესაში. პუტინი კატეგორიულად უარყოფს მოარულ ხმებს, რომ იგი თითქოს ეხმარება საფრანგეთის ამომრჩევლებს.

იგი აქტიურ მუშაობას ეწევა აშშ-ში. სტატიაში „მოსკოვი მემარჯვენეების ნდობის მოპოვებას ცდილობს“, რომელიც ჟურნალ „ტაიმში“ გამოქვეყნდა, **ალექს ოლტმანი** და **ელიზაბეტ დიასი** წერენ, რომ რუსეთი ცდილობს, დაამყაროს კავშირი ამერიკის ქრისტიან კონსერვატორებთან და იარაღის ლობისტებთან. **დღეს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გარისკავს, გამოხატოს შეშფოთება ტრამპის რუსეთისადმი დამოკიდებულების გამო, აუცილებლად დააბრალებენ მაკარტიზმს, მონათლავენ პირფერად და ისტერიკულ პიროვნებად მოიხსენიებენ. ლიბერალები გაცოფდნენ, ეს აშკარაა.**

ამასთანავე, ჟურნალი ასკვნის, რომ ამერიკელებს მოუწევთ იმის გარკვევა, თუ „რა დამართა რუსმა დათვმა აშშ-ის დემოკრატიას“.



## РИА Новости:

# «ფარისევლები!» — ასე ლანძღავენ ევროპელები ხელისუფლებას პეტერბურგში აფეთქებაზე დამუხრუჭებული რეაქციის გამო

**უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შესატყვისი რეაქციის არქონის გამო. ევროპელმა მოხელეებმა გადაწყვიტეს, მეტროში აფეთქების ტრაგიკული შედეგის გამო რუსეთის მიმართ თანაგრძნობის გამოსახატავად ამ ქვეყნის დროშის ფერებით არ გაენათებინათ ეიფელის კოშკი პარიზში და ბრანდენბურგის კარიბჭე ბერლინში.**

გერმანელმა ბიუროკრატებმა მოიმიზეზეს, რომ მოსკოვი ბერლინთან დაძმობილებული ქალაქი არ არის, მაშასადამე, ასეთი აქციის ჩატარება შეუძლებელია.

სამაგიეროდ აშშ-ის ქალაქ ორლანდოში გეიკლუბის წევრების დახვრეტის გამო აღნიშნული კარიბჭე ლგბტელთა დროშის ფერებით სასწრაფოდ გაანათეს... პედერასტებს ჰომოფობია რომ არ დაებრალებინათ.

**საფრანგეთის ხელისუფლებამ კი დემონსტრაციულად „დაივიწყა“, რომ პარიზის სიმბოლოს ყოველთვის ანათებდნენ დაზარალებული ქვეყნის დროშის ფერებით, იქნებოდა ეს ბელგია, დიდი ბრიტანეთი თუ აშშ.**

სამაგიეროდ ევროპის ქვეყნების ათასობით მცხოვრებმა გულწრფელად გაიზიარა პეტერბურგელთა ტრაგედია, თანაუგრძნო დაღუპულთა ოჯახის წევრებს და იმედი გამოთქვა, რომ დაჭრილები მალე გამოჯანმრთელდებიან. ამასთანავე, შეაჩვენეს და შესაფერისი მწვავე ეპითეტებით შეამკეს თავიანთი პოლიტიკოსები. „განა რუსეთის სიცოცხლე ნაკლებ დასაფასებელია?“ — კითხულობენ ისინი. „ამის შემდეგ ბერლინელებმა სარკეში როგორ უნდა ჩაიხედონ?!“ — არ მალავენ აღშფოთებას. ზოგიერთები უფრო შორს მიდიან და სთხოვენ რუსებს, თავიანთი ხეპრე მთავრობის უსულგულობა მიუტევონ: „გვაპატიეთ ჩვენი მოღალატე მთავრობის საქციელი“.

ფრანგები მკაცრად აკრიტიკებენ პარიზის მერს **ანი იდალგოსა** და თავიანთ პრეზიდენტს **ფრანსუა ოლანდს.** „განა რუსების სისხლი ჩვენსაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია?“ — წერენ სოცქსელებში. „რაო, ბატონო ოლანდ, ხომ არ ველოდოთ, რომ ეიფელის კოშკი რუსეთის დროშის ფერებით თავისით განათდება, თუ ელაქუცებით ნატოს?“ — ინტერესდებიან მეხუთე რესპუბლიკის მოქალაქენი. ინტერნეტის ერთმა მომხმარებელმა კი გესლიანად შენიშნა: **„როცა ინდონეზიაში პანდა ევკალიპტის ხიდან ჩამოვარდება, ჩვეულებრივ, კოშკზე (ეიფელის) სინათლე ქრება“, ხოლო პეტერბურგის ტრაგედიას საფრანგეთის მთავრობა, როგორც ჩანს, გლოვის საკმარის მიზეზად არ მიიჩნევს. ამასთან, ყველა ჩანაწერს თან ერთვის ხეჩტეგები — „უხერხულია!“, „საზიზღრობაა!“.**

## The National Interest:

# ყველაზე საშიში რუსეთის წყალქვეშა ნავი ომში ჩასაბმელად მზად არის

**რუსეთის გემსაშენ „სევმაშში“, რომელიც სევეროდვინსკშია, წყალში ჩაუშვეს პირველი მოდერნიზებული დამრტყმელი წყალქვეშა ნავი 885M „იასენი“ („იფანი“). სუბმარინა „ყაზანი“ იქნება ყველაზე მრისხანე მტრის წყალქვეშა ნავი, რომელსაც კი ოდესმე დაპირისპირებია აშშ-ის ფლოტი.**

„სავსებით შესაძლებელია, რომ იგი პოტენციური მოწინააღმდეგის უძლიერესი წყალქვეშა ნავია“, — განაცხადა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ანალიზის ცენტრის სპეციალისტმა რუსეთის სამხედრო საკითხებში — **მაიკლ კოფმანმა** (არლინგტონი, ვირჯინია).

„ყაზანი“ არაერთი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით გამოირჩევა თავისი უფროსი დისგან — „სევეროდვინსკისგან“. წყალქვეშა ნავში დანერგილია მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლენი, რომლებიც ამ დარგში „სევეროდვინსკის“ მშენებლობის დაწყების შემდეგ შეიქმნა, მათ შორის, კორპუსის ოპტიმიზებული ფორმა და რადიოელექტრონული ბრძოლისა და ავტომატიზაციის სისტემები. გათვალისწინებული და აღმოფხვრილია წინამორბედი ნავის ნაკლოვანებანი.

„885M ახალი ტიპის პირველი ნავია, — ხაზი გაუსვა კოფმანმა, — პროექტი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული თავდაპირველი ვარიანტის ხანგრძლივი დაპროექტების, მშენებლობისა და გამოცდის ბაზაზე. ეს ნავი სერიოზულად განსხვავდება ყველა სხვა საბჭოთა და რუსული წყალქვეშა ნავისგან, რომლებიც რუსეთის საზღაო ძალების შეიარაღებაშია, მრავალმიზნობრივი დანიშნულებისაა და კონცეფციით ამერიკულ „სივულფსა“ და „ვირჯინიას“ ჰგავს“.

ამ თვისებას ხაზს უსვამენ **მაიკლ კოფმანი** და **ნორმან პოლმარი** აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტის ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილში: „სევეროდვინსკს“ შეუძლია, ებრძოლოს წყალქვეშა ნავებსა და ხომალდებს და დაბომბოს სახმელეთო ობიექტები. მის თავისებურებათა შორის განსაკუთრებით გამოსარჩევია ჰიდროაკუსტიკური კომპლექსი „ირტიშ-ამფორა“ გაბარიტული სფეროსებრი ანტენით და „კალიბრის“ ან „ონიქსის“ ტიპის 32 რაკეტის გასაშვები 8 ვერტიკალური შახტით. ამ იარაღმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც 2016 წელს სამხედრო ხომალდებმა და წყალქვეშა ნავებმა რაკეტებით დაბომბეს ჯიჰადისტების სამხედრო ობიექტები.



რუსეთს განზრახული აქვს ამ ტიპის შვიდი წყალქვეშა ნავის აშენება. მათ შორის არის „ნოვოსიბირსკი“, „კრასნოიარსკი“, „არხანგელსკი“ და „პერმი“, რომლებსაც ამჟამად „სევმაშის“ ობიექტებზე აშენებენ. ამასთან ერთად, რუსეთი გეგმავს, შეიმუშაოს დამრტყმელი წყალქვეშა ნავების პროექტები, რომლებიც დაუპირისპირდება ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილ ამერიკულ სუბმარინებს. „ეს უთუოდ მნიშვნელოვანი პროგრამაა, მაგრამ დღეისთვის მის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. ვიცით მხოლოდ ის, რომ მათი მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება“.

**გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ**

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქარვის ნაწილების, სისხლის ნიმუშისა და პარაზიტების შესწავლა, ვიმედოვნებთ, დაგვეხმარება, გავარკვიოთ, როგორ წარმოიშვნენ ბაბეზიები და სხვა ერთუჯრედიანი პატაზიტები, რა როლი შეასრულეს მათ ადამიანების ევოლუციაში და გამოგვადგება თუ არა ეს მონაცემები დღეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად“.**

# რუსი ასტროფიზიკოსები ნობელის პრემიას მიიღებენ



**იცით თუ არა რომ ყოველი გალაქტიკის ცენტრში ზე მასიური შავი ხვრელებია პასიურ თუ აქტიურ მდგომარეობაში და მათ შორის ჩვენი გალაქტიკის ცენტრშიც?**

ზე მასიური შავი ხვრელის აღმოჩენისთვის კი რუსი ასტროფიზიკოსები ნობელის პრემიის მიღებას ფიქრობენ. ამის თაობაზე განაცხადა პროექტ „რადიოასტრონის“ სამეცნიერო ხელმძღვანელის მოადგილემ იური კოვალიოვმა.

**ცნობისთვის:** შავი ხვრელი არის არე სივრცეში, რომელშიც გრავიტაციული ველი იმდენად ძლიერია, რომ არაფერს, სინათლესაც კი, არ ძალუძს მისი მიზიდულობისგან თავის დაღწევა მისი მოქმედების არეალში მოხვედრისას. შავი ხვრელი, სავარაუდოდ, წარმოიქმნება მაშინ, როდესაც გიგანტური ვარსკვლავი ამოწურავს მთელ თავის ენერგიას და კვდომას იწყებს.

ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, იგი საკუთარი მიზიდულობის ძალის ზემოქმედებით იწყებს შეკუმშვას და, როდესაც მიაღწევს შეკუმშვის პიკს, ხდება რაღაც აფეთქებისმაგვარი მოვლენა, რომლის შემდეგაც ეს ვარსკვლავი ჩაქრება, ხოლო მისი გრავიტაცია იმ ზომამდე გაიზრდება, რომ იგი დაიწყებს ყველაფრის შესრუტვას — სინათლის ჩათვლით. სწორედ ამ თვისებიდან გამომდინარეობს ამ ობიექტის სახელი — „შავი ხვრელი“, ანუ სხეული, რომელსაც სინათლეც კი ვერ უსხლტება და უხილავი ხდება.

კოვალიოვმა განაცხადა, ასევე, რომ პროექტის თანამშრომლები მუშაობენ გალაქტიკა „ირმის ნახტომის“ (გიგანტური ვარსკვლავური სისტემა, რომელშიც ჩვენი მზის სისტემა, ასევე ყველა შეუიარაღებელი თვალით ხილული ვარსკვლავი, პლანეტა და ციური სხეული მდებარეობს) ზუსტი გამოსახულების შექმნაზე და 10-მეტრიანი კოსმოსური ტელესკოპის — „მილიმეტრონის“ პროექტზე, რომელიც მეცნიერებს საშუალებას მისცემს, სამყაროს უფრო შორეული ნაწილები გამოიკვლიოს, ვიდრე ამას „რადიოასტრონის“ დახმარებით ახერხებენ.

„რადიოასტრონი“ — ეს არის კოსმოსური რადიოტელესკოპი, რომლის დიამეტრი შეადგენს 10 მეტრს. ამას გარდა, პროექტში შედის ორბიტული ასტროფიზიკური ობსერვატორია „სპექტრი-P“, რომელიც დედამიწის რადიოტელესკოპებთან ერთად მუშაობს.

# ნაპოვნია 30 მლნ წლის ადამიანის სისხლი





**არქეოლოგებმა იპოვეს ქარვის უნიკალური ნატეხი, რომელშიც შემონახულია სისხლის წვეთი და უძველესი პირამიდების პარაზიტები, რომლებიც ცხოვრობდნენ დედამიწის ტროპიკულ რეგიონებში დაახლოებით 20-30 მილიონი წლის წინათ, — ნათქვამია სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ Medical Entomology-ში.**

„ორი პატარა ხვრელი ტკიპის სხეულზე იმაზე მიანიშნებს, რომ ის ააგლიჯეს ძუძუმწოვრის სხეულს, რომლის სისხლითაც იკვებებოდა ეს პარაზიტი, და მაშინვე მოისროლეს, შედეგად პარაზიტი ჩავარდა მცენარის ფისოვან ნაწილში, რომელიც გამკვრივდა. სისხლის გაქვავებული უჯრედები და მათში ერთუჯრედიანი პარაზიტები უნიკალური ისტორიული აღმოჩენაა ჩვენთვის“, — ყვება **ჯორჯ პოინარი** ორეგონის უნივერსიტეტიდან.

პოინარი და მისი კოლეგები, უკვე რამდენიმე წელია, ცდილობენ, იპოვონ დედამიწის წინარეისტორიული წარსულის კვალი მილიონობით წლის წინანდელ ქარვის ნატეხში.

2015 წლის დასაწყისში მათ ქარვაში **ჰალუცინოგენური სოკო** აღმოაჩინეს, რომელიც პირველი დინოზავრების ხნისაა; შარშან კი — **ყვავილი**, რომელმაც ქარვაში 15 მილიონი წელი დაჰყო, და კიდევ — 20 მილიონი წლის **შავი ჭირის ბაქტერია.**

ქარვის იმ ნიმუშების შესწავლისას, რომლებშიც ყვავილი და შავი ჭირის ბაქტერიები იქნა აღმოჩენილი და რომლებიც დაახლოებით 15-20 მილიონი წლის წინათ ჩამოყალიბდა კუნძულ ჰაიტიზე, პოინარსა და მის მეგობრებს ბედმა გაუღიმათ — მათ შეძლეს ეპოვათ უძველესი ძუძუმწოვრების, ერთ-ერთი პირველი პრიმატების, და მათ ორგანიზმში და სხეულზე მცხოვრები პარაზიტების პირველი „ცოცხალი“ უჯრედები.

როგორც პოინარი ყვება, **ამ აღმოჩენამ ამჯერად იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ დედამიწაზე მრავალი სახეობის ცხოველის, მათ შორის ადამიანების, ურთიერთობას სხვადასხვა პარაზიტთან ათობით მილიონი წლის ისტორია აქვს.**

**ქარვის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ტკიპები AMBLYOMMA პრიმატების სხეულზე პარაზიტობენ 20-30 მლნ წელიწადი და არიან მთელი რიგი დაავადებებისა და სხვა პარაზიტების გადამტანი დიდი ხნის განმავლობაში.**

მაიმუნები ერთმანეთის სხეულის ტკიპებისგან გასუფთავებისას დაინფიცირდნენ ერთუჯრედიანი პარაზიტით — **ბაბეზიით,** ანუ პიროპლაზმით (უმარტივეს ცხოველთა გვარი, სარკოდინების კლასისა), რომელიც ე.წ. ტეხასურ ციებ-ცხელებას იწვევს. სიმპტომებით ეს დაავადება მალარიას ჰგავს, მაგრამ ის გადაედება არა მხოლოდ ადამიანებსა და პრიმატებს, არამედ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვსაც. როგორც მალარია, ისიც სასიკვდილოა ადამიანისთვის, თუკი არ იმკურნალებს.

„იმ ორგანიზმებმა, რომლებსაც ჩვენ დროდადრო ვპოულობთ ქარვაში, შესაძლოა, ბევრი საინტერესო და ახალი რამ თქვან იმ დაავადებათა ევოლუციაზე, რომლებთან ბრძოლა ამჟამად გვიხდება. ეს პარაზიტი, **ბაბეზია,** მაგალითად, გაჩნდა პირველი ადამიანების გამოჩენამდე უამრავი მილიონი წლით ადრე და მან ევოლუციის გზა პრიმატებთან და სხვა ცხოველებთან ერთად გაიარა, — აგრძელებს მეცნიერი. — ქარვის ნაწილების, სისხლის ნიმუშისა და პარაზიტების შესწავლა, ვიმედოვნებთ, დაგვეხმარება, გავარკვიოთ, როგორ წარმოიშვნენ ბაბეზიები და სხვა ერთუჯრედიანი პატაზიტები, რა როლი შეასრულეს მათ ადამიანების ევოლუციაში და გამოგვადგება თუ არა ეს მონაცემები დღეს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად“.

# მეცნიერებმა ძველი წიგნების სუნის კატალოგი შეადგინეს



**მეცნიერთა აზრით, ეს არომატიც კულტურული ფასეულობაა.**

გამოქვეყნებულ კვლევაში მეცნიერებმა წარმოადგინეს ძველი წიგნების აღწერა, რომელიც მოხალისეთა გამოკითხვის შედეგად შეადგინეს.

მათი პასუხების თანახმად, ასი წლისწინანდელ გამოცემებს ქოქოსის, შოკოლადის, კვამლისა და თევზის სუნი აქვს.

ამას გარდა, მეცნიერებმა მოხალისეებს ჰკითხეს, რისი სუნი აქვს ბიბლიოთეკას. **შენობაში, რომელიც სავსეა წიგნებით, გამოკითხულთა აზრით, ხის, კვამლის, მიწისა და ოდნავ ვანილის სუნი იგრძნობა.**

მსგავსი გამოკითხვის ჩატარებას მკვლევარები მუზეუმებშიც გეგმავენ. მათი აზრით, ეს ადამიანებს სიძველეების არა მხოლოდ დათვალიერების, არამედ წარსულის სუნის შეგრძნობის საშუალებას მისცემს.

# «გუგლის» ახალი ფუნქცია




**კორპორაცია „გუგლმა“ საძიებო და ახალი ამბების სერვისს დაუმატა მონაცემთა შემოწმების მექანიზმი. ამის თაობაზე იტყობინება გამოცემა Verge.**

გამოცემა საზოგადოებას ამცნობს, რომ „გუგლი“ ინფორმაციის სისწორეს სპეციალური რესურსების მეშვეობით შეამოწმებს. მაგალითად, მოთხოვნის გრაფაში მითითებულია: „27 მილიონი ადამიანი დღეს მონაა“. ძებნის ხაზში აღნიშნულია: „შემოწმებულია ფაქტობრივ შეცდომებზე: პრაქტიკულად სწორია“.

როგორც გამოცემა წერს, „გუგლის“ ეს ფუნქცია ინტერნეტმომხმარებლების ყურადღებას მიიქცევს, მაგრამ ვერ აღკვეთს „ფეიკური“ ახალი ამბების გავრცელებას „გუგლის“ პლატფორმაზე.

# ბრიტანეთში ყველაზე დიდი ტრასის ქვეშ ძველი რომაული ქალაქი იპოვეს



**გამოდის, რომ თითქმის 2 ათასი წლის წინათ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ამ ადგილებში, ამავე მარშრუტით სარგებლობდნენ.**

საგზაო-სამშენებლო კომპანიის თანამშრომლებმა, რომლებიც სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდნენ დიდ ბრიტანეთში, ედინბურგისა და ლონდონის დამაკავშირებელ ავტომაგისტრალზე, აქ უძველესი რომაული დასახლების კვალი აღმოაჩინეს.

მუშებმა ამ ადგილას იპოვეს ძველი ფიალები, გასაღებები, ვერცხლის სამკაულები, ფეხსაცმელი, ქარვის ქანდაკება და უამრავი სხვა რამ. „ნაპოვნი ნივთების რაოდენობა დაუჯერებელია“, — ამბობს არქეოლოგიური ჯგუფის წარმომადგენელი **ნეილ რედფერნი.**

მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ეს აღმოჩენა ცვლის არსებულ წარმოდგენას თანამედროვე იორკშირის ადგილას უძველესი დასახლების ისტორიაზე და მიუთითებს, რომ იქ ცხოვრობდნენ მდიდრები და არა უბრალო გლეხები.



**რატომ ექცეოდნენ ასე უორემ-პერსის მკვიდრნი მხოლოდ ზოგიერთი მიცვალებულის სხეულს, მეცნიერებმა ჯერ არ იციან, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს, შესაძლოა, უკავშირდება ადგილობრივი ეკლესიის საქმიანობას ან თვით ამ ძვლების პატრონის ქცევას.**

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ შუასაუკუნეების ინგლისელები «ზომბებს» ებრძოდნენ



შუა საუკუნეებში ინგლისური სოფლების მცხოვრებნი მკვდრებს კიდურებს აჭრიდნენ, რათა არ გადაადგილებულიყვნენ, თუკი რაიმე მისტიკური მიზეზით ისინი „მოარულ მკვდრებად“ გადაიქცეოდნენ.

„თუ ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ სოფელ უორემ-პერსიში ნაპოვნი ადამიანის ჩონჩხები კიდურებდაჭრილი და კიდურებდამწვარი იმიტომ იყო, რომ მიცვალებულები ზომბებად არ გადაქცეულიყვნენ, სიმართლესთან ახლოსაა, მაშინ ჩვენ გვექნება პირველი არქეოლოგიური მტკიცებულება იმისა, რომ შუასაუკუნეების ინგლისს ჰქონდა თავისი ბნელი ისტორია და რომ იმ პერიოდის ადამიანების მენტალიტეტი და აზროვნება სულ სხვანაირი იყო“, — განაცხადა ინგლისელმა მეცნიერმა **საიმონ მეისმა.**

ეს აღმოჩენა ეკუთვნის მეისსა და მის კოლეგებს ცნობილი არქეოლოგის — **ალისტერ პაიკის** ხელმძღვანელობით, როცა ისინი გათხრებს აწარმოებდნენ ინგლისის ჩრდილოეთში, იორკშირის საგრაფოს ერთ მიტოვებულ სოფელში — უორემ-პერსიში. ეს სოფელი, როგორც მეცნიერები ყვებიან, არსებობდა VIII-IX საუკუნეებში, მისი ტერიტორია და იქ არსებული ეკლესია და სასაფლაო, დიდი ხანია, იქცევდა არქეოლოგთა ყურადღებას. 1960-იანი წლების შუა პერიოდში არქეოლოგებმა უორემ-პერსის გათხრებისას აღმოაჩინეს სასაფლაო, საფლავებში კი ადამიანების ჩონჩხებს აკლდა კიდურების ძვლები. პაიკმა და მისმა კოლეგებმა ამ მოვლენას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და დაუკავშირეს იმ პროცედურას, რომელიც შუასაუკუნეების ქრონიკებშია აღწერილი. საუბარია რიტუალზე, რომელიც აღკვეთს ახალგარდაცვლილთა „მოარულ მკვდრებად“ გადაქცევას. როგორც მემატიანეები წერენ, ადამიანები მსგავსი ბნელი მაგიისგან თავდაცვის მიზნით მიცვალებულებს კიდურებს ამტვრევდნენ და წვავდნენ.

რა თქმა უნდა, ძვლების მოტეხილობის, მოკვეთისა და დაწვის ფრაგმენტები უტყუარი მტკიცებულება არ არის იმისა, რომ მაინცდამაინც უორემ-პერსის მკვიდრნი იქცეოდნენ ასე, მაგრამ პაიკის ჯგუფმა, გამოთვალა რა ძვლების ასაკი, შეისწავლა მათი სტუქტურა და დაადგინა რა, თუ სად დაიბადნენ მათი პატრონები, გამორიცხა ყველა სხვა ვარიანტი.

შუასაუკუნეები, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, იყო მკაცრი პერიოდი, ხალხი ხშირად შიმშილობდა და არც თუ იშვიათად ადამიანები კანიბალებად იქცეოდნენ, თუკი არ ექნებოდათ სხვა საჭმელი. უორემ-პერსის შემთხვევაში, მეცნიერთა აზრით, ეს ნაკლებად სავარაუდოა — „უცნაურ ძვლებში“ შემონახულია ძვლის ტვინი, რომელსაც ამ სოფლის მკვიდრნი, ჰანიბალები რომ ყოფილიყვნენ, შეჭამდნენ. ამას გარდა, მიცვალებულებისადმი ამგვარი მოპყრობა, მათი ასაკით თუ ვიმსჯელებთ, მინიმუმ 200-400 წელიწადი გრძელდებოდა, XII-XIV საუკუნეებში, რაც ასევე ეჭვქვეშ აყენებს ჰანიბალურ ტრადიციას ამ სოფელში.

მეორე შესაძლო თეორია, რომ მსგავსი წესით კლავდნენ და მარხავდნენ მხოლოდ უცხოელებს, ასევე არადამაჯერებელია, რადგან ძვლების გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მიცვალებულები ადგილობრივები იყვნენ.



შესაბამისად, პაიკისა და მისი ჯგუფის აზრით, ყველაზე ახლოს სიმართლესთან ის უცნაური ჰიპოტეზაა, რომლის მიხედვითაც ამ სოფლის მკვიდრნი ებრძოდნენ პოტენციურ „ზომბებს“.

რატომ ექცეოდნენ ასე უორემ-პერსის მკვიდრნი მხოლოდ ზოგიერთი მიცვალებულის სხეულს, მეცნიერებმა ჯერ არ იციან, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს, შესაძლოა, უკავშირდება ადგილობრივი ეკლესიის საქმიანობას ან თვით ამ ძვლების პატრონის ქცევას.

# მკვდარი ზღვის უცნობი პაპირუსები აშშ-ში გაშიფრეს



**ბიბლიური სიძველეების წამყვანი ამერიკელი სპეციალისტები გამოაქვეყნებენ მკვდარი ზღვის პაპირუსების უცნობ ფრაგმენტებს, — წერს პორტალი Live Science.**

ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფმა შეიძინა 28 ძველი დოკუმენტი, რომლებიც წლეულს ისრაელში იპოვეს. **მკვლევართა მონაცემებით, მათი ასაკი დაახლოებით 2 ათასი წელიწადია.** იტყობინებიან, რომ ტექსტებზე იმუშავებენ სპეციალისტები აზუსის წყნარი ოკეანის უნივერსიტეტიდან. მკვდარი ზღვის პაპირუსები აღწერს ებრაული სექტის ყოფასა და რწმენას, შეიცავს უნიკალურ მასალას ადრეულ ქრისტიანებზე, ნაწყვეტებს „ევანგელედან“ და ორიგინალურ სიუჟეტებს უძველესი ებრაული მითოლოგიიდან. დოკუმენტები დათარიღებულია ჩვ. წ. აღ.-მდე III — ჩვ. წ. აღ-ის I საუკუნეებით.

# ათი მითი ჯანსაღი კვების შესახებ



**დღეს სიმსუქნე ადამიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ შემოთავაზებული უამრავი რჩევა თუ რეცეპტი ხშირ შემთხვევაში ან არ ამართლებს, ან ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. ერთი კი ცხადია: სპორტით გატაცება და ჯანსაღი კვება ჯანმრთელობის საწინდარია. რას ნიშნავს ჯანსაღი კვება — რა არის სასარგებლო ჩვენი ორგანიზმისთვის და რა არა?**

**1. ნაკლები ცხიმი — მეტი სარგებელი**

დიეტის დროს ბევრი ცდილობს, რაციონიდან ნებისმიერი ცხიმის ამოღებას, მაგრამ ორგანიზმს ვნებს მხოლოდ **ტრანსცხიმები** (რომლის შემცველ პროდუქტებსაც ზოგი ქვეყანა კრძალავს), ხოლო მცენარეული და ცხოველური ცხიმების ზომიერად მიღება აუცილებელიცაა. ასე რომ, ჭამეთ როგორც თევზი, ასევე რძის პროდუქტები და ნიგოზი.

**2. ნახშირწყლები — მოხდენილი სხეულის მტერი**

რთული ნახშირწყლები ხელს უწყობს საკვების გადამუშავებას და ახანგრძლივებს დანაყრების შეგრძნებას, ამიტომ მიირთვით კარტოფილი და ლობიო. მარტივი ნახშირწყლები, პირიქით, სწრაფად შეიწოვება და ზრდის სისხლში შაქრის შემცველობას. ამ დროს გამომუშავდება ჰორმონი ინსულინი, რომელიც „აიძულებს“ ამ კალორიების გამოყენებას, დანარჩენს კი „აგზავნის“ ცხიმში.

**3. გაყინული ბოსტნეული კარგავს სასარგებლო თვისებებს**

სინამდვილეში სწორად გაყინვისას და გალღობისას ბოსტნეულში ყველა ვიტამინი და მინერალი შენარჩუნებულია.

**4. ნებისმიერი შოკოლადი მავნეა**

მწარე შოკოლადის მცირე ულუფა არა თუ არ ვნებს თქვენს ტანადობას, არამედ გაგიძლიერებთ იმუნიტეტს და გაგიუმჯობესებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. მეტიც, ინტენსიური ვარჯიშის შემდეგ უნდა დალიოთ შოკოლადიანი რძე, რადგან ის კუნთების აღდგენას უწყობს ხელს.

**5. თუ ხშირად არ შეჭამ, სწრაფად გახდები**

ყველაფერი დამოკიდებულია ულუფის ოდენობაზე. **თუკი დღის განმავლობაში ორჯერ შეჭამთ, მაგრამ დიდ ულუფებს, მიღებული კალორიები ცხიმად გარდაიქმნება.** ექსპერტები გვთავაზობენ საკვების მიღებას 5-6-ჯერ დღეში სრულფასოვანი საუზმით, სადილითა და ვახშმით.

**6. დანაწევრებული კვების სიკეთე**

კუჭსა და ნაღველს ერთდროულად შეუძლია გადაამუშაოს ცილები, ცხიმები და ნახშირწყლები. დანაწევრებული კვებისას ადამიანები ყურადღებით ადევნებენ თვალს რაციონს, თანდათან ამცირებენ ულუფას და ამგვარად კარგავენ წონას.

**7. ექვსის შემდეგ ჭამა არ შეიძლება**

აი კიდევ ერთი ცნობილი მითი, რომ ექვსის შემდეგ ჭამა არ შეიძლება. ეს წესი სწორია იმ შემთხვევაში, თუკი 21:>00 საათზე იძინებთ. **მსუბუქი საკვების მიღება დაძინებამდე სამი საათით ადრე არც ჯანმრთელობას უქმნის პრობლემას და არც ფიგურას.**

**8. შვრია ყველაზე სასარგებლო საუზმეა**

ეს სწორია მხოლოდ ერთი პირობით: თუკი ფაფა შვრიის მსხვილად დაფქვილი ფანტელებისგანაა მომზადებული.

**9. დღეში 1 ფინჯანზე მეტი ყავის დალევა არ შეიძლება**

დღის განმავლობაში რამდენიმე ფინჯანი ყავის დალევა ამცირებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და დიაბეტის რისკს. გართულებები შესაძლებელია დღეში 5 ფინჯანი ამ სასმელის მიღებისას.

**10. ყოველდღიურად უნდა ჭამოთ წვნიანი**

ყველა წვნიანი როდია სასარგებლო. ცხიმიანი ხორცის ბულიონი მავნეა მათთვის, ვისაც აქვს გულის, ღვიძლისა და შარდმდენი გზების პრობლემები. ამ კერძის მიღება საკმარისია კვირაში ორჯერ.

# პერუელმა მეცნიერებმა «მარსისმაგვარ» პირობებში კარტოფილი გაზარდეს



**ალბათ, ყველას ახსოვს მშვენიერი ფილმი „მარსელი“ მეტ დეიმონის მონაწილეობით, რომლის გმირსაც — ასტრონავტ მარკ უოტნის, რომელიც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მარსზე მარტო დატოვეს, გადარჩენისა და დედამიწაზე დაბრუნების მცდელობისას უწევს ფანტაზიისა და ყოველგვარი ცოდნის მოშველიება: საკვების, ვიტამინებისა და ჰაერის არსებული მარაგის დახმარებით მთავარი გმირი ცდილობს, კიდევ ოთხი წელი გაძლოს პლანეტაზე, სანამ შემდეგი მისია — „არესი-4“ მოფრინდება. მან მარსზე კარტოფილის მოყვანა სცადა.**

ლიმელმა მეცნიერებმა კი გადაწყვიტეს, გაერკვიათ, ნამდვილად არის თუ არა ეს შესაძლებელი.

მათ ლაბორატორიულ პირობებში შექმნეს „მარსი კოლოფში“, ანუ შექმნეს წითელი პლანეტის ანალოგიური კლიმატი, ტემპერატურული რეჟიმი, გრუნტი, ატმოსფერული წნევა და სხვ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მარსზე შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა, რომ მსგავსი ექსპერიმენტი შორს არაა რეალობისგან, რამდენადაც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანს. მარსზე მიწათმოქმედების განვითარება კვლევის უკიდურესად პერსპექტიული სფეროა. მაგალითად, მოცემული ექსპერიმენტის წარმატება აჩვენებს, რომ მარსის პირველ კოლონიას შეიძლება ექნეს სრულიად ავტონომიური სიცოცხლის უზრუნველყოფა. ამას გარდა, მცენარეთა დარგვა თანდათან უზრუნველყოფს პლანეტის ჟანგბადით გამდიდრებას. ამჟამად მკვლევართა გეგმებში ტექნოლოგიების შემდგომი შესწავლა და სრულყოფა შედის, ასევე, მცენარეთა უფრო მკაცრ პირობებში გახარების ექსპერიმენტები და მუტაციაზე კოსმოსური რადიაციის ზემოქმედების შესწავლა.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისე დაგაბრმავათ ამერიკამ, რომ დღემდე ვერ გაგითვითცნობიერებიათ, სად და რომელი კონტინენტის სივრცეშია ბედკრული საქართველო, ამიტომ ატარებთ ისეთ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, თითქოს საქართველო სადღაც, ბისკაის ყურეში, მდებარეობდეს, საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრებთან და არა სამხრეთ კავკასიაში — რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის სამეზობლოში, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან წყეული ნატოს სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას.**

# ბატონო პრემიერო, რომელ ისტორიულ წყაროში ამოიკითხეთ ქართველებთან თურქების საუკუნოვან მეგობრობაზე, ნუთუ საქართველოს ისტორიაში არასოდეს ჩაგიხედავთ?!

# ბატონო პრემიერო, დაასახელეთ თურქეთის საქართველოსადმი მეგობრობის გამომხატველი თუნდაც ორიოდე ფაქტი

**პრემიერმინიტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ცოტა ხნის წინათ „სიბრძნე“ დააფრქვია, — თურქ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა საუკუნეებს ითვლისო, ამა წლის 2 თებერვალს კი „ისტორიული დღე“ უწოდა, როცა ევროპარლამენტმა ჯერ კიდევ ბოლომდე მიუყვანელი ე.წ. ვიზალიბერალიზაცია გვიბოძა, თანაც მისეული პროკრუსტეს სარეცლით.**



ბატონო პრემიერო, მოგმართავთ ხანდაზმული, 87 წლის ისტორიკოს-პოლიტოლოგი ქუთაისიდან: **რომელ ისტორიულ წყაროში ამოიკითხეთ ქართველებთან თურქების საუკუნოვან მეგობრობაზე, ნუთუ საქართველოს ისტორიაში არასოდეს ჩაგიხედავთ?!** ხალხური სიბრძნე მოგვიწოდებს — შვიდჯერ თვალი გადაავლე, ერთხელ ხმალი გადაავლეო. თქვენ კი, თანამდებობრივი მდგომარეობის გამო, ასჯერ გაზომვა მოგეთხოვებათ, ვიდრე რამეს იტყვით. **რა მიგაჩნიათ მეგობრობად — ის ხომ არა, თურქული და მისი მოდგმის ურდოები IX—X საუკუნეებიდან მოყოლებული განუწყვეტლივ რომ არბევდნენ ბედკრულ საქართველოს?** ან იქნებ იმას თვლით მეგობრობად, საქართველოს სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ისტორიული მიწა-წყალი — სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი და სხვა მიწები რომ მიიტაცეს? იქნებ მეგობრობად ის მიგაჩნიათ, მიტაცებულ მიწებზე მცხოვრები ქართველები ძალით რომ გაამაჰმადიანეს, ქართული გვარ-სახელები თურქულით რომ შეუცვალეს და სხეულის ნაწილიც რომ წააჭრეს? ან, შეიძლება, იმას თვლით მეგობრობად, თურქი სოვდაგრები სტამბულის ბაზრებში ქართველი გოგო-ბიჭების ყიდვა-გაყიდვით ჯიბეებს რომ ისქელებდნენ? ან, ალბათ, იმას მიიჩნევთ მეგობრობად, თურქეთის მმართველებმა ახლახან რომ განაცხადეს: რიზე და ბათუმი ვინ გაჰყო, ორივე ჩვენიაო.

**ბატონო პრემიერო, თუ თურქები ჩვენი საუკუნოვანი მეგობრები არიან, რატომ არ დაგვიბრუნეს საუკუნეთა განმავლობაში მიტაცებული ქართული მიწები? კვლავაც მოგმართავთ — დაასახელეთ თურქეთის საქართველოსადმი მეგობრობის გამომხატველი თუნდაც ორიოდე ფაქტი.**

სამცხე-ჯავახეთი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში თურქეთის საფაშოდ იყო გადაქცეული, 1828 წელს რუსი და ქართველი მეომრების მიერ ერთობლივად დაღვრილი სისხლის ფასად დავიბრუნეთ. 1877—78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსი მეომრების გვერდით მამაცურად იბრძოდნენ და რუსეთის უმაღლესი მთავარსარდლობის შექება დაიმსახურეს ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა და მეომრებმა. სწორედ მაშინ დავიბრუნეთ აჭარა-ბათუმის მხარე, რასაც ქართული საზოგადოება, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, ალფრთოვანებითა და მრავალმხრივ სასარგებლო, საჭირო ღონისძიებების განხორციელებით შეეგება; კერძოდ, იწყეს იაკობ გოგებაშვილის იმხანად ახალგამოქვეყნებული „დედა ენის“ აჭარაში ფართოდ გავრცელება, რაშიც რუსული ადმინისტრაციაც დაეხმარა.

ზემოაღნიშნული რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სხვა მიწებიც დავიბრუნეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, 1918 წელს, დადებული ბრესტის ზავის შემდეგ, **ლენინმა** და **ტროცკიმ** ეს ძირძველი ქართული მიწები თურქეთთან ვაჭრობის ობიექტად აქციეს და უკან დაუბრუნეს. მადაალძრული და გათავხედებული თურქები ბათუმის მიტაცებასაც შეეცადნენ, მაგრამ გენერალმა **გიორგი მაზნიაშვილმა** იყოჩაღა და ისინი ბათუმიდან განდევნა. **სტალინს,** რომელიც იმხანად ჯერ კიდევ ვერ სტალინელობდა, ტაო-კლარჯეთისა და სხვა მიწების დაკარგვას ვერ დავაბრალებთ; ეს უბედურება მხოლოდ ლენინისა და ტროცკის დამსახურებაა.

ბატონო პრემიერმინისტრო, როგორც ვხედავ, ისტორიული ქარტეხილების სწორად გაგების საქმეში მრჩეველი გჭირდებათ. თქვენს ყურადღებას ერთ ისტორიულ ფაქტზე შევაჩერებ:

1945 წლის ოქტომბერში სტალინი სოჭის მახლობლად ისვენებდა, იქ მან იხმო გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები — სსრ კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების წევრი **სიმონ ჯანაშია** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი **ნიკოლოზ ბერძენიშვილი.** მათი საქმიანი საუბარი სტალინთან რამდენიმე დღეს გაგრძელდა. სტალინის თხოვნა ასეთი იყო: **სიმონ ჯანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილს ერთობლივ ვრცელ წერილში უნდა დაესაბუთებინათ თურქეთის ხელში ჯერ კიდევ დარჩენილი, დაახლოებით 20 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის ქართული წარმომავლობა.** ასეთი წერილი გამოქვეყნდებოდა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. მეცნიერებმა თხოვნა წარმატებით შეასრულეს და **1945 წლის 14 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტის“ ნომერში გამოაქვეყნეს წერილი სათაურით: „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“. ამ წერილის რუსული თარგმანი ერთი კვირის შემდეგ, 20 დეკემბერს, „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა.**

სტალინის მიზანდასახულებამ — თქვენი „მეგობარი“ თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწები დაებრუნებია საქართველოსთვის, ქვეყანაში ეროვნულ-პატრიოტული აღტყინება, ხოლო თურქეთში შეშფოთება-აფორიაქება გამოიწვია. **კვალის წაშლის განზრახვით თურქებმა ქართული ეკლესია-მონასტრების კედლებიდან იწყეს იმ ქვების ჩამოღება, რომლებზეც ქართული წარწერები იყო. ამ ქვებს ზღვაში ყრიდნენ. თურქთა ეს ვერაგობა დრამატურგმა ილო მოსაშვილმა ასახა პიესაში „ჩაძირული ქვები“, რომელიც ქართულ თეატრებში წარმატებით იდგმებოდა.** სულ მალე ცნობილი პოეტისა და მწერლის — **გრიგოლ აბაშიძის** ლექსების ციკლი გამოქვეყნდა სათაურით „სამხრეთის საზღვრებთან“. პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ამ ლექსებისათვის მან სტალინური პრემია დაიმსახურა.

სტალინს დასახული მიზნის მიღწევა არ დასცალდა, ხოლო თურქეთმა თავის გადასარჩენად აშშ-ის ინიციატივით შექმნილ ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში შეჰყო თავი.

დღეს, ბატონო გიორგი, როცა თურქეთის ხელისუფალნი თავხედურად აცხადებენ, რიზეც და ბათუმიც ჩვენიაო, ლოგიკური იქნება, თუ გაღმა შევედავებით და შევახსენებთ, რომ თურქეთს მიტაცებული აქვს ჩვენი ისტორიული მიწები — ტაო-კლარჯეთი, შავშეთი და სხვ. საჭიროა, ერთხელ კიდევ გამოვაქვეყნოთ სიმონ ჯანაშიასა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის ცნობილი წერილი, გრიგოლ აბაშიძის ხსენებული ლექსების ციკლი, ილო მოსაშვილის პიესა.

თქვენ, **ბატონო პრემიერო, თურქეთთან საუკუნოვან მეგობრობაზე იცრუეთ, ქართველებს თვალში ნაცარი შემოგვაყარეთ და ისტორიის არნახული ფალსიფიცირება მოახდინეთ, რაც ნამდვილად შეშურდებოდა ჩვენს ბევრ ქამელეონ-ისტორიკოსს, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის ფალსიფიკაციით არიან დაკავებულნი.**

რამდენიმე წინადადებით თქვენეული 2 თებერვლის, ანუ „ისტორიული დღის“ შესახებ, რომელსაც ხზოს აღტაცებით შეეგებეთ, მე კი თქვენს აღტაცებას — სიცილით. რატომ?

იმიტომ, ბატონო პრემიერო, რომ ევროპარლამენტის მიერ ბოძებულ ე.წ. ვიზალიბერალიზაციას ახლავს პროკრუსტეს სარეცელიც (იმედია, იცით, რას ნიშნავს), ანუ მოთხოვნა, სადამდე გავჭიმოთ ფეხები. თუ გავითვალისწინებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ქართველები, ტრადიციულად, კანონურჩობით გამოვირჩევით, რაც ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი, ევროპარლამენტის მიერ თავსმოხვეულ პროკრუსტეს სარეცელს სულ მალე დავარღვევთ და ბოძებულ ვიზასაც გამოვეთხოვებით. ევროპარლამენტის მიერ ბოძებული ვიზა თოკზე გამობმულ ფინიას მაგონებს. ამ თოკის ბოლო ხელში უჭირავს პატრონს, ანუ ევროპარლამენტს. გაიქაჩება ფინია? — მას პატრონი მოთოკავს.

სიბრიყვე და სასაცილოა, ბატონო გიორგი, როცა ამბობენ, ჩვენი ვიზით აფხაზები და ოსებიც ისარგებლებენო.

მე, პოლიტოლოგი, დაბეჯითებით ვაცხადებ: ეგ თქვენი სათაყვანო ვიზა უფრო საზიანოა ქართველებისთვის, ვიდრე სასარგებლო. არ დაგავიწყდეთ თქვენთვის „ისტორიული დღის“, 2 თებერვლის, აღნიშვნა ყოველწლიურად ქართული კალენდრის გვერდებზე.

ფრიად სასარგებლო რჩევას შემოგთავაზებთ, ბატონო გიორგი: იმისათვის, რომ განიკურნოთ თქვენ და თქვენნაირები „თურქულის“ მძიმე ავადმყოფობისგან, აუცილებელია, წაიკითხოთ ბატონი **ვანო სულორის** წერილები სათაურით: „ქართველ პოლიტიკოსებს „თურქული“ შეეყარათ“. წერილები გამოქვეყნებულია ყოველთვის მართლისმთქმელი ყოველკვირეული გაზეთის — „საქართველო და მსოფლიოს“ გასული წლის 39-47-ე და მიმდინარე წლის 1-5 ნომრებში. თუ ამ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილებს გულდასმით გაეცნობით, ბევრი სენისგან განთავისუფლდებით, ბატონო პრემიერო.

თქვენ და, სამწუხაროდ, ქართველთა დიდ ნაწილს დასავლეთმა თავს მოახვია მძიმე სენი, რომელსაც მე გეოპოლიტიკური სიბრმავე ვუწოდე. ეს სენი დაკავშირებულია ისეთ ობიექტურ კანონზომიერებასთან, როგორიც არის ქართული გეოგრაფიული სივრცე. თქვენ **ისე დაგაბრმავათ ამერიკამ, რომ დღემდე ვერ გაგითვითცნობიერებიათ, სად და რომელი კონტინენტის სივრცეშია ბედკრული საქართველო, ამიტომ ატარებთ ისეთ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, თითქოს საქართველო სადღაც, ბისკაის ყურეში, მდებარეობდეს საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრებთან და არა სამხრეთ კავკასიაში — რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის სამეზობლოში, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან წყეული ნატოს სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას.** გაიგეთ, ბატონო პრემიერო, რომ თქვენი ქადაგება — ნატოში გაერთიანება ჩვენთვის შეუქცევადიაო, გეოპოლიტიკური სიბრმავეა, საქართველოს უფსკრულში გადაჩეხვა, მისი საბოლოო დაღუპვა. თუ ასე თავდავიწყებით ეტრფით ნატოს, მაშინ მოიხმეთ ნატოს ყველა მოთაყვანე, დაწყებული დოლარ-გრანტიჭამიებით, ამოჭერით დე ფაქტო ქართული მიწები სამხრეთ კავკასიიდან, შემოიდეთ ზურგზე და ჩადეთ ადრიატიკის სანაპიროზე მონტენეგროს, იმავე ჩერნოგორიის გვერდით. აი, მაშინ კი უყოყმანოდ შეძვრებით საოცნებო ნატოში. ჩემი რჩევაა: **დაუყოვნებლივ გააუქმეთ დანაშაულებრივი ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამინისტრო, რომელიც ბლოკავს აფხაზებსა და ოსებთან სასარგებლო კონტაქტებს; ამით ბორკილები აეხსნება შერიგების სამინისტროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სამინისტროც გასაუქმებელია, როგორც უნაყოფო, ზედმეტი ხარჯი.**

ჩემი რჩევაა, რადიკალურად შეიცვალოთ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია და მომავალ არჩევნებში იმოქმედოთ სლოგანით — **„არა — ნატოს, კი — რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას!“.** ამით 8 ოქტომბრის არჩევნებში შინ დარჩენილი თითქმის ნახევარი ელექტორატის, სულ ცოტა, 20-25 პროცენტს მიიყვანთ საარჩევნო ყუთებთან და კვლავ გაიმარჯვებთ.

არ ვარ გულუბრყვილო და ვიცი, რომ ამ რჩევას თქვენ და მთელი „ვაიოცნება“ ყურად არ იღებთ, რადგან აშშ-ის ელჩზე ხართ ჩამოკიდებული და მისი თანხმობის გარეშე დაცემინებასაც ვერ ბედავთ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩამოყალიბდება ჭეშმარიტად ქართული პოლიტიკური ძალა, რომელიც მიბაძავს ფინეთს, იბრძოლებს სამხედრო ნეიტრალიტეტისთვის; ფინეთის მსგავსად, რუსეთთან დადებს თანამეგობრობის ჩარჩო ხელშეკრულებას, გადაარჩენს საქართველოს, მოამზადებს პირობებს ქვეყნის გასამთლიანებლად.

პირველი **პაასიკივის** გამოჩენას ველოდები, ბატონო პრემიერო!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**



**დაფნის თესლი ადრე კარგავს აღმოცენების უნარს, ამიტომ მას სანერგეებში შემოდგომაზე თესავენ. თესვის საუკეთესო დროა ნოემბერი, გაზაფხულზე — 25 თებერვალი -16 მარტი. ერთ ჰექტარზე ითესება 500 კგ თესლი. დაფნის გასაშენებლად უკეთესია ორწლიანი სტანდარტული ნერგი, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით, რომლის სიმაღლე 20 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაფნის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. №13 (389)

**კეთილშობილი დაფნა მრავლდება, როგორც თესლით, ისე ვეგეტატიურად. თესლით გამრავლების დადებითი მხარეა: ნერგების მეტი რაოდენობით მიღების შესაძლებლობა; გარემო პირობებისადმი შეგუების უკეთესი უნარი; სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობა და დაავადებათა და მავნებელთა გავრცელების ნაკლები საფრთხე. უარყოფითი მხარეა: ნარგავების სიჭრელე და გვიანი მსხმოიარობა.**



**საქართველოს სოფლის მეურნეობის ხაზით იგეგმება, სრულიად შეიცვალოს ჩვენს ქვეყანაში არსებული დაფნის სამრეწველო პლანტაციების დაბალპროდუქტიული მცენარეები. ამ ღონიძიებების გატარება მნიშვნელოვნად აამაღლებს დაფნის კულტურის წარმოების რენტაბელობის დონეს, შეამცირებს დაფნის მცენარისგან მიღებული ეთეროვანი ზეთის თვითღირებულებას, რითაც, საბოლოო ჯამში, გაიზრდება საქართველოდან დაფნის ეთეროვანი ზეთის ექსპორტი**

## სანერგის მოწყობა

ერთი კგ დასათესად გამზადებული კანგაცლილი თესლი 800-1000 ცალ მარცვალს შეიცავს. დაფნის თესლი ადრე კარგავს აღმოცენების უნარს, ამიტომ მას სანერგეებში შემოდგომაზე თესავენ, თესვის საუკეთესო დროა ნოემბერი, გაზაფხულზე — 25 თებერვალი -16 მარტი. ერთ ჰექტარზე ითესება 500 კგ თესლი. დაფნის გასაშენებლად უკეთესია ორწლიანი სტანდარტული ნერგი, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით, რომლის სიმაღლე 20 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე ადრე გაზაფხულზე უნდა დაითესოს დაფნის სტრატიფიცირებული თესლი. ტენიანი სუბტროპიკული ზონის თბილი და რბილი ზამთრის პირობებში დაფნის თესლი შემოდგომაზე უნდა დაითესოს — **სექტემბრის მეორე ნახევრიდან ნოემბრის მეორე ნახევრამდე.** დაფნის თესლს უნდა ჰქონდეს ტენი არანაკლები 32%-სა, 95-98% სიწმინდე და არანაკლები 75%-სა აღმოცენების უნარი. ერთი ჰა სანერგისათვის საჭიროა 500 კგ თესლი. მცირე ზომის სანერგეებში დაფნა უნდა დაითესოს 30 სმ-ით დაცილებულ ღარებში. შემოდგომაზე ჩათესვის სიღრმე 3-4 სმ უნდა იყოს, საგაზაფხულო თესვისას კი — 5-6 სმ; თესლი უნდა დაითესოს ერთმანეთისაგან 5-6 სმ-ის დაცილებით. დაფნის თესლი, ტენით უზრუნველყოფისას პლუს 8 გრადუსზე იწყებს გაღივებას, 10-12 გრადუსზე კი – აღმოცენებას. მასობრივად აღმოცენება იწყება პლუს 16-20 გრადუსზე. აღმონაცენი მზის სხივების მოქმედებისაგან დასაცავად უნდა დაიჩრდილოს ერთფენა დოლბანდით ან სხვა მასალით.

სანერგისთვის უმჯობესია, შეირჩეს ვაკე ან ოდნავ დაქანებული, ქარებისაგან დაცული, სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი, ტრანსპორტის მიმოსასვლელად მოხერხებული ფართობი. სანერგისათვის საუკეთესო ნიადაგია ალუვიურ დანალექებზე წარმოქმნილი ქვეთიხნარი ან ქვექვიშნარი, შედარებით მსუბუქი, წყალგამტარი და ნოყიერი ნიადაგები.

მეტი რაოდენობით სტანდარტული ნერგის მისაღებად საჭიროა დაფნის სანერგეში მოვლის ღონისძიებათა კომპლექსის დროულად გატარება. მწკრივებსა და მწკრივთაშორისებში სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ნიადაგი 4-6-ჯერ უნდა გაფხვიერდეს. თუ ნიადაგი კარგად არის განოყიერებული, მაშინ თესლნერგებს დამატებითი გამოკვება არ დასჭირდება. საკვები ელემენტების სიმცირისა და ტენის ნაკლებობისას მცენარე უნდა გამოიკვებოს და მოირწყას. **ზრდაში ჩამორჩენილი ნერგის გამოსაკვებად გამოყენებული უნდა იქნეს ამონიუმის გვარჯილის 0,2-0,3%-იანი ხსნარი. სანერგე მეურნეობებში კარგ შედეგს იძლევა თესლნერგების წუნწუხით გამოკვება, რასაც 2-3-ჯერ იმეორებენ.**

დაფნის სტანდარტულ ნერგს უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული **ფესვთა სისტემა.** ტენიანი სუბტროპიკული ჰავის პირობებში კარგი მოვლის შემთხვევაში ერთი სავეგეტაციო წლის განმავლობაში შესაძლებელია 60-75%-მდე დაფნის სტანდარტული ნერგის მიღება. მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ერთ სავეგეტაციო პერიოდში სტანდარტული ნერგების მიღება ძნელია.

## პლანტაციის გაშენება

ერთ ჰექტარ სანერგეში სტანდარტული ნერგის გამოსავალი 100-150 ათასი ცალი ნერგია. ამოღებისას საჭიროა ნერგი ბელტიანად იქნეს ამოღებული და, რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს ფესვები. დაფნის ნერგის გახარება დამოკიდებულია ამოთხრილი ნერგების დროულად გადატანასა და დარგვაზე. ნერგები ღრუბლიან ამინდში უნდა იქნეს ამოღებული. დაფნის შემწოვი ფესვები მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებით ადვილად იღუპება, ამიტომ მათი გაშიშვლება მიზანშეუწონელია. ამოთხრისას, თუ ბელტი დაიშალა, რაც მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგზე ჩვეულებრივი მოვლენაა, მაშინ ნაზი ქსოვილების გამოშრობისაგან დასაცავად, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ამოვლებული ნაკელ-თიხისაგან შემზადებულ წუნწუხში. ნერგები ამოთხრისთანავე სტანდარტის მიხედვით უნდა დახარისხდეს და გაიგზავნოს პლანტაციის გასაშენებლად. საფოთლე პლანტაციის გასაშენებლად არასტანდარტული ნერგის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. **ერთწლიანი სტანდარტული ნერგით დაფნის პლანტაციების გაშენება ეკონომიკურად მიზანშეწონილი და აგრონომიულად გამართლებულია.** ორწლიანი ნერგების გამოყვანისას ან კიდევ არასტანდარტული ნერგების გასაძლიერებლად სანერგეში დაბრუნების დროს მეორე წელს მოვლის აგროტექნიკური ღონისძიებები პირველი წლის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ ნერგების ზრდის გასაძლიერებლად 1 ჰა-ზე შეტანილი უნდა იქნეს 750 კგ **აზოტმჟავა ამონიუმი.** დაფნის ნერგი გამოჰყავთ აგრეთვე შეხავსებულ კოშტებში, ან პოლიეთილენის პარკებში.

პოლიეთილენის პარკებში ნერგების გამოსაყვანად საჭიროა, ნეშომპალა კარბონატული და წითელმიწა ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის, გადამწვარი ნაკელისა და ტორფის კომპოსტისგან წინასწარ მომზადდეს საკვები ნაზავი. **კეთილშობილი დაფნის პლანტაცია შეიძლება გაშენდეს ზღვის დონიდან 500-600 მ სიმაღლემდე, გასაშენებლად გამოსადეგია სწორი ადგილები.**

პლანტაციის თესლით გაშენებისას საჭიროა 50 სმ სიგანის და 30 სმ სიღრმის სათესი ზოლის გაფხვიერება. ზოლის ცენტრის ყოველ 50 სმ მანძილზე უნდა ჩაისვას ჩხირები, რომლითაც აღინიშნება ბუდნის ადგილი.

გაშენების ოპტიმალური ვადაა ოქტომბერ-ნოემბერი. ამ ვადებში დარგული ნერგების გახარების მაჩვენებელი საგრძნობლად მაღალია გაზაფხულის რგვასთან შედარებით. **დაფნის პლანტაციის გაშენება ხდება ორი წესით: ინდივიდუალურით (ბუჩქური) და შპალერულით.** ინდივიდუალური წესით გაშენებისას ნაკვეთი ისე იგეგმება, რომ რიგების დაშორება — 1,5 მეტრი და რიგებში მცენარეთა შორის მანძილი ერთი მეტრი უნდა იყოს; შპალერული გაშენებისას მანძილი შპალერებს შორის— 1,6-1,8 მეტრი, ხოლო რიგებში მცენარეთა შორის 50 სმ უნდა იყოს.

დაფნის პლანტაციებში, განსაკუთრებით პირველ სამ-ოთხ წელს, მწკრივთაშორისები შეიძლება გამოყენებული იქნეს სოიოს, ლობიოსა და სხვა დაბალმოზარდი ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად, რითაც შემცირდება დაფნის პლანტაციის მოვლაზე გაწეული ხარჯები. **თუკი მწკრივთაშორისები სხვა კულტურებით არ არის დაკავებული, იგი პერიოდულად უნდა გაფხვიერდეს და გაიწმინდოს სარეველებისაგან.** შეიძლება **ჰერბიციდების გამოყენებაც,** დაფნის გაშენების პირველ წლებში დაფნის კულტურისათვის შემუშავებული აგროტექნოლოგიის თანახმად, პლანტაციის მოვლის მიზნით, ტარდება ნიადაგის კულტივაცია, განოყიერება, მორწყვა. კულტივაცია ტარდება წელიწადში 3-4-ჯერ. მშრალ რაიონებში — 5-8 მორწყვა, ხოლო ტენიან რაიონებში 2-3-ჯერ (გვალვის შემთხვევაში).

სრულმოსავლიან, ძლიერ პლანტაციებში, სადაც მწკრივები შეკრულია, ნიადაგის საზამთრო გადაბარვა ტარდება 4 წელიწადში ერთხელ 10-12 სმ სიღრმეზე. Gგადაბარვის ვადა 15 ნოემბრიდან 1 აპრილამდეა.

დაფნის კულტურის ზრდა-განვითარებას და მის პროდუქტიულობას ზღუდავს სხვადასხვა მავნებელი და დაავადება. მათგან დაზიანებული ფოთოლი დაბალი ხარისხისაა. ძლიერი დაზიანებისას მცენარეები ზოგჯერ იღუპება კიდეც; აუცილებელია პერიოდულად ფიტოსანიტარული მონიტორინგის ჩატარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

## პლანტაციის განოყიერება

დაფნის პლანტაციაში სასუქების შეტანა დიფერენცირებულად ხდება — პლანტაციის ასაკის, მოსავლიანობის, ნიადაგის ტიპისა და ნაყოფიერების გათვალისწინებით. საუკეთესო შედეგს იძლევა პლანტაციაში ორგანული სასუქების გამოყენება. ნიადაგის საზამთრო გადაბარვის დროს 4 წელიწადში ერთხელ შეაქვთ 50 ტონა ნაკელი. მინერალური სასუქებიდან გამოიყენება **აზოტიანი სასუქი.** აზოტიანი სასუქებიდან მჟავე ნიადაგებზე უპირატესობა ეძლევა ამონიუმის გვარჯილას, ნეიტრალურ და კარბონატულ ნიადაგებზე — ამონიუმის სულფატს. ახალგაზრდა (4 წლამდე) პლანტაციაში შეაქვთ 50კგ/ჰა აზოტი სრულმოსავლიან პლანტაციაში — 2-3 ტონა მოსავლის პირობებში — 150კგ/ჰა; 4-5 ტონა მოსავლის პირობებში – 200კგ, ხოლო 5 ტონაზე მეტ მოსავლიან პლანტაციაში– 250 კგ/ჰა აზოტი;

**ფოსფორის** სიმცირის შემთხვევაში დაფნის მცენარე დაკნინებულია. ფერხდება რეპროდუქციული ორგანოების წარმოქმნა და ეთერზეთების დაგროვება. წითელმიწა და ეწერ ნიადაგებზე უმჯობესია ფოსფორიტის ფქვილის შეტანა 150 კგ ჰექტარზე ნეშომპალა-კარბონატულ და ალუვიურ ნიადაგზე — 100კგ ჰექტარზე.

**კალიუმით** შიმშილისას დაფნის ფოთლებზე შეიმჩნევა „კიდეების სიდამწვრე“, მცირდება ფოთლის ხარისხი. კალიუმიანი სასუქებიდან დაფნის პლანტაციებში გამოიყენება 50-60%-იანი ქლორკალიუმი, ან 30-40%-იანი კალიუმის მარილი 200 კგ ჰა-ზე ორ წელიწადში ერთხელ.

**მაგნიუმით** შიმშილი იწვევს ქვედა ფოთლების ძარღვთაშორისების ქლოროზს, რითაც საგრძნობლად მცირდება მიღებული ფოთლის ხარისხი,

დაფნის პლანტაციაში მიზანშეწონილია **მწვანე სასუქების** გამოყენება. კარგ შედეგს იძლევა შემოდგომა-ზამთრის სიდერატების თესვა.

## დაფნის პლანტაციის ექსპლოატაცია

დაფნის ახალგაზრდა ნარგავებში პირველი მოსავლის აღება იწყება 3 წლიდან. ამ მომენტში ბუჩქი იჭრება 10-15 სმ სიმაღლეზე. დაფნის ნარგავების მორიგი გადაჭრა ხდება წინა გასხვლაზე 10 სმ-ის ზევით ე.ი., ფესვის ყელიდან 20-25 სმ სიმაღლეზე. მოსავლის აღება 15 ნოემბრიდან 15 მარტამდე ტარდება. აჭრილი ღერო-ფოთლები კონებად უნდა შეიკრას და კარგი ვენტილაციის ფარდულებში მოთავსდეს. მზეზე ფოთლების გაშრობა დაუშვებელია. ნორმალურ პირობებში 8-10-წლიანი პლანტაცია სრულმოსავლიანია. **სტანდარტული ნედლეული** შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: ფოთოლს უნდა ჰქონდეს 12%-მდე ტენიანობა, მწვანე ფერი და გადაღუნვისას არ უნდა ტყდებოდეს; არ უნდა შეიცავდეს 0,5%-ზე მეტ სხვადასხვა მინარევს. დასაშვებია 10%-მდე 2 მმ-იანი დიამეტრის ყლორტები; მოყვითალო მწვანე ფოთლები და 4%-მდე 4 მმ-იანი ახალგაზრდა ყლორტები. ფოთლების მოცილების შემდეგ დარჩენილი დაფნის ერთ-ორწლიანი ტოტი 0,3-დან 0,4%-მდე ეთეროვან ზეთს შეიცავს. ის ეთერზეთის მისაღებად შესაბამის ქარხნებს უნდა ჩააბარონ.

**გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში დაფნის წარმოების დონე საკმაოდ მაღალი იყო. რესპუბლიკის მოთხოვნა სრულად კმაყოფილდებოდა და მეტი წილი წარმოებული პროდუქციისა საექსპორტოდ მზადდებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში დაფნის კულტურის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცევა, რის გამოც საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების მოთხოვნა საქართველოში წარმოებულ დაფნაზე ვერ კმაყოფილდება, განსაკუთრებით — დაფნის ეთეროვან ზეთზე.** ეს განპირობებულია დაფნის მწვანე მასის (ძირითადად ფოთლები) უაღრესად დაბალი შესასყიდი ფასით — 1კგ 30-50 თეთრი. აუცილებელია შესასყიდი ფასების მომატება. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ხაზით იგეგმება, სრულიად შეიცვალოს ჩვენს ქვეყანაში არსებული დაფნის სამრეწველო პლანტაციების დაბალპროდუქტიული მცენარეები. ამ ღონიძიებების გატარება მნიშვნელოვნად აამაღლებს დაფნის კულტურის წარმოების რენტაბელობის დონეს, შეამცირებს დაფნის მცენარისაგან მიღებული ეთეროვანი ზეთის თვითღირებულებას, რითაც, საბოლოო ჯამში, გაიზრდება საქართველოდან დაფნის ეთეროვანი ზეთის ექსპორტი.

**რეზო ჯაბნიძე,**
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი



## გარდაიცვალა გივი ბერიკაშვილი

**10 აპრილს 83 წლისა გარდაიცვალა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გივი ბერიკაშვილი.**

მსახიობი კლინიკა „მედი კლაბში" რამდენიმე დღის წინათ მიიყვანეს და სარეანიმაციო განყოფილებაში ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო შეერთებული.

„გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა, შემდეგ ეს ანთება გაურთულდა. დაგვიანებით მოვათავსეთ საავადმყოფოში, ბოლო სამ დღეში განსაკუთრებით დამძიმდა მდგომარეობა", — განაცხადა გივი ბერიკაშვილის მეგობარმა, მსახიობმა **კახი კავსაძემ.**

გივი ბერიკაშვილი 1933 წლის 12 მაისს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგში დაიბადა. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და ბოლოს — კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. არის საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი (1979), კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, იპოლიტე ხვიჩიას სახელობის პრემიის ლაურეატი, წლის საუკეთესო მამაკაცის პრემიის ლაურეატი.

როგორც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განაცხადეს, მსახიობის პანაშვიდი გაიმართება: 11—12 აპრილს, 17:00 საათიდან, მისამართზე თამარაშვილის ქ. №19/ა. 1 სადარბაზო, მეხუთე სართული.

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 13 აპრილს მარჯანიშვილის თეატრში, საიდანაც მსახიობს გამოასვენებენ.



## შსს-ს მომსახურების სააგენტომ 2016 წელს 12 400 პირზე გასცა იარაღის შეძენის ნებართვა

**2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ იარაღის შეძენის ნებართვა 12 400 პირზე გაიცა. ამასთანავე, 2016 წელს ცეცხლსასროლი ან აირის იარაღის გამოყენების წესების ცოდნაში გამოცდა 6 789 პირმა ჩააბარა.**

კანონის თანახმად, თუკი იარაღის შემძენს უკვე ჩაბარებული აქვს შესაბამისი გამოცდები, ახალი იარაღის შეძენის ნებართვის აღებისას აღარ უწევს იარაღის წესების ცოდნაში გამოცდის ჩაბარება.

ცეცხლსასროლი ან აირის იარაღის გამოყენების წესების ცოდნაში გამოცდა 2015 წლიდან ბარდება.



## სასაკლაოდ ქცეული ბზობის წირვა — ეკლესიებში 2 ტერაქტის შედეგად 36 ადამიანი დაიღუპა

**ეგვიპტეში ორი აფეთქების შედეგად, სულ მცირე, 36 ადამიანი დაიღუპა. ორივე შემთხვევა ქრისტიანულ, კოპტურ ეკლესიებში ბზობის საზეიმო ღვთისმსახურებაზე მოხდა.**

პირველი აფეთქება წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მოხდა ქალაქ ტანტაში, 25 ადამიანი ადგილზე დაიღუპა. ეკლესიაში იმყოფებოდა ქრისტიანი კოპტების პატრიარქიც. ოფიციალური წყაროების ცნობით, ის არ დაშავებულა. ცოტა ხნის შემდეგ კი მეორე ტერაქტი მოხდა — კვლავ ეკლესიაში, ამჯერად ქალაქ ალექსანდრიაში. დაიღუპა 11 ადამიანი.

ასაფეთქებელი მოწყობილობა თვითმკვლელმა ტერორისტმა ტაძრის შესასვლელში აამოქმედა, როცა საზეიმო წირვა მიმდინარეობდა.



## სოცდაუცველები და მარტოხელა პენსიონერები ზაფხულიდან 30 დასახელების წამალს თვეში 1 ლარად შეიძენენ

**„საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, მიმდინარე წლის ზაფხულიდან 500-დან 600 ათასამდე სოციალურად დაუცველი და მარტოხელა პენსიონერი ქრონიკული დაავადებების 4-5 ძირითადი სამკურნალო მედიკამენტის ყიდვას თვეში 1 ლარად შეძლებენ", — განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.**

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, 30 დასახელების მედიკამენტებს შორისაა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემების (მაღალი წნევა, გულის უკმარისობა, კორონალური სისხლძარღვების დაავადება), ენდოკრინოლოგიური დაავადებების (დიაბეტის მეორე ტიპი და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები) და ბრონქიალური ასთმისა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების სამკურნალო წამლები.

**„რაც შეეხება პროგრამის ბიუჯეტს, ეს კონკურსის ბოლოს გახდება ცნობილი, მაგრამ პირველ ეტაპზე ვფიქრობთ, რომ ეს იქნება 5 მილიონი ლარის ფარგლებში. დიდი იმედი მაქვს, პროგრამა ზაფხულის დასაწყისიდან ამოქმედდება. თუ სოციალურად დაუცველი პენსიონერი თვეში 25-30 ლარის ღირებულების მიდიკამენტს ყიდულობდა, ახლა ეს, სიმბოლური თანაგადახდით, თვეში 1 ლარი დაუჯდება. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ეს იქნება სახელმწიფო პროგრამა, რომელიც იმუშავებს წლების განმავლობაში",** — განაცხადა დავით სერგეენკომ.

## ისრაელის ელჩი: აღდგომას ისრაელის საზღვარზე შემოწმება გართულდება



**„აღდგომის დღესასწაულზე ისრაელის საზღვარზე შემოწმება იქნება გართულებული, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც საზღვრის გადაკვეთას უკანონოდ გამოიყენებენ", — განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოში ისრაელის ელჩმა შაბთაი ცურმა.**

შაბთაი ცურმა, აგრეთვე, ისაუბრა ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ რეგულაციაზეც, რომელიც 17 აპრილს ამოქმედდება და რომელიც თავშესაფრის მაძიებლებს ეხება.

„2016 წელს საქართველოდან ისრაელში ჩავიდა 13 188 ტურისტი, მათ შორის, 3 700-მა მოითხოვა თავშესაფარი. თავშესაფარი უფლებას აძლევდა მოქალაქეებს, რომ სამი წლის განმავლობაში ემუშავათ ისრაელის სახელმწიფოში. ჩვენ ვართ დაძმობილებული სახელმწიფოები, 2600-წლიანი ისტორიაა ებრაელ და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობის და ყველას ვთხოვ, რომ ამ ურთიერთობას ხელი შეუწყოს. საქართველო გამოცხადდა უსაფრთხო ქვეყნად ისრაელის სახელმწიფოსთვის. არანაირი წინაპირობა არ აქვთ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფრის მოთხოვნის. შესაბამისად, ვინც თავშესაფარს მოითხოვს, მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება", — განაცხადა ელჩმა.



## დეპუტატის მინიმალური წლოვანება 21-დან 25 წლამდე იზრდება

**„ქართული ოცნების" მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მიხედვით, პარლამენტის წევრის მინიმალური წლოვანება, ნაცვლად დღეს განსაზღვრული 21-ისა, 25 წლამდე იზრდება.**

„პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს 25 ან მეტი წლის საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელი მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც სასამართლოს განჩინებით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულბაში", — ნათქვამია „ქართული ოცნების" მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო პროექტში.

## ფხენიანი ვაშინგტონს მკაცრი პასუხის გაცემით ემუქრება



**ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მზად არის, კორეის ნახევარკუნძულის სანაპიროსთან ამერიკული საზღვაო ძალების ჯგუფის მოახლოებას „მკაცრი პასუხი" გასცეს. ფხენიანი აშშ-ის საზღვაო ძალების გადაადგილებას „პროვოკაციად" აფასებს და ამბობს, რომ ჩრდილოეთი კორეა მზად არის, თავი დაიცვას, მათ შორის სამხედრო საშუალებებით.**

„იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სრულ პასუხისმგებლობას დაიკისრებს იმ კატასტროფულ შედეგზე, რომელიც მათ აღმაშფოთებელ ქმედებებს მოჰყვება", — ციტირებს სააგენტო **Yonhap**-ი ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას.

9 აპრილს სააგენტო „როიტერი" იუწყებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალები კორეის ნახევარკუნძულის სანაპიროს მიუახლოვდა. ვაშინგტონის ეს გადაწყვეტილება ფხენიანისგან არსებულ ბირთვულ საფრთხესა და ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ზრდას უკაშირდება.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894

9 772233 389009